"ნატოშიც ჩოხით შევალთ?" A2

მარნეულში აზერბაიჯანი სპორტკომპლექსს აშენებს A3

უფასო იურიდიული კონსულტაცია A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 23 დეკემბერი, 2004 წელი. №304 (853)

ფასი 50 თეთრი


პოლიტიკა

### მხოლოდ ბრალდებები



პრინციპული საუბარი, "საკმარისზე მეტი პრეტენზიები", ურთიერთბრალდებები, კამათი და არშემდგარი შეთანხმებები - ეს არის თბილისში გუშინ გამართული ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაზე შეხვედრის შედეგი.

A2

ეკონომიკა

### სემეკ-ი ჩიხშია



გადაწყვეტილების მისაღებად სემეკ-ში, სავარაუდოდ, "თელასის" აუდიტორთა მოწვევაც მოუწევთ.

A4

თვალსაზრისი

### ქონება და გონება

ანუ საფუძვლიანი ეჭვი ერთი კანონის უსამართლობაზე

A6

სამართალი

### სახელმწიფო დაწესებულებები სასამართლოსადმი უპასუხისმგებლობას იჩენენ

A7


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანიც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4


# ნათქვამი იყო, გამჭვირვალედო

თამარ ხორბალაძე

საქართველოს ხელისუფლება უმნიშვნელოვანეს ობიექტს დახლქვეშიდან ყიდის. ყოველ შემთხვევაში, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას პირდაპირი მიყიდვის წესით მსხვილი ობიექტის პრივატიზების შესახებ, პოსტ-ფაქტუმ აჟღერებს. "ვისაც ..... გაქვთ, მეტი დადეთ!" - ეკონომიკის ექსმინისტრმა კახა ბენდუქიძემ, რომელიც თავის დროზე "თბილავიამშენთან" და სანაოსნოსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა, სწორედ ამ, ჩვეული უცენზურო ფორმით სახალხოდ შესთავაზა ბიზნესმენებს 107 მილიონზე მეტი თანხის გადახდა და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ჯიბეზე ხელი, უკვე გარანტიამიცემული ბიზნესმენის გარდა, არავის გაუკრავს.

"ღიად" და "გამჭვირვალედ" საქართველოში დღეს მხოლოდ დიდუბეში განთავსებული საქვაბე, კიკეთის გაპარტახებული კოტეჯები და მსგავსი ობიექტები იყიდება...

გაგრძელება A3 გვერდზე

# ომბუდსმენი თუ ფასადი?





ყოფილი ომბუდსმენები: ვახტანგ კომახიძე და ირაკლი სესიაშვილი.

იური ლობოდინის ფოტოები

მაია ჭალაგანიძე

*ჯარისკაცი უნდა შეეგუოს და ეგუება არა მხოლოდ სიცივეს, უგემურ საჭმელსა და ტალახს, არამედ იმ აზრსაც, რომ სამშობლოსთვის ერთ მშვენიერ დღეს სიცოცხლეც შეიძლება დაკარგოს. მაგრამ, სავალდებულო სამსახურში მყოფნიც კი არ არიან ვალდებული, აიტანონ არაადამიანური პირობები. ჯარისკაცი სახელმწიფოს კუთვნილებაა და ის, თუ როგორი მოვლილია რიგითი, ქვეყნის სიძლიერის პირდაპირი მანიშნებელია. დღეს ხელისუფლებისთვის არმიის დაფინანსება უპირველესი პრიორიტეტია და, ალბათ, ამიტომაც უფრო იყო მუხროვანის ინციდენტი მოულოდნელი დარტყმა გენერალიტეტისა და მთავარსარდლისთვის. თუკი ხელისუფლება ამ დარტყმას სწორად გააანალიზებს, ჯარისკაცებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად, იმაზეც უნდა დაფიქრდეს, რისი შედეგია ეს ბუნტი. იმედია, ხელისუფლება ამ ტექნიკურ საკითხებს მიხედავს და მოეშვება მხოლოდ იმის მტკიცებას, რომ ეს არის გარეშე ძალის ინსპირირებული პროვოკაცია. მაგრამ, აქ სხვა რამ უფროა საგანგაშო - ნებისმიერ არასასიამოვნო, ოპოზიციურ აზრს აუცილებლად მოჰყვება ხოლმე უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა კომენტარი, რომელშიც ეს აზრი აუცილებლად ინათლება სახელმწიფოს ძირგამომთხრელ ქმედებად. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში უმაღლესი მთავარსარდლობა თავს შეიკავებდა ემოციური გამოსვლისგან და მკაცრად მოითხოვდა არა რიგითების დასჯას, არამედ - ობიექტური გამოძიების შედეგებს, რომელიც აუცილებლად მიიყვანდა სახელმწიფო სტრუქტურების კორუფციამდე. ასეთ შემთხვევაში, თავდაცვის მინისტრი 60 მშიერ და დაუბანელ ჯარისკაცს კი არ დააშინებდა, არამედ - კარგად გამოკვებილ სამხედრო ელიტას. პრეზიდენტი კი "ზუად" არა ამ ჯარისკაცების მშობლებს მოევლინებოდა (რომელთა გადასახადებიც ინახავს ჯარს), არამედ ხელისუფლების მონად ქცეულ კორუმპირებულ ნაწილს.*

*სახალხო დამცველის ინსტიტუტი დემოკრატიული სახელმწიფოს ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორც სასამართლო ხელისუფლება და პარლამენტი. რას ნიშნავს ქვეყნისთვის, როდესაც სახალხო დამცველი სამსახურიდან მიდის? - როგორც ცნობილია, ცოტა ხნით ადრე კიდევ ერთმა სახალხო დამცველმა, ვახტანგ კომახიძემ დატოვა ეს სტრუქტურა. ირაკლი სესიაშვილის სახალხო დამცველის მოწმობა კი "პროტესტანტ" ასეულს - 60 ჯარისკაცს გადაჰყვა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სესიაშვილი სამხედროთა უფლებებს თავისი არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ("სამართალი და თავისუფლება") უკვე 5 წელია, იცავს და ამ საქმის პროფესიონალად ითვლება, კომახიძე კი ამაზე უფრო მეტი ხანია საგამოძიებო ჟურნალისტიკის საშუალებით ამხელს ხელისუფლების უკანონობას და დაჩაგრულთა უფლებების დაცვაში არც ის არის ახალბედა - მათი ქმედება უბრალო პროტესტად არ უნდა ჩაითვალოს. ეს არის ერთგვარი ტესტი იმის გამოსავლენად, თუ რა სურს ხელისუფლებას - მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობის მქონე ომბუდსმენი (პარლამენტი, სასამართლო), თუ კიდევ ერთი დემოკრატიული ფასადი?*

*"24 საათის" სტუმრები არიან **ვახტანგ კომახიძე** და **ირაკლი სესიაშვილი**.*

გაგრძელება B6 გვერდზე

# პარტიული უდისციპლინობა და ქაოსი თელავის საკრებულოში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*უკვე რამდენიმე თვეა, რაც ქალაქ თელავის საკრებულო პარალიზებულია. დროის არცთუ ისე მოკლე მონაკვეთში, ხალხის ცხრა რჩეული, ამჯერად კი ხუთი (დანარჩენებმა გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერეს და საკრებულოს წევრობიდან გავიდნენ), თავმჯდომარის კანდიდატურაზე ვერა და ვერ შეთანხმდა. ამის თაობაზე სასამართლოში იმდენი განცხადება და სარჩელი შევიდა, თემიდას მსახურნი განხილვას ვეღარ აუდიან და ერთმანეთის გამომრიცხავ გადაწყვეტილებებს იღებენ. შექმნილ აურზაურს და გაუგებრობას თელაველი პოლიტიკოსები პარტიულ უდისციპლინობას უკავშირებენ, რადგან ის ადამიანები, რომლებიც საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობისთვის იბრძვიან, სახელისუფლებო გუნდის წევრები არიან.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# გურიის გუბერნატორის მოულოდნელი გადაწყვეტილება

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

როგორც ჩანს, დამდეგ ახალ წელს ოზურგეთის რაიონი ახალი გამგებლითა და გამგეობის განახლებული შემადგენლობით შეხვდება. გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ჟანი კალანდაძემ, უეცრად და მოულოდნელად, ადრე დილით შეჰყარა ოზურგეთის გამგეობის შემადგენლობა და ბოლო პერიოდში, მეტადრე უკანასკნელ სამ თვეში, გაწეული მუშაობის ანგარიშის წარმოდგენა მოსთხოვა. მათაც საკმაოდ ბევრი ილაპარაკეს (ვისაც გუბერნატორმა მონოლოგის ბოლომდე ჩათავების უფლება მისცა) სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროებზე, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე, მაგრამ სამხარეო ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ოზურგეთის რაიონული გამგეობა მოვალეა იმაზე მეტს აკეთებდეს, ვიდრე ამას რეალურად ახერხებს, და გაკეთებული არადამაკმაყოფილებელ შეფასებას იმსახურებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

| | 23/12 | 24/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | 11 |
| ქუთაისი | 11 | 13 |
| ბათუმი | 13 | 14 |
| სოხუმი | 10 | 9 |
| ფოთი | 12 | 13 |
| თელავი | 6 | 11 |
| ზუგდიდი | 11 | 12 |
| გორი | 5 | 8 |
| ახმეტა | 6 | 10 |
| ჭიათურა | 7 | 11 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8050 |
| ევრო | 2.4144 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4788 |
| რუბლი | 0.0648 |


იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ. 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.





A2 ამბები | A3 ამბები | A4 კონკურსი | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ინტერვიუ | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# მხოლოდ ბრალდებები

## შერეული საკონტროლო კომისიის უშედეგო სხდომა



*თანათავმჯდომარეებს ერთმანეთის არ ესმით.*

*პრინციპული საუბარი, "საკმარისზე მეტი პრეტენზიები", ურთიერთბრალდებები, კამათი და არშემდგარი შეთანხმებები - ეს არის თბილისში გუშინ გამართული ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების მორიგი შეხვედრის შედეგი, რომელშიც კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი, რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი და კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი მონაწილეობდნენ.*

**"ყოველგვარ შედეგზე და შეთანხმებებზე დღეს საუბარი ზედმეტია, დაგროვილია ბრალდებების საკმაოდ ბევრი პუნქტი, რომელიც მხარეებმა წარმოადგინეს. მაგრამ ვფიქრობ, ვიპოვით კომპრომისს და იმ სიძნელეებს დავძლევთ, რაც ჩვენს შორის არსებობს. პრეტენზიები საკმარისზე მეტია, შერეული საკონტროლო კომისიის ამოცანა ზუსტად ისაა, რომ ეს პრობლემები მაქსიმალურად აღმოვფხვრათ,"** - განაცხადა სხდომის პირველი რაუნდის დასრულების შემდეგ კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

ცხინვალის ხელისუფლება კი ქართულ მხარეს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას კატეგორიულად მოითხოვს.

ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრა დღეს გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება იმ საკითხების მთელი ნუსხა, რომლის გადაწყვეტაც აუცილებელია დემილიტარიზაციის პროცესის გასაგრძელებლად და იმისთვის, რომ კონფლიქტის ზონაში მოსახლეობამ შვება იგრძნოს. ეს გულისხმობს გზების გახსნას, ჰუმანიტარული ტვირთების თავისუფლად გადაადგილებას, და საერთოდ, იმ ფუნდამენტურ საკითხებს, რომელიც პრობლემის მოგვარებას ამუხრუჭებს.

**"ჩვენი კომისიის მუშაობის საყრდენი არის სოჭში მიღწეული შეთანხმება. ჩვენს წინაშე კონკრეტულად არის დასახული ამოცანები და ვალდებული ვართ, ისინი შევასრულოთ. მაგრამ, ჩვენი უფლებამოსილება ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს ყველაფერი სრულად შესრულდეს. ამ უფლებამოსილებებში ჩართულია ბევრი უწყება, რომელმაც მხარი უნდა აგვიბას და ერთიანად უნდა მივუდგეთ საკითხს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრა,"** - ამბობს გოგა ხაინდრავა.

ოფიციალური თბილისის მიმართ არ ელევა ბრალდებები სამხრეთ ოსეთის მხარეს და მათი განცხადებები გაცილებით კატეგორიულია.

**"ქართულ მხარეს 5 ნოემბერს სოჭში ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითს შორის ხელმოწერილი შეთანხმების და 19-20 ნოემბერს ვლადიკავკაზში შემუშავებული გეგმის არც ერთი მუხლი არ შეუსრულებია,"** - განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა.

მისი მტკიცებით, სოჭის შეთანხმებით გათვალისწინებული კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის ნაცვლად, ქართულმა მხარემ, შერეულ საკონტროლო კომისიასთან შეუთანხმებლად, რეგიონში 23 დამატებითი საგუგაშო გახსნა, მაშინ, როცა ოსურ მხარეს ჟვანია-კოკოითის 5 ნოემბრის შეხვედრის შემდეგ არც ერთი ახალი საგუშაგო არ გაუხსნია და შერეულ საკონტროლო კომისიასთან შეუთანხმებლად, დღემდე მხოლოდ ოთხი ოსური საგუშაგო ფუნქციონირებს.

**"ჩვენ 19-20 ნოემბერს ვლადიკავკაზში გამართულ შსკ-ის სხდომაზე ქართული მხარის მიერ დაყენებული ხუთივე პუნქტი შევასრულეთ,"** - ხაზგასმით აღნიშნა ჩოჩიევმა, რომლის მტკიცებით, გუშინ გამართულ სხდომაზე ქართულ მხარეს მათ მიმართ არც ერთი არგუმენტირებული პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ჩოჩიევი დაჟინებით მოითხოვს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან, როგორც სოჭის ხელშეკრულების ხელმომწერთან, შეხვედრას და იმედოვნებს, რომ ამგვარი შეხვედრის შემდეგ, ქართველი სამართალდამცველები, შერეულ საკონტროლო კომისიაში ქართული მხარის წარმომადგენელთან გიორგი ხაინდრავასთან შეუთანხმებლად, თვითნებურად არ იმოქმედებენ.

*ნინო გომართელი*

# პასუხისმგებლობის შიშს + უყურადღებობა + "კაი ბიჭობა"...

*პარლამენტი მძიმე ტვირთისგან თავისუფლდება: გუშინ, 107 ხმით 11-ის წინააღმდეგ (კვორუმი 79), მესამე მოსმენით მიიღეს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2005 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში. გუშინვე დეპუტატებმა "ხერხემალში გადატეხეს" (მეორე მოსმენით დაუჭირეს მხარი) კანონპროექტი "მაუწყებლობის შესახებ". ამასთან, დაიწყო მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურა, რომელიც საკმაოდ აკადემიურად წარიმართა - ოპოზიციის პასიურობის ფონზე, საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი დეპუტატები და პრემიერ-მინისტრი "შინაურული" კითხვა-პასუხით "იქცევდნენ თავს".*

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტში ესა თუ ის დოკუმენტი (ორგანული კანონის გარდა) 79 ხმით იქნება მიღებული, თუ - 235-ით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს - საკანონმდებლო აქტის ლეგიტიმურობის ხარისხი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. ამდენად, თითქოს უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ ახალ საგადასახადო კოდექსს მხოლოდ 107-მა დეპუტატმა მისცა ხმა. და მაინც: მრავლისმთქმელია, რომ ამ დროს სხდომათა დარბაზში 170-ზე მეტი პარლამენტარი იმყოფებოდა. ამდენად, დიდი ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სხდომაზე დამსწრე დაახლოებით 65 დეპუტატს ახალი საგადასახადო კოდექსი არ მოსწონს, მაგრამ მის წინააღმდეგ ხმის მიცემასაც ვერ ბედავს.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, საგადასახადო კოდექსის დებულებების უდიდესი ნაწილი 5-10-წლიან პერიოდზეა გათვლილი. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროის განმავლობაში დოკუმენტში არანაირი ცვლილება არ შევა - დახვეწა და სრულყოფა მას აუცილებლად დასჭირდება. სწორედ აქ იმალება ის საფრთხე, რომელზეც დეპუტატები ხმამაღლა საუბრობენ: საგადასახადო კოდექსის "გაკეთილშობილების" მოტივით, შესაძლოა, მასში ისეთი ცვლილებები შევიდეს, რომლებიც ლიბერალურ კოდექსს დრაკონულ ხასიათს შესძენენ. გარდა ამისა, დეპუტატების ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ძალიან შეზღუდულია მეწარმეებისა და მაკონტროლებელ უწყებათა დავის სასამართლო განხილვის ვადები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დეპუტატებს მინუსადაც კი ჩაუთვალონ ის, რომ თავის დროზე, მათ საგადასახადო კოდექსს მისცეს ხმა. სწორედ პასუხისმგებლობის აღების შიშით შეიძლება აიხსნას ის, რომ უმრავლესობის ბევრმა წევრმა გუშინდელ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები გუშინ მეორედ მაშინ "დაიმალნენ ჩირგვში", როდესაც კენჭისყრაზე დადგა დეპუტატ კახა კუკავას ალტერნატიული წინადადება, საპატრიარქოს რადიოსთვის ლიცენზიის გაგრძელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაცია 172 დეპუტატს ჰქონდა გავლილი, ალტერნატივას 33-მა დაუჭირა მხარი, ამდენივემ წინააღმდეგ მისცა ხმა, დანარჩენი 104 კი... ვითომ დარბაზში არ ყოფილა!

"უჩინმაჩინის ქუდით" სხდომაზე ჯდომა უმრავლესობას მალე ცუდად შეუბრუნდა უკან: ერთ-ერთი კანონპროექტი იმის გამო ვერ გავიდა, რომ 88-კაციანი კვორუმის პირობებში, მას მხოლოდ 86-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტიდან გამომდინარე მთელი პაკეტი ჩავარდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, დეპუტატების პასიურობის მიზეზი პასუხიმგებლობისადმი შიში ნამდვილად არ ყოფილა - დეპუტატები, უბრალოდ, სხვა საქმეებით იყვნენ გართული და ხმის მიცემა... დაავიწყდათ.

პარლამენტარებმა გუშინ კიდევ ერთხელ მაშინ "ისახელეს თავი", როდესაც, ერთი შეხედვით, ფორმალური პროცედურა უნდა შეესრულებინათ. როგორც ცნობილია, დეპუტატ ჯაბა მაღლაკელიძეს ავტოავარია მოუხდა, რომლის დროსაც მოქალაქე დაიღუპა. ამის შემდეგ მან საკანონმდებლო ორგანოს სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით მიმართა. პარლამენტარებმა კი გუშინ "კაი ბიჭობა" გამოიჩინეს: მეგობრის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტთვის ხმის მიცემა იუკადრისეს.

**"ხალხო, რას შვრებით, ასე მოქცევა არ შეიძლება. ამით თავად მაღლაკელიძის საკონსტიტუციო უფლებას არღვევთ,"** - დიდხანს ტუქსავდა აღშფოთებული ხათუნა გოგორიშვილი "კაი ბიჭებს". ასე რომ, საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს ახლა თავად მოუწევს ჩიხიდან გამოსავლის ძებნა.

ამ მინი-სკანდალის შემდეგ პარლამენტი საბიუჯეტო "ტალღაზე" გადაერთო: პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ დეტალურად ისაუბრა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მახასიათებლებზე.

მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელის თქმით, მომავალ წელს დასრულდება შიდადავალიანების გასტუმრების პროცესი; საბაზო პენსია 18 ლარი გახდება, მინიმალური ხელფასი კი - 115 ლარი (იმ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, რომლებიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებიან); დაიწყება უკიდურესი სიღარიბის დაძლევის პროგრამის რეალიზება...

აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი განსაკუთრებული ზრუნვის სფეროდ მიიჩნევს, აგრეთვე, თავდაცვისუნარიანობისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. ამ მიზნით ხელისუფლებას 373 მილიონი ლარი აქვს "გადადებული", პლუს - პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების სოლიდური ნაწილი. პრიორიტეტულად ცხადდება ინფრასტრუქტურის (გზები, კომუნიკაციები, ენერგეტიკა) მოწესრიგებაც.

**"მომავალ წელს საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის სიმძლავრე 1100-დან 1800 მეგავატსაათამდე გაიზრდება. ეს ის სიმძლავრეა, რომელიც საახალწლოდ საქართველოს გაჩახჩახებას სჭირდება,"** - აცხადებს პრემიერ-მინისტრი. მისივე თქმით, 2005 წელს დაიწყება ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც 18 თვეში დასრულდება და უახლესი ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი.

ზურაბ ჟვანია არც დეპუტატების წინაშე დარჩა პირშავად. **"2005 წელს პარლამენტის ბიუჯეტი უპრეცედენტოდ მაღალ ნიშნულს მიაღწევს,"** - სასიამოვნო ინფორმაციით დაემშვიდობა პრემიერი კანონმდებლებს.

# "ნატოშიც ჩოხით შეხვალთ?"

კრემლში რუსეთის პრეზიდენტს, პერიოდულად, უცხოეთის ქვეყნების ელჩები რწმუნებათა სიგელებს გადასცემენ ხოლმე. ეს ცერემონიალი მოსაწყენი და უინტერესოა. გუშინაც ყველაფერი ტრადიციულად გამოიყურებოდა. კრემლის მოოქროვილი დარბაზების სიჩუმეს ამჯერად ბრუნეიდარუსსალამის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის, ინდოეთის, ერაყის, საქართველოს, მალტის და ევროპულ საზოგადოებათა კომისიის ელჩები არღვევდნენ.

საქართველოს ელჩის გამოჩენაზე პუტინის პრესსამსახურის ხუთკაციანი ჯგუფი გამხიარულდა. მიზეზი ვალერი ჩეჩელაშვილის ქართული ჩოხა და ხანჯალია. ქართველი ელჩის ჩოხის გარდა, რუსეთის პრეზიდენტს თვალში აუცილებლად მოხვდებოდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის წითელი, მოოქროვილეპოლეტებიანი მუნდირი. ერაყის წარმომადგენელი კი, "ყველას ჯინაზე", ევროპული კოსტუმით გამოეცხადა პუტინს.

სიგელების გადაცემის წინ რუსეთის პრეზიდენტმა იქ წარმოდგენილ სახელმწიფოებთან რუსეთის თანამშრომლობაზე ზოგადი ფრაზები წარმოთქვა, თუმცა ხაზი გაუსვა რუსეთის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირს - პარტნიორი ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობას, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის დაცვის პრინციპების აღიარებას.

"საქართველო რუსეთისათვის არა მარტო მეზობელია, ჩვენს ხალხებს კულტურული და სულიერი კავშირები აერთებს. რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობით. ეს პასუხობს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს," - განაცხადა პუტინმა.

პუტინის პრესსამსახურის ერთი წარმომადგენელი მოგვიანებით ხუმრობდა, რომ სტალინის შემდეგ კრემლში ქართველი იარაღით არ შესულა, გამონაკლისი სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლისათვის დაუშვესო. "ნატოშიც ჩოხით შეხვალთ?" - ირონიულად იკითხა ერთ-ერთი სამთავრობო სააგენტოს კორესპონდენტმა.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*


## შპს "საქაერონავიგაცია"

### განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ღია კონკურსს საწვავის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**კონკურსის პირობები:**

1. შესასყიდი საწვავის დასახელება და სავარაუდო რაოდენობა:
ა) ბენზინი "რეგულარი" - ოქტანური რიცხვი არანაკლებ 91, სატალონო მომსახურებით) - 40000 ლიტრი.
ბ) ბენზინი "პრემიუმი" - ოქტანური რიცხვი არანაკლებ 95, სატალონო მომსახურებით - 5000 ლიტრი.
გ) დიზელი "**L 62**", სატალონო მომსახურებით - 40000 ლიტრი
დ) დიზელი "**L 62**", შპს "საქაერონავიგაციის" მიერ მითითებულ ადგილზე მიწოდებით - 125000 ლიტრი.

2. კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული საწვავის მოწოდება შპს "საქაერონავიგაციის" მოთხოვნით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

3. საწვავის მოწოდება უნდა განხორციელდეს 2005 წლის განმავლობაში შპს "საქაერონავიგაციის" მოთხოვნის მიხედვით. ამასთან, ამ განცხადების მე-2 პუნქტში მითითებული რაოდენობები ხეკლშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიძლება შეიცვალოს. შესასყიდი ობიექტების აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, შეეძლებათ 2004 წლის 23 დეკემბრიდან მისამართზე: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".

5. ამ განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეადგინონ მათი საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები (საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შემადგენელ ნაწილს). საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნას წარმოდგენილი ამ განცხადების მე-5 მუხლში აღნიშნულ მისამართზე 2004 წლის 23 დეკემბრიდან 2005 წლის 8 იანვრის 17.00 საათამდე. შპს "საქაერონავიგაციას" უფლება აქვს კონკურსის მონაწილეებს მოთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.
6. კონკურსის თაობაზე დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ამ განცხადების მე-5 მუხლში მითითებულ მისამართზე. ვებ გვერდი: **www.airnav.ge.** ტელეფონი: +995 77 798548 (საკონტაქტო პირი ბესო სეხნიაშვილი).

## შპს "საქაერონავიგაცია"

### აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:

**საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტები**

**მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
1. ფლობენ UNIX ოპერაციული სისტემის საფუძვლებს მომხმარებლის დონეზე;
2. ფლობენ კომპიუტერული პროგრამირების საფუძვლებს;
3. აქვთ უმაღლესი განათლება;
4. თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
5. სასურველია სამუშაო გამოცდილება.

**შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირების და გაშვების შესწავლა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში შეძლოს შეცვალოს ოპერაციული სისტემის პარამეტრები. ასევე შეისწავლიან სისტემის უზრუნველყოფის ყველა საშუალებებს.**

**საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები**

**მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
1. ფლობენ **UNIX** ოპერაციული სისტემის საფუძვლებს მომხმარებლის დონეზე;
2. ფლობენ კომპიუტერული პროგრამირების საფუძვლებს;
3. აქვთ უმაღლესი განათლება;
4. თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
5. სასურველია სამუშაო გამოცდილება.

**შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის მდგომარეობის შეფასების (ანალიზი) და დაზიანებების აღმოფხვრის ხერხების შესწავლა.**

**ხმოვანი შეტყობინებების გადაცემის სისტემის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები (საკაბელო)**

**მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
1. ფლობენ კავშირგაბმულობის (კომუნიკაციების) სისტემის საფუძვლებს;
2. პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა მომხმარებლის დონეზე;
3. აქვთ უმაღლესი განათლება;
4. თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
5. სასურველია სამუშაო გამოცდილება.

**შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის მდგომარეობის შეფასების (ანალიზი) და დაზიანებების აღმოფხვრის ხერხების შესწავლა.**

**(VHF) რადიოკავშირის ქვესისტემის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები**

**მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
1. ფლობენ რადიოკავშირის სისტემის საფუძვლებს;
2. პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა მომხმარებლის დონეზე;
3. აქვთ უმაღლესი განათლება;
4. თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
5. სასურველია სამუშაო გამოცდილება.

**შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის მდგომარეობის შეფასების (ანალიზი) და დაზიანებების აღმოფხვრის ხერხების შესწავლა.**

*დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მოყვანილ პირობებს, 2005 წლის 31 იანვრამდე უნდა წარმოადგინონ წერილი (აღწერა თუ რატომ გსურთ ვაკანსიის დაკავება), ბიოგრაფიული მონაცემები (CV), ასევე სასურველია, სარეკომენდაციო წერილი (იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება არსებობს) და 1 ფოტოსურათი მისამართზე: თბილისი, აეროპორტის დასახლება N8. ან გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: office@airnav.com.ge*

*დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: +995 32 947739, + 995 32 947373*

## ООО САКАЭРОНАВИГАЦИЯ

### объявляет конкурс на следующие вакансии:

**Специалисты программного обеспечения систем УВД.**

**Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны:**
1. *иметь базовые знания программ операционных систем, подобных Unix на уровне пользователя;*
2. *иметь базовые знания по компьютерному программированию;*
3. *иметь высшее образование;*
4. *свободно владеть грузинским и английским языками;*
5. *желательно иметь опыт работы.*

**Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний по конфигурации и наладке программного обеспечения, чтобы менять операционные параметры системы, а также получают подготовку по всем программным средствам, обеспечивающим систему.**

**Специалисты технического обслуживания систем УВД**

**Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны иметь:**
1. базовые знания программ операционных систем, подобных Unix (на уровне пользователя)
2. базовые знания по компьютерному программированию.
3. иметь высшее образование;
4. свободно владеть грузинским и английским языками;
5. желательно иметь опыт работы.

**Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний, обходимых, чтобы уметь анализировать состояние системы и знать любые способы исправления неисправностей.**

**Специалисты технического обслуживания для системы передачи речевых сообщений (телефонной связи)**

**Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны иметь:**
1. базовые знания системы связи.
2. знания компьютера на уровне пользователя
3. иметь высшее образование;
4. свободно владеть грузинским и английским языками;
5. желательно иметь опыт работы.

**Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний, обходимых, чтобы уметь анализировать состояние системы и знать любые способы устранения неисправностей.**

**Специалисты технического обслуживания для подсистемы УКВ радиосвязи:**

**Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны иметь:**
1. базовые знания системы радиосвязи.
2. знания компьютера на уровне пользователя
3. иметь высшее образование;
4. свободно владеть грузинским и английским языками;
5. желательно иметь опыт работы.

**Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний, необходимых, чтобы уметь анализировать состояние системы и знать любые способы устранения неисправностей.**

***Заинтересованные лица, которые удовлетворяют выше указанным условиям, до 31 января 2005 года должны представить письмо с объяснением, почему вы желаете занять указанную вакансию, автобиографию (CV), также желательно представить рекомендацию (в том числе при наличии трудового стажа) и одну карточку по следующему адресу: Тбилиси, поселок Аэропорта №8 или переслать по электронной почте по адресу office@airnav.com.ge***

***Для получения дополнительной информации обращайтесь по телефону +995 32 947739, +995 32 947373***


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




# ნათქვამი იყო, გამჭვირვალედო

პირველი გვერდიდან

ხოლო იქაც კი, სადაც ტენდერი ცხადდება, რატომღაც კონკურენცია საერთოდ არ არის, ან ერთი მინისტრის ერთი ნათესავი თუ მეგობარი იმავე მინისტრის მეგობარს თუ ნათესავს სიმბოლურად, ისევ და ისევ "ზრდილობის" გამო უპირისპირდება, მერე ერთ რეგიონში განთავსებულ ორად-ორ მეტ-ნაკლებად ნორმალურ სასტუმროს, "სრულიად შემთხვევით", ერთი ოჯახის წევრები ეპატრონებიან და... სახეც შენარჩუნებულია.

ხოლო თუ შენარჩუნებულიც არ არის, საქართველოს პრეზიდენტს ხომ ყოველთვის შეუძლია, უთხრას ოპონენტს, რომელსაც წინდახედულობა არ ეყო თუ საკუთარი პოლიტიკური წარსული დაავიწყდა და სანაოსნოს გაყიდვის გამო გარკვეული ეჭვების გამოთქმა მოისურვა, რომ: **"გამყრელიძემ და მისნაირებმა შევარდნაძის მმართველობის დროს ქონება საკმაოდ საეჭვო ვითარებაში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად იშოვეს და მაშინ პრეტენზიების გამოთქმის სურვილი არავის, მათ შორის, არც გამყრელიძეს გასჩენია"...**

საქართველოს პრემიერს კი შეუძლია თქვას, რომ არ აპირებს ოპოზიციის ქოქოლის მშვიდად მოსმენას.

**"თუ გაქვთ სურვილი, პრივატიზაციაში მონაწილეობა მიიღოთ და ფულს რეალურად გადაიხდით, ჩვენ ამას მივესალმებით, თუ არადა, გვაცადეთ საქმის კეთება,"** - ამბობს პრეზიდენტი, მაგრამ მშვენივრად იცის, რომ დღეს არც ფინანსური ამნისტიაა მიღებული და არც ამდენი თეთრი ფული აქვს ქართველ ბიზნესმენს. ამიტომაც, "აბსოლუტურად სუფთა სინდისით", საქართველოს მთავრობა გუშინ საქმის კეთებას აგრძელებდა.

საქმის კეთების კონტექსტში გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში, საქართველოს პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან უკრაინული კომპანია "ინტერბაიკის" და ყაზახური "ალ ფეროლის" წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ამ ერთ ვიზიტში საინტერესო, მინიმუმ, ორი რამ გახლდათ: პირველი ის, რომ "ინტერბაიკი" უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას სიძის, ვიქტორ პინჩუკის კომპანიაა და იგი გუშინ საკუთარ კომპანიას თავად წარმოადგენდა; მეორე - სწორედ ამ ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საქართველო "ტყიბულნახშირის", "ვარციხეჰესის" და "ჭიათურმანგანუმის" ერთ ლოტად გაყიდვას გეგმავს. მართალია, უკრაინულ ან ყაზახურ კომპანიასთან დაკავშირებით "გადამწყვეტი სიტყვა" დღეს ხელისუფლებას არ უთქვამს, თუმცა ეკონომიკის სამინისტროს საიტზე, სადაც საპრივატიზაციო ობიექტებზე გამოცხადებული კონკურსების ნუსხაა გამოქვეყნებული, ეს ლოტი რომ არ შემხვედრია, ამაში დარწმუნებული ვარ.

დაბოლოს, საქართველოს ხელისუფლება 2005 წელს პრივატიზაციიდან 200 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს - ეს მინიმუმ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ თავად მთავრობაში. ამ თანხის ხარჯიც უკვე "გაწერილია": 70-80 მილიონი თავდაცვას, 70-80 მილიონი - გზებს და ინფრასტრუქტურას, დანარჩენი - სოციალურ ხარჯებს. ასეა ნათქვამი.

ისე, ნათქვამი ისიც იყო, რომ ყველა ობიექტი ღიად და გამჭვირვალედ გაიყიდებოდა...

# პარტიული უდისციპლინობა და ქაოსი თელავის საკრებულოში

პირველი გვერდიდან

აურზაური თელავში მას შემდეგ დაიწყო, რაც კახეთის გუბერნატორად პეტრე ცისკარიშვილი დაინიშნა, ხოლო თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად - ყოფილი "ტრადიციონალი" გოჩა მამაცაშვილი. ბოლოს სიტუაცია ისე გამწვავადა, რომ სახელისუფლებო პარტიის თელავის წარმომადგენლობაში ერთმანეთთან დაპირისპირება ხელჩართულ ბრძოლაშიც გადაიზარდა. მოვლენები მას შემდეგ ჩაწყნარდა, რაც პრეზიდენტი სააკაშვილი ეწვია კახეთს.

მიუხედავად იმისა, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტისთვის ბრძოლას მაინც არაფერი ეშველა. ეს ბრძოლა ექვს თვეზე მეტია გრძელდება. საკრებულოს თავმჯდომარეები ოთხჯერ აირჩიეს და ოთხჯერვე გადაირჩიეს. ამის გამო თელავის რაიონულ სასამართლოში დავები არ წყდება.



ზვიად რუაძის ფოტო

*ასე მსჯელობენ თელავის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე.*

თავმჯდომარეობაზე მთავარი კონკურენტები გოჩა მამაცაშვილის პროტეჟე, ყოფილი "ტრადიციონალი," ამჯერად "ნაციონალი" მაია დავითაშვილი და ლექსო ძულიაშვილი არიან. ეს უკანასკნელი ჟვანიას გუნდის წევრად მოიაზრება. დაპირისპირების მიზეზს საკრებულოს ამჟამად მოქმედი თავმჯდომარე ლექსო ძულიაშვილი იმით ხსნის, რომ დეპუტატთა უმრავლესობაზე გარკვეული ძალებისგან ზეწოლა ხდება. გარდა ამისა, ძულიაშვილი დეპუტატთა ნაწილის უპასუხისმგებლობაზეც საუბრობს: **"ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება ასე, გაურკვეველი მიზეზების გამო წერდნენ საკრებულოდან გასვლის თაობაზე განცხადებებს და როგორც მოესურვებათ, ისე მიდი-მოდიოდნენ,"** - ამბობს ძულიაშვილი. მის წინააღმდეგად, სულ მალე, საოლქო სასამართლოში პროცესი გაიმართება. მას უკვე მერამდენედ უჩივის მაია დავითაშვილი.

დავითაშვილის მტკიცებით, საკრებულოს თავმჯდომარის ბოლო არჩევნები პროცესუალური ნორმების დალღვევით წარიმართა. **"ძულიაშვილის ზეწოლის გამო, უმრავლესობა ვეღარ იკრიბება და პრობლემები თელავში ამიტომაც დაგროვდა. რაც შეეხება ჩემსა და გოჩა მამაცაშვილის ურთიერთობას, ჩვენ რვა წელია, რაც პოლიტიკაში ერთად ვართ . და რა გასაკვირია, რომ ის ჩემს გვერდით იდგეს?"** - ამბობს დავითაშვილი.

საკრებულოს ის წევრები, რომლებმაც წასვლის შესახებ განცხადებები დაწერეს, ყველანაირ კომენტარზე უარს ამბობენ.

ასეთი არეულობის გამო, ექვსი თვეა, თელავის საკრებულოს ქალაქისთვის არც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია. არადა, ამ ხნის განმავლობაში, უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელიც განხილვას საჭიროებს. საზოგადოების უმრავლესობა თავს შეურაცხყოფილად აღიქვამს, რადგან ნდობის მანდატი თელაველებმა საკრებულოს წევრებს გულხელდაკრეფილი ჯდომისთვის კი არა, მოქალაქეთა პრობლემების დროულად და სწორად გადაწყვეტისთვის გადასცეს.

სახელისუფლებო ბლოკის მიმართ რადიკალურად განწყობილი პარტიები კი "ნაციონალების" პარტიული დისციპლინის მოშლაზე ალაპარაკდნენ. **"საკვირველი ის არის, რომ ძულიაშვილი და დავითაშვილი ერთი პარტიის წევრები არიან. მათი ქმედება კი პოლიტიკური დისციპლინის პრობლემას უკავშირდება. ეს კი ამ ადამიანებს და საერთოდ სახელისუფლებო პარტიის წევრებს აკლიათ. თუმცა ეს ყველაფერი პარტიის თელავის ლიდერის ბრალია, რომლის არსებობაც თვით პარტიის წევრებმაც არ იციან,"** - ამბობს ედპ-ს წარმომადგენელი თელავის რაიონში ზაზა ჩიკვაიძე.

# გურიის გუბერნატორის მოულოდნელი გადაწყვეტილება

პირველი გვერდიდან

**"მე თქვენ სრული კარტბლანში მოგეცით, რათა უკეთ გემუშავათ. ყველა ვხედავთ, თუ რა მძიმე სიტუაცია შეიქმნა რაიონში, რომელიც ვერ იარსებებს მხოლოდ კარგად შესრულებული ბიუჯეტით, თუმცა ეს უკანასკნელიც არ ჩაითვლება ოდენ ადგილობრივი ხელისუფლების მიღწევად. მე ვერ ვხედავ ახლებურ მიდგომას, ინოვაციას, ინიციატივას, ჩემთვის პრიორიტეტულ ეფექტიან საქმიანობას. თქვენ ის გააკეთეთ ამ პერიოდში, რასაც ალბათ ყველა გააკეთებდა, თქვენს ადგილზე რომ ყოფილიყო,** -საკმაოდ მკაცრი ტონით განუცხადა გამგეობის დაზაფრულ წევრებს ჟანი კალანდაძემ და საბოლოო ვერდიქტიც ზედ მიაყოლა, - **მე დავაყენებ წინადადებას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, დაკავებული თანამდებობიდან ოზურგეთის რაიონის გამგებლის თამაზ სალუქვაძის გადაყენების შესახებ. უნდა შეიცვალოს გამგეობისა და აპარატის შემადგენლობები და იქ ის ადამიანები მოვიდნენ, ვინც თამაშის ახალ წესებს გაიზიარებენ."**

ეს გადაწყვეტილება ერთობ მოულოდნელი გახლდათ, რადგან რევოლუციის შემდგომი ადგილობრივი ხელისუფლება არ სარგებლობდა მაინცდამაინც უარყოფითი რეპუტაციით, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ინერციით მუშაობას კეთილი ბოლო არ ექნებოდა.

ვინ იქნება ოზურგეთის რაიონული გამგეობის საჭეთმპყრობელი, თუ საქართველოს პრეზიდენტმა მხარის რწმუნებულის მოთხოვნა დააკმაყოფილა? - ამის შესახებ, ჯერჯერობით, არც კულუარებში და არც საზოგადოებაში არავინ საუბრობს. ყველაფერი ისე მეყსეულად აღსრულდა, რომ მოსახლეობამ ჭორის მოგონებაც კი ვერ მოასწრო.

ამ დღეებში ჟანი კალანდაძე ჩოხატაურისა და ლანჩხუთის გამგეობათა ანგარიშებსაც მოისმენს. შესაძლებელია, აქ საკადრო ცვლილებებამდე საქმე არ მივიდეს, რადგან რწმუნებულისავე განცხადებით, ამ რაიონებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

# ოზურგეთში ძველ წელს ბიუჯეტისგან უჩუმრად, თუმცა ხმაურით გააცილებენ

წლეულს ოზურგეთელებს საშუალება მიეცემათ, რომ ძველი წელი ისე გააცილონ, როგორც ეს ცივილიზებული ქვეყნების ქალაქებში ხდება. კერძოდ, ჩატარდება მასობრივი მსვლელობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. ცენტრალურ მოედანზე კი დიდი საკონცერტო სანახაობა გაიმართება. ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტის ნაძვის ხის ზეიმს ოზურგეთში საქართველოს პრეზიდენტიც შეუერთდება.

იგი, კარგა ხანია, ნანატრ სტუმარს წარმოადგენს აქაურთათვის. გუბერნატორის მეთვალყურეობით, უკვე რამდენიმე დღეა მუშაობს საორგანიზაციო ჯგუფი, რომელშიც ხელისუფლების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან გაერთიანებული. საახალწლო ზეიმი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდება. გუბერნატორი იმასაც გვპირდება, რომ ახალწლის წინა და მომდევნო დღეებში ოზურგეთის მოსახლეობა უფრო გამეტებულად მიიღებს ელექტროენერგიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მკაცრად მოსთხოვს პასუხს ადგილობრივი ენერგოქსელის ხელმძღვანელებს.

**"ჩვენ შეიძლება ბევრი საზეიმო არ გვქონდეს, მაგრამ ახალი წელი ისეთი საყოველთაო დღესასწაულია, ადამიანების ცნობიერებაში მტკიცედ ფეხმოკიდებული, რომ მას შეჭირვებულიცა და დალხინებულიც, დიდი და პატარა, ერთნაირი აზარტითა და გულითადობით აღნიშნავს. ჩვენი ვალია, ამ საახალწლოდ მაინც გამოვუკეთოთ გუნება-განწყობილება ადამიანებს,"** - აცხადებს ჟანი კალანდაძე.

მოზეიმეები ბიუჯეტის ფულს არ გამოიყენებენ. გამოძებნილია დაფინანსების სხვა წყაროები.

# მარნეულში აზერბაიჯანი სპორტკომპლექსს ააშენებს

პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში რამიზ გასანოვი მარნეულში ჩავიდნენ. მათ იმ გრანდიოზული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის პროექტის ერთობლივი პრეზენტაცია გამართეს, რომლის მშენებლობაც მთლიანად აზერბაიჯანულმა მხარემ ითავა. რამიზ გასანოვის განცხადებით, ამ მშენებლობაზე დაახლოებით მილიონნახევარი დოლარი დაიხარჯება და ის ამიერკავკასიაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

სპორტკომპლექსის ასაშენებლად ადგილი მარნეულის ცენტრში, იმ სკვერში გამონახეს, რომლის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა მიხეილ ჯავახიშვილის საკმაოდ მოუვლელი ძეგლია. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, სკვერის მწვანე ზოლს, ანუ ხეებს, არავითარ შემთხვევაში არ მოჭრიან. აი, ჯავახიშვილის ძეგლს კი, შესაძლოა, ადგილი შეუცვალონ და უფრო გამოსაჩენ ადგილზე გადაიტანონ. აზერბაიჯანის ელჩის თქმით, სპორტკომპლექსის მშენებლობა მომავალი წლის იანვარ-თებერვალში დაიწყება.

რწმუნებულმა და ელჩმა მარნეულიდან გარდაბანში გადაინაცვლეს, სადაც ერთობლივად გახსნეს კულტურის სასახლე, საფეხბურთო მოედანი და ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი, სადაც აზერბაიჯანის მხარის მიერ ნაჩუქარი კომპიუტერებით ადგილობრივ მოსახლეობას და ნებისმიერ მსურველს ქართულ ენას შეასწავლიან.

საზეიმო ღონისძიებების გარდა გარდაბანში ოფიციალური შეხვედრაც გაიმართა, სადაც ცნობილი გახდა მიწის პრობლემის მოგვარებისთვის რაიონში გადადგმული პირველი ნაბიჯების თაობაზე. კერძოდ, სოფელ ჯანდარაში 14 მსხვილ მეიჯარეს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, მიწის საიჯარო ხელშეკრულება გაუუქმეს. გამოთავისუფლებული 950 ჰექტარი მიწა იმავე სოფლის საინიციატივო ჯგუფებს კონკურსის წესით გადაუნაწილდებათ. როგორც გარდაბნის გამგებელმა დავით ნადაშვილმა "24 საათს" განუცხადა, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა და დაახლოებით ერთი თვის წინ სოფელ ლემშვენიერაში სწორედ ამ გზით ათასამდე ჰექტარი მიწა გამოათავისუფლეს ხელახალი კონკურსების ჩასატარებლად. გამგებელი ამტკიცებს, რომ მიწის მეიჯარეების მხრიდან წინააღმდეგობას არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. "ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქვემო ქართლის რაიონებმა თავიანთი ფუნქცია დაიბრუნონ, აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, განვითარდეს მეცხოველეობა. ამისათვის ჩვენ უახლოეს მომავალში მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ბიზნესპროექტებს განვახორციელებთ," - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში.

# უშიშროება რუსთავის სასამართლოში შევიდა და... გამოვიდა

გუშინ საღამოს რუსთავის საქალაქო სასამართლოში უშიშროება შევიდა. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ერთ-ერთი მოსამართლის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებას აპირებდნენ. თვითმხილველების თქმით, უშიშროების თანამშრომლები სასამართლოს შენობაში დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ, საიდანაც ხელცარიელები გამოვიდნენ და იქვე მდებარე ადვოკატურის ოფისში შევიდნენ. ოფისიდან მათ 24 წლის ადვოკატი ნანა ჯახველიძე გამოიყვანეს.

"ამათ საიდანღა გაიგეს," - ამბობდნენ უკმაყოფილო ძალოვანები ჟურნალისტების მისამართით.

"მე არაფერი დამიშავებია. მხოლოდ ჰონორარი ავიღე კლიენტისგან. სად მიგყავართ," - კიოდა დაკავებული.

"მოქალაქემ მოგვმართა განცხადებით, რომ განქორწინების პროცესის დაჩქარებისთვის მას სძალავდნენ 400 დოლარს. შუამავალი იყო ადვოკატი, რომელიც კლიენტს ეუბნებოდა, რომ ეს თანხა უნდა გადაეცა მოსამართლისთვის. ჩატარდა ოპერატიული ღონისძიება. გადავამოწმეთ და ფაქტი (ქრთამი) აღმოაჩნდა ადვოკატს. ჩატარდება გამოძიება. თუ გამოიკვეთება მოსამართლის დანაშაული, მიეცემა პასუხისგებაში. მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით," - ასეთი კომენტარი გააკეთა კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ თოფურიძემ. მისივე თქმით, დაკავებული ადვოკატი თბილისში გადაიყვანეს.

აღნიშნული ოპერაციის თაობაზე არაფერი იცოდნენ უშიშროების ქვემო ქართლის სამმართველოში.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მომავალი წლის პირველი იანვრიდან პენსია 14-დან 28 ლარამდე გაიზრდება, ხოლო ცენტრალურ ბიუჯეტს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის სახელფასო მინიმუმი 115 ლარი გახდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ოთხშაბათს გამართულ საკანონმდებლო ორგანოს სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, სადაც 2005 წლის ბიუჯეტისა და მთავრობის პრიორიტეტების საკითხებს იხილავდნენ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, უკლებლივ ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილი იქნება არა მარტო საარსებო მინიმუმს გათანაბრებული სახელფასო ანაზღაურება 115 ლარის ოდენობით, არამედ შესაძლებელი გახდება ხელფასის დიფერენცირების სისტემის შენარჩუნება. ამასთან, როგორც ჟვანია აღნიშნავს, 2005 წელს ხელისუფლება 250 მლნ ლარის ოდენობით შიდა და სახელფასო დავალიანებებს გაისტუმრებს. პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა და გზების შეკეთება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის რაიონულმა საგადასახადო ინსპექციამ ოქტომბერ-ნოემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. როგორც პრაიმ-ნიუსს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა ზურაბ ბერიძემ აცნობა, ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ ოქტომბერ-ნოემბრის გეგმა 120-124 პროცენტით შეასრულა. ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი გეგმით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციას ოქტომბერში 3,449 მლნ ლარის მობილიზება ევალებოდა, თუმცა რაიონულმა ინსპექციამ ბიუჯეტში 4,147 მლნ ლარი შეიტანა. ნოემბრის საპროგნოზო მაჩვენებელი ბათუმის საგადასახადო ინსპექციას, ოქტომბერთან შედარებით, 400 ათასი ლარით გაეზარდა და 3,882 მლნ ლარი შეადგინა. ამის მიუხედავად, ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ გეგმა 124 პროცენტით შეასრულა. ზურაბ ბერიძის განმარტებით, 21 დეკემბრისთვის ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ დეკემბრის გეგმის 72 პროცენტზე მეტის მობილიზება უკვე მოახერხა. ბერიძე დარწმუნებულია, რომ გეგმა კვლავ გადაჭარბებით შესრულდება. ზურაბ ბერიძე ბათუმის საგადასახადო ინსპექციის უფროსად სექტემბრის შუა რიცხვებში დაინიშნა, მაშინ ბათუმის საგადასახადო სამსახური გეგმის შესრულებას ვერ ახერხებდა. ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს, გეგმის გადაჭარბებით შესრულებით 2,3 მლნ ლარის გარღვევა გადაფაროს, რომელიც უკვე 800 ათას ლარამდეა შემცირებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგადასახადო დეპარტამენტმა, 21 დეკემბრის ოპერატიული მონაცემებით, იანვარ-დეკემბრის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 29,8 მლნ ლარის გადაჭარბებით შეასრულა. როგორც პრაიმ-ნიუსს ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, საგადასახადო შემოსავლების 12 თვის გეგმა 1,202 მლრდ ლარით განისაზღვრა და ბიუჯეტში ჯერ კიდევ წლის ბოლომდე 1,231 მლრდ ლარია მობილიზებული. ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საგადასახადო დეპარტამენტის თითქმის ყველა რაიონული ინსპექცია გეგმის გადაჭარბებით შესრულებას ახერხებს, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თელავის საგადასახადო ინსპექციას აქვს, რომელმაც 12 თვის საპროგნოზო გეგმა 113,6 პროცენტით შეასრულა და ბიუჯეტში 21,473 მლნ ლარის ნაცვლად 24,396 მლნ ლარის მობილიზება მოახერხა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზღვრის დაცვის დეპარტამენტს თბილისის ელექტროგამანაწილებელმა კომპანია "თელასმა" ელექტროენერგიის მიწოდება სამშაბათს საღამოს აღუდგინა, რითაც სისტემა სრულ პარალიზებას გადაურჩა. როგორც პრაიმ-ნიუსს "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვალერი ფანცულაიამ განუცხადა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა წარმოადგინა შს სამინისტროს ხელმძღვანელობის საგარანტიო წერილი 60 ათას ლარზე, რომლის საფუძველზეც უახლოეს დღეებში მოხდება როგორც ძველი დავალიანების დაფარვა, ასევე მიმდინარე თანხების გადახდაც. კომპანია "თელასმა" საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ელექტროენერგიის მიწოდება ორი დღის წინ შეუწყვიტა მოხმარებული ელექტროენერგიის 35-ათასლარიანი დავალიანების გამო. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებდნენ, "ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გარეშე საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებების შესრულება სათუო გახდებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია პირობას დებს, რომ "ღმერთმა არ ქნას და, თუ რაიმე ავარია არ მოხდა, ანძები არ წაიქცა და რაიმე აფეთქება არ განხორციელდა, ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით, ახალი წლისათვის ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობა იქნება." პრემიერ-მინისტრის თქმით, ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით, ნორმალური მდგომარეობა იქნება არა მარტო საახალწლოდ, არამედ მის შემდგომ პერიოდშიც. ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარება ამჟამადაც მიმდინარეობს და დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება. თბილისის მოსახლეობას ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში ელექტროენერგიით ოცდაოთხსაათიან მომარაგებას "თელასიც" ჰპირდება. როგორც კომპანიაში აცხადებენ, საახალწლო დღეებში რაიონებში სხვადასხვა ენერგოობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული გეგმური გამორთვები არ განხორციელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისელი პედაგოგები დეკემბრის თვის ხელფასებს საახალწლოდ ვერ მიიღებენ. თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის ინფორმაციით, თბილისელი პედაგოგები მიმდინარე თვის ხელფასებს ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული რეჟიმით, 2005 წლის იანვრის 10 რიცხვამდე მიიღებენ. შარშან თბილისელ პედაგოგებს დეკემბრის თვის ხელფასები ახალ წლამდე დაურიგდათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ათასწლეულის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ორი სპეციალური ფონდი შეიქმნება. როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, დაგეგმილია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბიზნესის მხარდაჭერის ფონდების შექმნა. მისი თქმით, ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდი რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებს დააფინანსებს. პროექტები ტენდერის საფუძველზე შეირჩევა, დაფინანსება კი გრანტის სახით რაიონებზე გადანაწილდება. რაც შეეხება მეორე ფონდს, როგორც ჟვანიამ აღნიშნა, ბიზნესის მხარდაჭერის ფონდის მეშვეობით ბიზნესმენებს შესაძლებლობა ექნებათ, გრძელვადიანი პროგრამების დასაფინანსებლად იაფი რესურსი მოიზიდონ. აღნიშნული ფონდი, ძირითადად, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს დააფინანსებს. ათასწლეულის პროგრამის დაწყებას პრემიერ-მინისტრი საქართველოში მომავალი წლის დასაწყისში ვარაუდობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამი დღის წინ ავარიულად გამორთულმა მესამე ენერგობლოკმა მუშაობა განაახლა. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, ბლოკის დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და "თბილსრესის" ადმინისტრაციამ იგი ჩართო. ენერგობლოკი ამჟამად 60 მეგავატი სიმძლავრის დატვირთვით მუშაობს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მესამე ენერგობლოკი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ჩართულა. წელს მისი ჩართვა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამისათვის "თბილსრესმა" 500 ათას ლარამდე თანხა დახარჯა. ამჟამად მესამე ენერგობლოკს გაზს "თბილგაზი" აწვდის. **ინტერ-პრესი**


## ს.ს. "თელასი" გაყიდის:

| N | ა/მ მარკა, მოდელი | გამოშვების წელი | ა/მ ფერი | ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | Jeep Grand Cherokee 4.0 | 1998 | წითელი | $ 7000 |
| 2 | Opel Frontera 2.41 | 1992 | შავი | $ 3500 |
| 3 | ზილ 431410 (ბორტიანი) | 1986 | ღია ლურჯი | 500 ლარი |

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; 77 99 29



## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**23 დეკემბერს, 13.00-დან 14.00 სთ-მდე:**
ბენაშვილის, მამარდაშვილის, ჩიქობავას, ჩიტაიას ქუჩების მაცხოვრებლებს.


# სემეკ-ი ჩიხშია

*თბილისში დენის ტარიფი, ჯერჯერობით, არ მატულობს და ერთ კილოვატსაათ ენერგიაზე 12.18-თეთრიანი ტარიფი ისევ ძალაში რჩება. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მორიგი სხდომა, სადაც "თელასის" ახალი სატარიფო განაცხადი განიხილებოდა, გაურკვეველი დროით გადაიდო. სხდომაზე სატარიფო განხილვაში ორი მხარე - განმცხადებელი კომპანია და ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე მონაწილეობდა.*



იური ლობოდინის ფოტო

*გადაწყვეტილების მისაღებად სემეკ-ში, სავარაუდოდ, "თელასის" აუდიტორთა მოწვევაც მოუწევთ.*

"ჩვენ არ ვითხოვთ ტარიფის მომატებას. მხოლოდ ვაფიქსირებთ ტარიფის იმ განაკვეთს, რომელიც გვეკუთვნის," - ასეთი წინადადებით წარდგნენ გუშინ "თელასის" წარმომადგენლები სემეკ-ის წინაშე. როგორც გაირკვა, "თელასი" ელექტროენერგიის ტარიფის 3,85 თეთრით გაზრდას ითხოვს, თუმცა თანახმაა, გაზრდილი ტარიფით ელექტროენერგიის საფასური მოსახლეობამ 2006 წლიდან გადაიხადოს. გაზრდილ ტარიფს კომპანია "საგადასახადო კოდექსში" შეტანილი ცვლილებებით, მაკროეკონომიკური პროცესებითა და "თელასის" მიერ განხორციელებული ჭარბი ინვესტიციების ამოგების მოტივაციით ასაბუთებს.

"თელასის" მოთხოვნას არაკანონიერს უწოდებს ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე. მეტიც, ის თბილისში დენის ტარიფის დაკლებას ითხოვს და მიიჩნევს, რომ მეთოდოლოგია, რომლითაც "თელასი" ტარიფის დათვლისას სარგებლობს, უკანონო და, ამდენად, გაუმართლებელია. ენერგომომხმარებელთა ომბუდსმენი სემეკ-ს ტარიფის დაანგარიშების სწორ მეთოდოლოგიასაც კარნახობს და აცხადებს, რომ მიუხედავად "ეი-ი-ეს"-თან ხელისუფლების მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების პირობებისა, ტარიფი მაინც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაითვალონ, რადგან ეს კანონმდებლობა იურიდიულად ამ ხელშეკრულებაზე მაღლა დგას.

ამ ვითარებაში, გადაწყვეტილების მისაღებად სემეკ-ის თავმჯდომარეს გია თავაძესა და წევრ ირმა ქავთარაძეს, სავარაუდოდ, მორიგ სხდომაზე "თელასის" აუდიტორთა მოწვევაც მოუწევთ, ვინაიდან ენერგომომხმარებელთა ომბუდსმენის ტარიფის დაკლების შესაძლებლობასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ძირითადად, "თელასის" აუდიტორთა დასკვნებს ემყარება.

შეგახსენებთ, რომ "თელასმა" ტარიფის გაანგარიშების საკუთარი ვერსია კომისიას მიმდინარე წლის 1 მაისს წარუდგინა, თუმცა სემეკ-მა კომპანიას დამატებითი მასალები მოსთხოვა და ტარიფის განხილვისთვის დაწესებული 150-დღიანი პროცედურა მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ, 15 ოქტომბერს დაიწყო.

*24 საათი*

# რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბიუჯეტის ცოდნა?

*ამ დღეებში პარლამენტი ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ კანონს დაამტკიცებს. ეს ერთ-ერთი იმ კანონთაგანია, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა. ეს თავად ამ ადამიანებმაც კარგად უწყიან, თუმცა მხოლოდ მცირეოდენი თუ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მათი აქტიურობა, ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების პროცესში, არის მთავარი გარანტი მათი უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად.*

ეთერ მამულაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ძირითადად, ხელფასებთან და პენსიებთან ასოცირდება, ექსპერტების შეფასებით, ერთ-ერთი ყველაზე რთულად აღსაქმელი იურიდიული დოკუმენტია.

სხვადასხვა კვლევებმა თუ ზედაპირულმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი და საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ექსპერტების შეფასებით, ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს. ერთი - შესაბამის ინფორმაციაზე რიგ შემთხვევებში ხელმიუწვდომელობა და მეორე - თავად ამ დოკუმენტის ფორმისა და შინაარსის სირთულე. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით, დღესდღეობით ესა თუ ის ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ უფრო მეტად ღია და ხელმისაწვდომია. თუმცა, საზოგადოების უმრავლესობის ცოდნის დონე ამ დოკუმენტის ირგვლივ არ შეცვლილა. მეტიც, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ხშირ შემთხვევაში ბიუჯეტის შესახებ არასაკმარისი ცოდნა აქვთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც კი, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგს ატარებენ, ანუ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იმ თანხებს აკონტროლებენ, რომლითაც ესა თუ ის სახელმწიფო პროგრამა უნდა ფინანსდებოდეს.

ამის მთავარი მიზეზი კი ისევ და ისევ თავად ამ დოკუმენტის სირთულეა. მოქალაქეების უმრავლესობას უჭირს აღქმა და გააზრება იმისა, რასაც ხელისუფლება მათი "კეთილდღეობის უზრუნველმყოფელ" ფინანსურ დოკუმენტს უწოდებს.

ამ ეგრეთ წოდებული ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია," უკვე რამდენიმე თვეა, მუშაობს. სულ მალე ასოციაცია ბიუჯეტის შესახებ სპეციალურ გზამკვლევს გამოსცემს, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისთვის იქნება ხელმისაწვდომი. გზამკვლევი, სავარაუდოდ, მომავალი წლის იანვარში გამოიცემა და ის მთლიანად უფასოდ გავრცელდება. რაც მთავარია, ხსენებული გზამკვლევი, რომლის გამოცემაში მონაწილეობას, ექსპერტების გარდა, ჟურნალისტებიც ღებულობდნენ, პოპულარული, გასაგები ენით არის დაწერილი, რომლის ზუსტად აღქმა ნებისმიერი, განათლების მქონე ადამიანისთვის იქნება შესაძლებელი.

სახელმძღვანელოს ძირითადი ბენეფიციარები კი, როგორც "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი ანი ქათამაძე ამბობს, მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იქნებიან, ანუ ის ადამიანები, რომლებსაც საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, მუდმივად აქვთ გარკვეული შეხება ბიუჯეტთან. **"გზამკვლევში დეტალურად არის ახსნილი ბიუჯეტის არსი, საბიუჯეტო პროცესი და ასევე, მონიტორინგის მეთოდები. ამ გზამკვლევის მომზადების მიზანია, ადამიანებს მივაწოდოთ ინფორმაცია და ცოდნა ზოგადად ბიუჯეტის შესახებ - რა პროცესებისგან შედგება ის, რა ეტაპებია მასში. ასევე დეტალურად გაერკვნენ იმ ტერმინებში, რომელიც საბიუჯეტო პროცესებთან არის დაკავშირებული. გვინდა რაღაცნაირად სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მოვუწოდოთ და გავუღვიძოთ ინტერესი, რათა ისინი მაქსიმალურად ჩაერთონ იმ საჯარო პროცესებში, როელიც ბიუჯეტთან არის დაკავშირებული და ამგვარად დაიცვან თუნდაც საკუთარი საბიუჯეტო უფლებები,"** - აღნიშნა ანი ქათამაძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ ხსენებული გზამკვლევი ასწავლის და მნიშვნელოვნად გაუადვილებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და რიგით მოქალაქეებს ბიუჯეტის მონიტორინგის პროცესს.

გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტ-კონსულტანტი ვაჟა პეტრიაშვილი ამბობს, რომ **"ბიუჯეტის ფორმირების პროცესში და შემდგომშიც, საზოგადოების აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია ბიუჯეტში თავად ამ ადამიანთა ინტერესების უფრო ფართოდ წარმოჩენისთვის. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი გზამკვლევი დიდ დახმარებას გაუწევს თითოეულ მოქალაქეს საკუთარი საბიუჯეტო უფლებების დაცვად."**

# ქართული "რევოლუციური პლაზმატრონები"

*წლების მანძილზე ქართული ეკონომიკის მუდმივად განვითარებადმა მდგომარეობამ და რესურსების სიმწირემ ქართული სამეცნიერო პოტენციალი განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. უცხოელ ექსპერტთა აღიარებით კი, საქართველოში მეცნიერების თითქმის ყველა დარგში ერთი ან რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია წარმოდგენილი.*

ნინო ნარჩემაშვილი

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (CERMA) მაღალი ტექნოლოგიების ხელშემწყობი ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ბაზრის კვლევამ წარმოაჩინა, რომ ქართველი მეცნიერებისათვის დახმარების გაწევა მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტების საცდელი ნიმუშების დამზადებითა და მათი მსოფლიო ბაზარზე გატანით არის შესაძლებელი.

სამთო ინსტიტუტისა და შპს "ვეგა"-ს მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნა რიგი სამრეწველო დანიშნულების ეკოლოგიურად სუფთა პლაზმური ტექნოლოგიები, რომლებიც, ძირითადად, გამოიყენება სამთო-მომპოვებელ, ლითონდამამუშავებელ და მეტალურგიულ ინდუსტრიებში. ამ ტექნოლოგიებით დამზადებული პროდუქციის კომერციალიზაციის ხელშესაწყობად CERMA-ამ უზრუნველყო აშშ-ს ქალაქ კოლუმბუსში ახალი მასალების მსოფლიო კონფერენციასა და ექსპოზიციაზე სამთო ინსტიტუტის მეცნიერთა: პროფესორ მედგარ გელენიძს და ინჟინერ გიორგი გელენიძის მონაწილეობა.

კონფერენციასა და ექსპოზიციაზე წარმოდგენილი პროდუქტის არსი შემდეგში მდგომარეობს: სამთო ინსტიტუტის გაზოდინამიკისა და პლაზმური ტექნოლოგიების სექტორში შეიქმნა ორი სრულიად ახალი ხელსაწყო პლაზმური ჭავლის მისაღებად. ესენია დეტონაციური პლაზმატრონები და პლაზმატრონები, რომელთაც თვითგაცივებისა და თვითსტაბილირების უნარი აქვთ. დეტონაციური ტიპის პლაზმატრონები უანალოგო მაღალი ტემპერატურისა და სიჩქარეების მქონე პლაზმური ჭავლის მიღების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის, მასალები სტრუქტურულად გარდაიქმნეს (მაგალითად, გრაფიტის ფხვნილიდან ხელოვნური ალმასის ფხვნილი იქნეს მიღებული); მაღალი ტექნოლოგიური მახასიათებლების მქონე დანადგარები შეიქმნას; მყარი მასალები დაიშალოს; ნაღმები უსაფრთხო მანძილზე აფეთქდეს და ა.შ

ინფორმაციისათვის - CERMA-ში განმარტავენ, რომ თვითსტაბილირებადი პლაზმატრონების ძირითადი უპირატესობაა წარმოების ეკოლოგიურად სუფთა პროცესი. დღეისათვის ე.წ. ჰაერის პლაზმატრონებით ლითონის ჭრის დროს აზოტის სხვადასხვა ჟანგეულები გამოიყოფა, რომლებიც სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი პლაზმატრონები კი მუშაობენ წყლის ორთქლზე, რომელიც მიიღება პლაზმატრონში ცირკულირებული წყლისაგან ხელსაწყოს შემადგენელი ნაწილების გაცივებით. თვითსტაბილირებადი პლაზმატრონი არათუ გამოყოფს მომწამლავ ნივთიერებებს, არამედ პირიქით, ამდიდრებს გარემოს ჟანგბადით. ამ ტიპის პლაზმატრონები ამასთან ეკონომიურადაც მომგებიანია, რადგან მათ არ სჭირდება გაზითა და წყლით მომარაგება და მხოლოდ ელექტროენერგიას მოიხმარენ გარე ქსელიდან.

ექსპოზიციაზე CERMA-ს ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალებით სათანადოდ წარმოჩინდა ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი პლაზმატრონები, რომელთაც ამერიკელმა მეცნიერებმა დამსახურებულად "რევოლუციური პლაზმატრონები" უწოდეს.

CERMA-ს კონსულტანტებისაგან შემდგარი მუშა ჯგუფი ერთობლივად უკვე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე შემოთავაზებასა და საქმიან წინადადებას განიხილავს - თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს როგორც კერძო კომპანიებმა, აგრეთვე, კვლევითმა ინსტიტუტებმაც.

აღსანიშნავია, რომ CERMA-ს კონსულტანტები ანალოგიურ სამუშაოს ეწევიან ქართველ მეცნიერებთან ერთად 10 სხვადასხვა პროექტში, რომლებიც, მართალია, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სამეცნიერო სფეროებს მოიცავენ, მაგრამ თითოეული მათგანი ქვეყნის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

# საქართველო 21,5 მილიონ დოლარს მიიღებს

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ 20 დეკემბერს გამართულ სხდომაზე საქართველოს "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის" ფარგლებში ქვეყნისათვის 14 მილიონი SDR-ის (21,5 მილიონი აშშ დოლარის) მოცულობის მეორე ტრანშის გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული ტრანში საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე 28 დეკემბერს ჩაირიცხება.

საქართველოს ეროვნულ ბანკში აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს აღნიშნულ სხდომაზე პოზიტიური შეფასება მიეცა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და "ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის" პროგრამის მიმდინარეობას. დადებითად შეფასდა, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ინფლაციის შეჩერებაში.

სსფ-ს დირექტორთა საბჭოს სხდომის ანგარიშში ნათქვამია ისიც, რომ მისასალმებელია საქართველოს საბანკო სექტორის კონსოლიდაციაში მიღწეული წარმატებები, რადგან სუსტი კომერციული ბანკების დახურვა და პრობლემური სესხების შემცირება ყოველთვის დადებითი შედეგებით ხასიათდება. აქვე აღნიშნულია, რომ სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო მხარს უჭერს მთავრობის მხრიდან სებ-ის დამოუკიდებლობის გაძლიერებას. სსფ-ში კანადის წარმომადგენლის, ლინჩის შეფასებით კი, **"ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერება საქართველოს ეროვნულ ბანკს მის მიერ მოპოვებული ნდობის განმტკიცების შესაძლებლობას მისცემს, და მომავალში შესაძლო პოლიტიკური ზეგავლენისაგან დაიცავს."**

ინფორმაციისათვის - "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" სამწლიანია და 98 მილიონი SDR-ის (150,3 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფას ითვალისწინებს. პირველი, 14 მილიონი SDR-ის მოცულობის ტრანში ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად მიმდინარე წლის 21 ივნისს მიიღო.

2004 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობამ საქართველოსთვის რეკორდულ მაჩვენებელს - 379,8 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

საქართველოს მოსახლეობის საყურადღებოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნისათვის გამოყოფილი ტრანშები მის სავალუტო რეზერვს, აგრეთვე, საგარეო ვალების მომსახურებას ხმარდება და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის გარანტიას ქმნის.

# ბუშის განუხორციელებელი გეგმა

### და ჯერ კიდევ საომარ პირობებში მყოფი ერაყი

ხათუნა გაბიევი

წელიწადნახევარზე მეტი გავიდა ერაყული კამპანიის დაწყებიდან, განადგურებულია სადამ ჰუსეინის რეჟიმი, ტრიბუნალის განაჩენი ელის თავად ერაყის ყოფილ დიქტატორს, მაგრამ ბუშის მიზანი, დაემკვიდრებინა დემოკრატიული ფასეულობები ერთ-ერთ რადიკალურ ისლამურ ქვეყანაში, ჯერ კიდევ განუხორციელებელია. დაახლოებით ერთ თვეში, 2005 წლის 30 იანვარს, ერაყში საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი, სადაც მოსახლეობამ მშვიდობიანი და უსაფრთხო სახელმწიფოს ფორმირებისათვის, ასევე უსაფრთხო გარემოში ლეგიტიმური გზით ახალი ხელისუფლება უნდა აირჩიოს. თუმცა, აფეთქებების სერია და კოალიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები ჯერ კიდევ გრძელდება. სუნიტი მუსლიმებით დასახლებულ ქალაქ მოსულში სამშაბათს, აშშ-ს სამხედრო ბაზაზე, ერაყელ ამბოხებულთა სარაკეტო იერიშს შედეგად 24 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა, რომელთაგან 19 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იყო, დანარჩენი კი ის სამოქალაქო პირები, რომლებიც ერაყში სხვადასხვა საწარმო ობიექტებზე ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდნენ. ტერაქტის შედეგად დაშავებულთა რაოდენობამ კი 50-ს მიაღწია. დარტყმის სამიზნე უზარმაზარ კარავში მოწყობილი სასადილო იყო. "სიენ-ენ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უკვე აიღო ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ "ანსარ ას-სუნა"-მ. ერთ-ერთ ისლამურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, ტერორისტებმა მთელი ოპერაცია ვიდეოკამერაზე გადაიღეს და მას მოგვიანებით გამოაქვეყნებენ. კომენტარისაგან თავი შეიკავა მოსულში აშშ-ს არმიის ხელმძღვანელმა, თუმცა ცნობილი გახდა, რომ სარაკეტო იერიში 122 მმ-ის ნაღმტყორცნით განხორციელდა.

"ბიბისი"-ს თანახმად, მოსულში ამერიკულ ქვედანაყოფ "ოლიმპიაზე" იერიშის განხორციელებამდე ერაყელმა ბოევიკებმა დაიალას პროვინციაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი მოკლეს. თითქმის იმავდროულად, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, ბაიჯის პროვინციაში ნავთობსადენი იქნა დაზიანებული. სამხედრო ოპერაცია განხორციელდა აშშ-ს სამხედრო ქვედანაყოფების მიერაც, მხოლოდ ბაღდადის დასავლეთით სუნიტებით დასახლებულ რაიონში ქალაქ ჰითზე.



ჯორჯ ბუშმა დაღუპულთა ოჯახებს საჯაროდ გამოუცხადა თანაგრძნობა.

მოსულის ტრაგედიასთან დაკავშირებით დაღუპულთა ოჯახებს საჯაროდ გამოუცხადა თანაგრძნობა ჯორჯ ბუშმა, რომელმაც ამერიკელ სამხედროთა მოვალეობაზე საუბრისას კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ერაყში კოალიციური ჯარების ყოფნის აუცილებლობა. ბოევიკთა იერიშების მიუხედავად, სამხედრო ქვედანაყოფები ერაყში მანამდე დარჩება, ვიდრე დაგეგმილი არჩევნები არ იქნება ჩატარებული და ერაყი არ გახდება მშვიდობიანი და უსაფრთხო ქვეყანა. ბუშის ოპტიმიზმის პარალელურად კი თანდათან მცირდება მისი პოლიტიკის მომხრე თანამემამულეთა რაოდენობა. "ფაინენშლ თაიმს"-ის თანახმად, ერაყის მიმართ ჯორჯ ბუშის პოლიტიკით კმაყოფილი აშშ-ს მოსახლეობის მხოლოდ 50 პროცენტია. ბევრს უკვე ერაყული ისტორია ვიეტნამის ომს ახსენებს. ვიეტნამის ომის მონაწილე ერთ-ერთი ვეტერანის თქმით, "რაც უფრო დიდხანს დარჩება აშშ-ს სამხედრო ქვედანაყოფები ერაყში, მით უფრო გაიზრდება ადგილობრივთა წინააღმდეგობის ხარისხი".

# კოფი ანანი გადადგომას არ აპირებს

კოტე ელიზბარაშვილი

*გაერო-ს პროგრამის - "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" - ხელმძღვანელობას შორის არსებული კორუფციის გამოძიებასთან დაკავშირებით კოფი ანანი კრიტიკის ობიექტად იქცა. აღნიშნული პროგრამა გაერო-მ ერაყში 1996 წელს შემოიღო, რომელიც ერაყს მედიკამენტებსა და სურსათზე ნავთობის გადაცვლის საშუალებას 2003 წლამდე აძლევდა.*

2005 წლის დასაწყისში გაერო-ს დამოუკიდებელი კომისია "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამის რეალიზაციის აუდიტორული შემოწმების შედეგებს გამოაქვეყნებს, რომელიც, ბევრის მოლოდინით, კორუფციის სათავეებს გაამხელს. "ვაშინგტონ თაიმსის" ინფორმაციით, ამის შესახებ კოფი ანანმა ტრადიციულ, ყოველწლიურ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ადრე ამერიკულმა კომისიამ, რომელიც გამოძიებას გაერო-ს კომისიასთან ერთდროულად აწარმოებდა, განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის ხელისუფლებამ 21 მილიარდზე მეტი დოლარი მიიღო უკანონო გარიგებებით და ამ ჰუმანიტარული პროგრამის საფარველით, გაერო-ს სანქციების ავლით. ამასთან დაკავშირებით, ამერიკელი სენატორების ერთმა ჯგუფმა კოფი ანანის გადაყენებაც კი მოითხოვა. კერძოდ, მისი გადადგომის შესახებ მოწოდებით ამერიკელი სენატორი, რესპუბლიკელი ნორმ კოულმენმი გამოვიდა. თუმცა, პრესკონფერენციაზე გამოსულმა გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ დაკავებულ თანამდებობას არ დატოვებს და საკმაოდ ბევრი საქმე აქვს ჯერ გასაკეთებელი. "მე გაერო-ს წევრიქვეყნები მიჭერენ მხარს," - განაცხადა ანანმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან და იანვარში მის შემცვლელ კონდოლიზა რაისთან ბოლო შეხვედრის დროს გენერალური მდივნის გადაყენების საკითხი არ წამოჭრილა. დღეისათვის, როგორც "ვაშინგტონ თაიმსი" წერს, სულ 55 რევიზია ჩატარდა, რომელიც ერაყში სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს გაერო-ს საქმიანობას უკავშირდება. "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამა ექვსი წელი მოქმედებდა. რევიზორებმა ბევრი ისეთი შემთხვევის გამოვლენა მოახერხეს, რომელიც გაერო-ს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ეხებოდა. კოფი ანანმა, მიწურული წლის შედეგებზე საუბრისას, 2004 წელს "საშინელი" უწოდა: "ეს წელი, უდავოდ, განსაკუთრებულად რთული იყო და შვებას მგვრის იმაზე ფიქრი, რომ ეს საშინელი წელი დასასრულს უახლოვდება".



*"მთელი ამ ხნის განმავლობაში პირადად მე და თვითონ ორგანიზაციას სასტიკად აკრიტიკებდნენ, ამ კრიტიკიდან მხოლოდ ნაწილია კონსტრუქციული."*

"მთელი ამ ხნის განმავლობაში პირადად მე და თვითონ ორგანიზაციას სასტიკად აკრიტიკებდნენ, ამ კრიტიკიდან მხოლოდ ნაწილია კონსტრუქციული," - განაცხადა გენერალურმა მდივანმა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ეთანხმება ვაჟიშვილის (კოჯო ანანის) მიერ გაერო-ს საქმიანობის გამოძიებაზე გაკეთებულ შეფასებას, რომელსაც აგრეთვე ადანაშაულებდნენ ერაყულ ნავთობთან დაკავშირებულ მაქინაციებში. "თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი "კუდიანებზე ნადირობა" იყო," - ამბობს ანანი. ის იმედოვნებს, რომ დამოუკიდებელი გამოძიება, რომელსაც აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე პოლ ვოლკერი ხელმძღვანელობს, "რაც შეიძლება სწრაფად მიაგნებს სიმართლეს". გაერო-ს გენერალური მდივანი გახმაურებული პროგრამის ფარგლებში მომხდარ დარღვევებზე არავითარ პირად პასუხისმგებლობას არ გრძნობს, თუმცა აცხადებს, რომ მსგავს მსხვილმასშტაბიან პროექტებში "შეცდომები გარდაუვალია და ზოგიერთი რამის უკეთ გაკეთება შეიძლებოდა". კოფი ანანი წუხილით აღნიშნავს, რომ კორუფციაში ბრალდებამ ამ პროგრამის ის დადებითი მიღწევები დაჩრდილა, რომელმაც მილიონობით უბრალო ერაყელს ცხოვრება შეუმსუბუქა.

დღესდღეობით აშშ-სა და გაერო-ს ურთიერთობა ორგანიზაციის ისტორიაში ერთ-ერთ ურთულეს პერიოდს განიცდის. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ხელახალი არჩევის შემდეგ, კოფი ანანმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ერაყში სამხედრო ჩარევას უკანონოდ თვლიდა. რესპუბლიკელი ნორმ კოულმენის განცხადების შემდეგ თეთრი სახლი გაერო-ს გენერალური მდივნის პოზიციის მხარდაჭერას არ ჩქარობდა. თუმცა, გაერო-ში მხარდამჭერმა განცხადებამ ამერიკის ელჩის ჯონ დანფორტის გამოსვლაში მაინც გაიჟღერა.

# "უკრაინა რუსეთის მარადიული სტრატეგიული პარტნიორია"



უკრაინა რუსეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობას გააგრძელებს, ამავდროულად, ევროინტეგრაციის პროცესებში ჩართვაც პირველი რიგის ამოცანად დარჩება. ამის შესახებ გუშინ უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა ვიქტორ იუშენკომ რუსი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

**"მე არაერთხელ მითქვამს, რომ რუსეთი უკრაინის მარადიული სტრატეგიული პარტნიორია,"** - ამბობს იუშენკო. მისი თქმით, რუსეთსა და უკრაინას საერთო ისტორია, საერთო სლავური ფესვები, კულტურა, ენობრივი ნათესაობა აკავშირებთ. მართალია, **"საერთო ისტორიის ყველა ეპიზოდი სასიამოვნოდ გასახსენებელი არ არის, მაგრამ წარსულის პრობლემები მომავალში არ უნდა იქნას გადატანილი".** მიუხედავად ამისა, უკრაინის ოპოზიციის ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის სტრატეგიული არჩევანი მაინც ევროპაში ინტეგრაციაა.

რუს ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს "ნარინჯისფერთა" ლიდერი მისი კონკურენტის, პუტინის ფავორიტი კანდიდატის, ვიქტორ იანუკოვიჩის მომავალ ბედსაც შეეხო. ვიქტორ იუშენკო აცხადებს, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში უკრაინულ ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩის ადგილი არ მოიძებნება. მისი თქმით, მისი მმართველობის პერიოდში იანუკოვიჩს არც პრემიერ-მინისტრობის და საერთოდ, ხელისუფლებაში მოხვედრის შანსიც კი არ აქვს, რასაც თავისი მიზეზი აქვს. **"ეს უბრალოდ არავაჟკაცური საქციელი იქნებოდა მისი მხრიდან. როცა აგებ, წასვლაც უნდა შეგეძლოს,"** - აღნიშნა "ნაშა უკრაინას" ლიდერმა. რადიკალური განცხადებების შესარბილებლად უკრაინის მომავალმა პრეზიდენტმა იქვე დასძინა, რომ მისი გუნდი მუდამ მზადაა ოპონენტებთან თანამშრომლობისათვის. აღნიშნული თანამშრომლობა კი არ გასცდება "პოლიტიკური მუშაობის ჩარჩოებს, რომლის მიზანიც მეტი ურთიერთგაგებისა და ჯანსაღი ურთიერთობების ფორმირებისათვის ხელშეწყობაა".

*24 საათი*

# შირაკმა შვებულება შეწყვიტა და ჟურნალისტებს შეეგება

ერაყში ოთხთვიანი ტყვეობიდან გათავისუფლებული ფრანგი ჟურნალისტები ჟორჟ მალბრუნო და კრისტიან შენო გუშინ სამშობლოში დაბრუნდნენ. ორი დღის წინ გამტაცებლებმა მძევლები ბაღდადში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებს გადასცეს. ჟურნალისტების შინ წასაყვანად რეგიონში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ ბარნიე ჩავიდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და პრემიერ-მინისტრმა ჟან-პიერ რაფარენმა კმაყოფილება გამოთქვეს მალბრუნოს და შენოს გათავისუფლების გამო. ყოფილ მძევლებს პარიზში თავად შირაკი შეეგება, რომელმაც სპეციალურად ამ მიზნით მაროკოში შვებულება შეწყვიტა. ერთ-ერთი გათავისუფლებული მძევლის ძმის თქმით, ეს შესანიშნავი საშობაო საჩუქარი იყო. მალბრუნო და შენო "ერაყის ისლამური არმიის" დაჯგუფების ექსტრემისტებმა 20 აგვისტოს ქალაქ ენ-ნაჯაფის მახლობლად გაიტაცეს. მათი გათავისუფლების სანაცვლოდ გამტაცებლები საფრანგეთის სკოლებში მუსლიმანური თავსაფრების ტარების აკრძალვის გაუქმებას მოითხოვდნენ, თუმცა მთავრობამ ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა. "ერაყის ისლამური არმიის" ექსტრემისტული ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ მძევლების გათავისუფლება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც დარწმუნდნენ, რომ ჟურნალისტები ერაყში აშშ-სთვის არ ჯაშუშობდნენ. დაჯგუფების განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ მის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა საერთაშორისო ისლამური ორგანიზაციების მოწოდებებმა და იმ პოზიციამ, რომელიც საფრანგეთის მთავრობას ერაყის საკითხში უკავია.

*ინტერპრესი*

## ორი სიტყვით

**აშშ.** აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ფირმა "რეიტიონისგან" საზღვაო ბაზირების მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სისტემისათვის "ს-მ-3"-ის ტიპის ("სტანდარდ მისაილ-3") ხუთი რაკეტა-გზაგადამჭრელი მიიღო. აღნიშნული რაკეტები, ჯერჯერობით, ნიუ-მექსიკოს შტატში უაით-სენდსის სარაკეტო პოლიგონზე გამშვებ კონტეინერებზეა განთავსებული და სავსებით მზადაა რომელიმე ხომალდზე გადატანისათვის. როგორც ამერიკული გაზეთი "აეროსფეის დეილი ენდ დიფენს რიპორტი" იუწყება, ეს ხომალდი შეიძლება იყოს კრეისერი "ლეიკ ერი", რომელიც ამჟამად ჰავაიზე პერლ-ჰარბორის ბაზაზე იმყოფება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** ერაყის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი აიად ალავი დაუგეგმავი ვიზიტით იორდანიას ეწვია. კუვეიტის სააგენტოს "კუნა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრემიერ-მინისტრს თან ახლავს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები. ერაყის პრემიერ-მინისტრი შეხვდა იორდანიის მეფეს აბდალა მეორეს, სადაც რიგ საკითხებთან ერთად, ერაყში 2005 წლის 30 იანვარს დაგეგმილი არჩევნების თემაც განიხილეს. იორდანიის მეფის აზრით, უმჯობესი იქნება თუ კი არჩევნები გადაიდება ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამოსწორებამდე. აბდალა მეორეს პოზიციას იზიარებს არაბულ სახელმწიფოთა ლიგაც. რაც შეეხება იორდანიის დედაქალაქში ამანში ერაყის დროებითი მთავრობის წარმომადგენლების ოპოზიციონერებთან (გარდა "ბაას"-ის პარტიის წარმომადგენლებისა) შეხვედრას, რის შესახებაც ცნობებს არაბული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ, ჯერ კიდევ არ ჰქონია ადგილი. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში სისტანსა და ბელუჯისტანში განადგურებულია ექსტრემისტთა ბანაკი, რომლებიც რადიკალი ვაჰაბიტებისა და "თალიბების" მოძრაობებთან იყვნენ დაკავშირებული. ექსტრემისტები ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებისა და მკვლელობათა სერიების გარდა, ავღანეთის დანაშაულებრივ სტრუქტურებთან ნარკოკონტრაბანდით იყვნენ დაკავებული. დამნაშავეთა (სულ მცირე დაღუპულია 30 ბოევიკი) ლიკვიდაციის ოპერაცია ოთხი სამხედრო ვერტმფრენითა და მძიმე შეიარაღებით განხორციელდა. **რია-ნოვოსტი**

## ახალი მოთხოვნები

*თბილისის საკრებულოში ხვალისთვის დაგეგმილ სხდომაზე, ქალაქის მთავრობის წევრების დამტკიცებასთან ერთად, დიდი დიღმის მეოთხე მიკრორაიონში მცხოვრებ მოსწავლეთა პრობლემაც გადაწყდება. აღნიშნულ საკითხზე გუშინ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ იმსჯელა.*

ნანა ქადაგიშვილი

დიდი დიღმის ოთხი მიკრორაიონიდან მეოთხე მიკრორაიონი ყველაზე დაჩაგრული აღმოჩნდა. აქ მცხოვრებ ბავშვებს არც საბავშვო ბაღი აქვთ და არც სკოლა, ამიტომ იძულებულნი არიან, მეზობელ მიკრორაიონში იარონ. მეოთხე მიკრორაიონში ბაღისა და სკოლის ასაშენებლად თანხა წლევანდელ ბიუჯეტშიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგრამ, ბიუჯეტის დამტკიცებამდე ცოტა ხნით ადრე, სეკვესტრში მოყვა. სოციალურ საკითხთა კომისია აღნიშნულ საკითხს საკრებულოს ხვალინდელ სხდომაზე დააყენებს. საკრებულო, სავარაუდოდ, ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტს და ქალაქის ახალ მთავრობას დიდი დიღმის მეოთხე მიკრორაიონში ბაღისა და სკოლის ასაშენებელი თანხის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალიწინებას მოსთხოვს. სხვათა შორის, აღნიშნულ მიკრორაიონში მცხოვრებლებს სკოლის აშენებას პრეზიდენტიც შეჰპირებია.

საკრებულოს უახლოეს სხდომაზე სოციალურ საკითხთა კომისია ბიუჯეტში თანხის გათვალისწინებას სპორტის სასახლის რეაბილიტაციისთვისაც მოითხოვს. როგორც სპორტის სასახლის დირექტორი ვალერი ლომაძე აცხადებს, შენობას კაპიტალური რემონტი 43 წლის განმავლობაში არ ჩატარებია. ამორტიზირებულია ყველაფერი, უპირველსად კი, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის გამოცვლაა სასწრაფო. **"სპორტის სასახლე ზარალიანი დაწესებულებაა. მართალია, კონცერტები ხშირად ტარდება, მაგრამ ერთი კონცერტიდან მხოლოდ 5 ათას ლარს ვიღებთ, სპორტული ღონისძიებებიდან კი 2 500 ლარს. საბიუჯეტო გადასახადებისა და ამორტიზაციის დანარიცხის ფონზე, ამ ღონისძიებებიდან მიღებული თანხა შემოსავლად ვერ ჩაითვლება,"** - აცხადებს სპორტის სასახლის დირექტორი და მომავალი წლის ბიუჯეტში შენობის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხის (სავარაუდოდ, 480 ათასი ლარის) გათვალისწინებას ითხოვს. სოციალურ საკითხთა კომისია მის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება, ოღონდ, ჯერ ხარჯთაღრიცხვისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოების ჩატარებას ითხოვს. **"ზუსტად გავიგოთ, რა თანხაა საჭირო და შემდეგ მთავრობას ბიუჯეტიდან დაფინანსება ვთხოვოთ,"** - გადაწყვიტეს კომისიის წევრებმა.

სიახლეები სპორტული სკოლების მოსწავლეებსაც ელით. საკრებულო მუნიციპალური და პროფესიონალური სპორტული კლუბების დაფუძნებას აპირებს. კლუბები ქალაქის ყოველ უბანში გაიხსნება და მას სპორტის საქალაქო სამსახური გააკონტროლებს.

## კონფლიქტის მოგვარების გზა

ლელა მარგიანი

*პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე ქართულ სოფელ ერედვში დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა "შრომა და მშვიდობა", რომელიც წარმოადგენს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველი და ოსი მოქალაქეების საზოგადოებრივ გაერთიანებას, დამყარებულს მშვიდობისა და შრომის პრინციპებზე.*

როგორც მოძრაობის წესდებაშია მითითებული, მოძრაობის ძირითადი მიზანია, "კონფლიქტამდე მეგობრულად მაცხოვრებელი ქართველი და ოსი ხალხების გაერთიანება და კონფლიქტის ზონაში ერთობლივი პროექტების განხორციელებით ჩამკვდარი სოფლის მეურნეობის აღორძინება".

ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის - "შრომა და მშვიდობა" დაარსების ძირითადი მიზეზი ქართულ-ოსური კონფლიქტის უარყოფითი შედეგები გახდა.

**"გასულმა წლებმა ჩვენთან დიდი ქაოსი და გაჭირვება მოიტანა. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გვჯერა, რომ ჩვენ - ქართველებსა და ოსებს გამაერთიანებელი მეტი გვაქვს, ვიდრე გამაცალკევებელი. აქ ხომ წლების მანძილზე გვერდიგვერდ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენს შორის ბევრია შერეული ოჯახი. გასულმა წლებმა და გაყინულმა კონფლიქტმა დაგვანახა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. სწორედ ამიტომ გაგვიჩნდა იდეა - აქ, კონფლიქტის ზონაში, დაგვეფუძნებინა ერთობლივი მოძრაობა, რომელშიც ორივე მხარე იქნება გაერთიანებული. ჩვენი პროგრამა გავაცანით საქართველოს ხელისუფლებას და მასთან შეთანხმების შემდეგ, შევხვდით ცხინვალის ადმინისტრაციის უფროსს. შეხვედრა გვქონდა კოკოითთანაც. მასაც გავაცანით ჩვენი პროგრამა, რომელიც მან მოიწონა. სამუშაო შეხვედრების პერიოდში პროგრამა ითარგმნა ოსურ და რუსულ ენებზე. ოსურ მხარესთან შეთანხმებული დამფუძნებელი ყრილობა სოფელ ვანათში უნდა ჩატარებულიყო და მას თავიანთ ჟურნალისტებთან ერთად, ცხინვალის მხარის წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წუთს მათ გადაწყვეტილება შეცვალეს და ოფიციალური მხარე დაფუძნებას არ დაესწრო, ჩვენთან ერთად იყო ოსური მოსახლეობა. ცოტა ხანში ორგანიზაციის ფილიალი ცხინვალშიც გაიხსნება. ამავე დროს, იმედი გვაქვს, რომ ორივე მხარის წარმომადგენელი ბევრი ადამიანი შემოემატება მოძრაობას, რადგან კონფლიქტურ ზონაში სწორედ ხალხის დასაქმება, ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება უნდა გახდეს მშვიდობის საწინდარი. ჩვენი აზრით, არსებული სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ ერთობლივი მშვიდობიანი შრომაა,"** გვითხრა საზოგადოებრივი მოძრაობის დამფუძნებელ ყრილობაზე ერთ-ერთმა ინიციატორმა, ერედველმა ზურაბ ბორცვაძემ.



*"პატარა და დიდი ლიახვის მკვიდრთ, იმის მიუხედავად, ვინ რას იტყვის, მხოლოდ მშვიდობა სურთ."*

ერედვის კულტურის სახლის გაყინულ დარბაზში ჩატარებულ ყრილობას ადგილობრივი ქართველი და ოსი მოსახლეობის გარდა, თბილისიდან სპეციალურად ჩასული სტუმრებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ კონფლიქტების დარგში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გია ვოლსკი და ექსპერტი მამუკა არეშიძე.

**" მოძრაობა არის ადგილობრივი ქართველი და ოსი მოსახლეობის ერთობლივი ინიციატივა და ქვემოდან მოდის. ეს არის სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ოსებს აგრძნობინებს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს - პატარა და დიდი ლიახვის მკვიდრთ, იმის მიუხედავად, ვინ რას იტყვის, მხოლოდ მშვიდობა სურთ,"**- აღნიშნა მან.

ამის გარდა, ერთობლივი ქართულ-ოსური მოძრაობის დაფუძნება მნიშვნელოვანია იმიტომაც,რომ ევროპული სტრუქტურები, კერძოდ, ეუთო აპირებს კონფლიქტის ზონაში განახორციელოს ერთობლივი პროექტები, რაც გულისხმობს ქართულ-ოსური ერთობლივი მეურნეობების მხარდაჭერას. ქართულ და ოსურ მოსახლეობას საშუალება მიეცემა ერთობლივად შეძენილი ტექნიკის - ტრაქტორების, კომბაინების, მანქანა-დანადგარების საშუალებით, ერთად დაამუშაონ მიწა, მოიწიონ მოსავალი. ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა მოლაპარაკებულია ქართული და ოსური თემების დონეზეც. ასე რომ, ფონი უკვე შექმნილია და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსების შემდეგ, გაზაფხულიდან უკვე შეიძლება ერედველების ინიციატივის განხორციელება და კონფლიქტის ზონაში ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება.

## სამაჩაბლოელი სტუდენტები სტიპენდიებს მიიღებენ

ცხინვალის რეგიონიდან თბილისში ჩამოსული 21 სტუდენტის სწავლის გადასახადსა და სტიპენდიებთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შემდეგ კომენტარს აკეთებს:

2004 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კონფლიქტის ზონაში განხორციელებული კომპლექსური პროგრამის ფარგლებში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კონფლიქტური ზონიდან ჩაირიცხა 21 სტუდენტი: 10 ოსი და 11 ქართველი. კონკურსში მონაწილე აბიტურიენტები, ობოლ მზრუნველობას მოკლებულ და სოციალურად დაუცველ აბიტურიენტთაგან შეირჩნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, სემესტრის ბოლოს, უმაღლესი სასწავლებლებიდან ამ სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაფარავდა არა მარტო მათი სწავლის საფასურს (არასაბიუჯეტო სექტორებზე მსწავლელთათვის), არამედ სტიპენდიებითაც უზრუნველყოფდა მათ (50 ლარი თვეში).

სწავლის თანხები უკვე გადარიცხულია შესაბამის სასწავლებლებში. რაც შეეხება სტიპენდიებს, მათი საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვა ვერ მოხერხდა, რადგან სტუდენტებს ჯერ არ გააჩნიათ კუთვნილი საბანკო ანგარიშები. ამიტომ, მათ სტიპენდიების გატანა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სალაროდან შეუძლიათ, 2004 წლის 22 დეკემბრიდან.

*24 საათი*

## პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა

*ბოლო პერიოდში საქართველოს მასშტაბით იმუნიზაციის მაჩვენებლები შემცირდა, რაც, ნაწილობრივ, მოსახლეობაში არსებულ პანიკას უკავშირდება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი და თბილისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი გაფრთხილებთ, არ აჰყვეთ უსაფუძვლო აჟიოტაჟს და აუცილებლად აცრათ თქვენი შვილები. სახელმწიფოს მიერ შემოტანილ თითოეულ ვაქცინას თან ახლავს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული უმაღლესი ხარისხის სერტიფიკატი, რაც მათ ხარისხიანობაზე მიუთითებს.*

თამარ დვალი

გაჩენის დღიდან ბავშვს ცხრა აუცილებელი აცრა უნდა ჩაუტარდეს: დაბადებისას - ტუბერკულოზისა და ჰეპატიტის; ორი თვის ასაკიდან - დიფტერიის, ტეტანუსის, ყივანა ხველისა და პოლიომიელიტის; ერთი წლის ასაკში იგი უნდა აიცრას წითელაზე, წითურასა და ყბაყურაზე.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში საქართველოში ახალშობილებს ე.წ BCG-ს აცრა არ ჩატარებიათ, თუმცა ვაქცინა უკვე შემოტანილია და ერთ კვირაში ყველა ის ბავშვი, ვინც ამ პერიოდში დაიბადა, აუცილებლად აიცრება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ლევან ბარამიძის თქმით, ბოლო დროს საზოგადოებაში ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა და იმუნიზაციას მსოფლიოში ალტერნატივა არ გააჩნია.

**"აცრები ჩვენ არ მოგვიგონია. ეს მთელს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. მედიცინაში ჯერჯერობით უფრო მაღალი ავტორიტეტის მქონე სააგენტო, ვიდრე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაა, არ არსებობს. ყველა ის ვაქცინა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გამოიყენება, გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით შემოდის. ახლახან გავრცელებული წითელას ეპიდემია გამოწვეული იყო იმით, რომ 10-15 წლის წინათ აცრების პროგრაგამა ცუდად მიმდინარეობდა. 1990-91 წელს დაბადებული ბავშვები საერთოდ არ იყვნენ აცრილები",** -აცხადებს "24 საათთან" საუბრისას ლევან ბარამიძე.

მისივე თქმით, არის შემთხვევები, როდესაც ექიმი ეუბნება მშობელს, რომ აქვთ ორი ვაქცინა; ერთი - სახელმწიფოს შემოტანილი, ანუ უფასო, და მეორე უფრო კარგი ხარისხის ფრანგული ვაქცინა, რომელიც ფასიანია. **"ნუ დაუჯერებთ ექიმებს, როდესაც ფასიან აცრას გთავაზობენ. მათი ამგვარი რჩევა კერძო ინტერესებს ეყრდნობა. სახელმწიფოს მიერ შემოტანილი ვაქცინა იგივე ხარისხისაა, როგორიც - კომერციული გზით შემოტანილი",** - ამბობს ბარამიძე.

რაც შეეხება აცრის შემდგომ გართულებებს, სპეციალისტების თქმით, ეს იშვიათად ხდება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი ალერგიულია. რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება და მთავრდება აცრების კურსი, მით უფრო ნაკლებია აცრის შემდგომი გართულებების რისკი. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის თქმით, არ არსებობს მეთოდი, რომელიც წინასწარ დაადგენს, მოჰყვება თუ არა გართულება აცრას. იმნაძის აზრით, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვის ცუდად გახდომა აცრას ემთხვევა და ეს აცრის ბრალი სულაც არ არის. დამთხვევის გამო, ბევრჯერ ექიმებს ბავშვის ცუდად გახდომა აცრისთვის დაუკავშირებიათ, რაც არასწორია.

ბოლო დროს საზოგადოებაში გაჩნდა კიდევ ერთი საგანგაშო ინფორმაცია მენინგიტის ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით. **"დღეს პანიკის საფუძველი არ არსებობს. ამჟამად საქართველოში მენინგოკოკური ინფექციით ავადობის რიცხვი ჩვეულებრივ შემთხვევებზე ნაკლებია. 100 ათას მოსახლეზე ერთი შემთხვევა ფიქსირდება, როცა ადრე 1,7 შემთხვევა აღინიშნებოდა. წელს მენინგოკოკური ინფექციის 44 შემთხვევიდან 14 ინფიცირებული გარდაიცვალა. მინდა, იცოდეს მოსახლეობამ, რომ გაციება არ იწვევს მენინგიტს. თუკი ბავშვს უეცრად მაღალი ტემპერატურა და თავის ტკივილი შეაწუხებს, უნდა მიმართონ ექიმს. როდესაც ბავშვს გამონაყარიც უჩნდება, ექიმის ჩარევა უკვე დაგვიანებულია",** - აცხადებს ამის თაობაზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე.

კანონი და საზოგადოება

# ქონება და გონება

### ანუ საფუძვლიანი ეჭვი ერთი კანონის უსამართლობაზე

*წლეულს, 15 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დააპატიმრა საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი მერაბ ახობაძე.*
*პროფესორი ახობაძე იმიტომ გავიხსენე, რომ მისი "საქმე" ყველაზე ტიპურია "რევოლუციურ წელიწადში" აღძრულ სხვა საქმეთა შორის. ეჭვმიტანილს სახელმწიფო იერარქიაში არც დიდი თანამდებობა სჭერია და არც ძალიან მცირე - იყო ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარე. 2004 წლის 15 ივლისამდე მის მიმართ არავის პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამ დღეს კი დააპატიმრეს პროკურატურის ე. წ. "საშუალედო აქტის" საფუძველზე, სადაც გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ 2001 წელს ახობაძის დეპარტამენტმა სახელმწიფო 4700 ლარით აზარალა!*

თეიმურაზ ქორიძე

ხელისუფლებისკენ ძლევამოსილი ნაბიჯებით მიმავალი ტრიუმვირატი მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით მშიერ ხალხს დაჰპირდა პურს, სამართალს და სანახაობას. უფრო კონკრეტულად - ეკონომიკის აყვავებას, საზოგადოების დემოკრატიზაციას, კანონის დიქტატურას, ნომენკლატურული თვითნებობის ალაგმვას. ბუნებრივია, ერთ წელიწადში ამის შესრულება შეუძლებელი იყო. პირიქით, თუ დავიჯერებთ, რომ შარშან, 23 ნოემბერს საქართველოში მართლაც რევოლუცია მოხდა, მოსალოდნელი იყო ეკონომიკის დაცემა, უმუშევრობის ზრდა, კრიმინოგენული ვითარების გამწვავება, სახელმწიფო რეპრესიული აპარატის განმტკიცება, ხელისუფლების დიქტატურისაკენ სწრაფვის ტენდენცია, სასამართლო ხელისუფლების იგნორირება, მყვირალა "ღონისძიებების" კასკადი, დაპატიმრებათა სერიები და ა.შ. ეს არის რევოლუციური კანონზომიერება და ამას ვერც ჩვენი ქვეყანა გადაურჩებოდა.

ვერც გადავურჩით.

საქართველოს კანონიც საქართველოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, არის რევოლუციის პირმშო, ერთ-ერთი ის დოკუმენტი, რომელიც გამრყვნელად მოქმედებს თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების უშუალო განმახორციელებლებზე და, მთლიანად, საზოგადოებაზე.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ ცვლილებები შეტანილია საპროცესო კოდექსში და არა მატერიალურში, რომლებიც კონკრეტული დანაშაულისთვის კონკრეტულ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ. ეს არ არის შეცდომა. ვფიქრობ, "ცვლილებების და დამატებების" ავტორებმა ეს გააკეთეს შეგნებულად, გამიზნულად. საქმე ის არის, რომ მატერიალურ კოდექსებს უკუქცევითი ძალა არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ამ კოდექსებით სისხლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პირს ვერ დაეკისრებოდა 2003 წლის მარტამდე (ანუ ამ კანონის ამოქმედებამდე) ჩადენილ დანაშაულზე. შესაბამისად, ხელისუფლება ვერ შეასრულებდა დანაპირებს - მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევო. ამიტომ, მატერიალური ნორმები საპროცესო კანონმდებლობაში "შეაცურეს" - რთული საკითხის უბრალო და გენიალური გადაწყვეტაა. თუმცა, ალბათ, მისი კონსტიტუციასთან, უფრო ზუსტად, კონსტიტუციის ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა მაინც აუცილებელი გახდება. კერძოდ, თუ ამ ცვლილება-დამატებებს ვერ შეელევა, მაშინ პარლამენტმა უნდა გააუქმოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც, "არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს."

ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ დამატებული მუხლის თანახმად, "თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის (ანუ, პრაქტიკულად, ნებისმიერი მოქალაქის - თ.ქ.) ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, დაუსაბუთებლად ცნობს, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ქონების ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები."

პრაქტიკულად, ეს ნიშნავს შემდეგს: სასამართლომ გამოარკვია, რომ 1947 წელს გარდაცვლილი პაპაჩემის, არტემ ქორიძის შვილთაშვილმა, დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დიდი პაპისგან მემკვიდრეობით მიიღო ტანკერების ფლოტი, რომელიც, გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, რეგისტრაციაში გაატარა კანარიის კუნძულებზე. "საფუძვლიანად ეჭვიანი" პროკურორის სარჩელის თანახმად, სასამართლოს სრული უფლება აქვს, "დამნაშავე" შვილთაშვილთან ერთად ქონება ჩამოართვას არტემ ქორიძის ცხრავე შვილის შთამომავლობას, მათ ნათესავებს, რძალ-სიძეებს და მათთან დაკავშირებულ პირებს, ანუ ყველას, ვისაც საკუთარი ქონების კანონიერების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები ხელთ არ აღმოაჩნდება.

"ცვლილებების და დამატებების" თანახმად, მტკიცებულებების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. ანუ პროკურორმა კი არ უნდა დაამტკიცოს ჩემი, მოქალაქის ბრალეულობა, არამედ მე, მოქალაქემ უნდა ვამტკიცო საკუთარი უდანაშაულობა. ანუ, თუ სახელმწიფო ხაზინის შევსების კეთილშობილური და დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი მავანი ეჭვიანი პროკურორი იტყვის, რომ მე, დეპარტამენტის თავმჯდომარე ქორიძე ვარ უკანა მარცხენა ფეხით კოჭლი, გრძელბეწვიანი დედალი აქლემი, სწორედ მე უნდა ვამტკიცო, რომ ვარ ჩვეულებრივი ადამიანი. ხოლო თუ დაბადების მოწმობა ვერ წარვადგინე, ჩემი საქმე წასულია - გალიაში ჩამსვამენ და ზოოპარკში გამამწესებენ.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს გახლავთ ძალიან სერიოზული გადახვევა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისგან. უფრო ზუსტად, ეს გახლავთ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავდაყირა დაყენების მცდელობა: ძალმოსილი ორგანო (პროკურატურა) კი არ ამტკიცებს საკუთარი ქმედების კანონიერებას, არამედ კრავი (მოქალაქე) უმტკიცებს მგელს (პროკურატურას) საკუთარ უდანაშაულობას.

არადა, საქართველოს კონსტიტუცია (85-ე მუხლი, მე-3 პუნქტი) სამართალწარმოების განხორციელებას მხოლოდ მხარეთა თანასწორობის საფუძველზე მოითხოვს.

"ცვლილებების და დამატებების" მიხედვით, "თუ "37` მუხლით გათვალისწინებული სარჩელი შეტანილია თანამდებობის პირის მიმართ, სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს და, შესაბამისად, გადაწყვეტილება გამოიტანოს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისგან დამოუკიდებლად."

ეს გახლავთ კიდევ ერთი ანტიკონსტიტუციური მუხლი, რომელიც პირწმინდად უარყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ანუ სასამართლოს ენიჭება უფლება, ქონება ჩამოართვას იმ პირს, რომლის ბრალეულობა სასამართლოს მიერ დამტკიცებული არ არის. უფრო მარტივად, ქონება ჩამოართვას უდანაშაულო ადამიანს. თანაც, კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რა მოხდება ეჭვმიტანილის გამართლების შემთხვევაში. კანონი არ უშვებს მართალი კაცისთვის ქონების დაბრუნების შესაძლებლობას. ეს არის თანამდებობის პირთა დაშანტაჟების უებარი საშუალება. გავიხსენოთ, რომ ამ კანონის თანახმად, ნებისმიერ პროკურორს უფლება აქვს, ეჭვი შეიტანოს ნებისმიერი თანამდებობის პირის საქმიანობის კანონიერებაში და იგი ბრალდებულად გამოაცხადოს. პირის ბრალდებულად ცნობა პროკურორის ექსკლუზიური უფლებაა და მისი სასამართლოში გასაჩივრება არ შეიძლება. ამის შემდეგ პროკურორი ითხოვს თანამდებობის პირის, მისი ნათესავ-მეგობრების ქონების ჩამორთმევას და, როგორც წესი, ამას აღწევს კიდეც. მიზანი მიღწეულია - უკანონო ქონება კანონიერ მფლობელს, სახელმწიფოს უბრუნდება და პროკურორიც მშვიდად წყვეტს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს. აქედან გამომდინარე, მკაცრად ცენტრალიზებული პროკურატურის წინაშე ძრწის ყველა საჯარო მოსამსახურე (თანამდებობის პირი) პრემიერ-მინისტრიდან, ონის გამგეობის განყოფილების უფროსის ჩათვლით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე საქართველოში პროკურატურა არის არა სასამართლო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე აგრესიული შემადგენელი ნაწილი, ჩინოვნიკთა შანტაჟის იარაღი კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგება.

სხვათა შორის, ქონებრივი დასჯის მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1996 წლამდე მოქმედებდა და მას ქონების კონფისკაცია ერქვა. ამ წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი სახის სახდელი ანტიკონსტიტუციურად ცნო და მისი გამოყენება აკრძალა. მაშინ ეს გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანად ჩაითვალა დემოკრატიზმისა და სამართლიანობის გამარჯვებად. თუმცა, საბჭოთა მართლმსაჯულების რუდიმენტი, ქონების კონფისკაცია აუცილებლად უკავშირდებოდა პირის დამნაშავედ ცნობას, შვიდი წლის შემდეგ კი ქართული სამართლებრივი რეფორმების მებაირახტრენი ქონების უდანაშაულოებისთვის ჩამორთმევას მოითხოვენ.

და ართმევენ კიდეც.

განსაკუთრებულთა სიაში პროფესორი მერაბ ახობაძეც თავის რიგს ელის. ზემოხსენებული "ცვლილებებისა და დამატებების" წყალობით, "საფუძვლიანი ეჭვით" დაავადებულმა პროკურორმა "დაუსაბუთებელ და უკანონო ქონებაში" თვალის დაუხამხამებლად შეიტანა ახობაძის ოჯახის მიერ ოფიციალურად ჯერ კიდევ 1970 წელს აშენებული კოოპერატიული სამოთახიანი ბინა ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე თორმეტსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულზე; მისი 70 წლის ავადმყოფი დის ოროთახიანი ნახევარსარდაფის ტიპის ბინა; ოთხმოციან წლებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ მიცემული მიწის ნაკვეთი; ოფიციალურად გაყიდული საagარაკო სახლი; თავისი, მეუღლის, დის და ქალიშვილების სახელზე ბანკებში არსებული დანაზოგები; ძველი ავტომანქანა "შკოდა-ფელიცია"...

პროკურატურა ამ ქონების წარმომავლობით საერთოდ არ დაინტერესებულა. არც იმის გარკვევით შეუწუხებია თავი, რა ქონების პატრონი იყო მერაბ ახობაძე დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნამდე. და, საერთოდ, რას წარმოადგენს იგი, რა და როგორ გაუკეთებია. პროკურატურისთვის იგი მოპასუხეა, რომელსაც ყველა ღონისძიებით ქონება უნდა ჩამოერთვას. ეს არის და ეს. იმსახურებს თუ არა ამგვარ სასტიკ სასჯელს, სად იცხოვრებს თვითონ და მისი ოჯახი, რა ელის მის ხანდაზმულ ავადმყოფ დას, რას მოიტანს საკუთარი მოქალაქეებისადმი ამგვარი სასტიკი და უსამართლო დამოკიდებულება, ბოლოს და ბოლოს, საით მივდივართ? - ამ კითხვებზე პასუხის გაცემა პროკურატურის კომპეტენციაში არ შედის. პროკურატურა აღარ არის ერთ-ერთი მხარე სასამართლოში - იგი მუსიკას უკვეთავს. უფრო პროზაულად, იგი სასამართლოს უკვეთავს განაჩენს. ყველა დანარჩენი არავინ და არაფერია. მათ შორის - დაცვაც, რომელსაც 2004 წლის თებერვლიდან დაუბრუნდა ძველი, კარგად ნაცნობი კომუნისტური ფუნქცია - პანაშვიდზე მიტანილი გვირგვინისა.

არ ვიცი, რა ვუწოდო ამ ფაქტს - წლეულს გამართულ ყველა სასამართლო პროცესზე გაიმარჯვა ბრალდების მხარემ (პროკურატურამ). ვერც ერთი ეჭვმიტანილის ვერც ერთმა ადვოკატმა საკუთარი კლიენტისთვის ალმკვეთი ღონისძიების შეცვლაც კი ვერ მოახერხა. სასამართლო ბრალდების მხარესაა მაშინაც, როცა ბრალდების მტკიცებულებები აშკარად უსუსურია ან ეს მტკიცებულებები საერთოდ არ არსებობს. ადვოკატები, ზოგადად, იურისტები, მათ შორის, მოსამართლეები და პროკურორებიც კი, კულუარებში წუწუნებენ.

ამ ფონზე ახობაძის და მისი ოჯახის ტრაგედია მეტისმეტად ტრივიალურად გამოიყურება. ნამდვილი ტრაგედია ის არის, რომ 2004 წლის თებერვალში 235-კაციანმა პარლამენტმა თითქმის ერთხმად მიიღო ის ავადსახსენებელი "ცვლილებები და დამატებები". ისე მიიღო, შედეგებზე არც დაფიქრებულა. პროტესტი კი არა, მცირე ეჭვიც კი არავის გასჩენია (იმ უმრავლესობას ვგულისხმობ, ვინც ამ და სხვა ამგვარ შესწორება-დამატება-ცვლილებებს მხარი უყოყმანოდ დაუჭირა).

მიჭირს დაჯერება, რომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ასე არაკომპეტენტურია. თუმცა, გულისგულში ვნატრობ, ასე იყოს, რადგან მაშინ საქმის გამოსწორება უფრო ადვილი იქნება.

ძალიან, ძალიან შემაშფოთებელია სახალხო დამცველის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის, სერიოზული არასამთავრობო ორგანიზაციების, იურიდიული გაერთიანებების ფილოსოფიური დუმილი. ვფიქრობ, ეშინიათ. ეს შიში არ არის უსაფუძვლო, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ შევარდნაძის ეპოქიდან მოვდივართ. იმ ეპოქიდან, სადაც საკუთარი უბიწოების შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი იყო.

"საფუძვლიანად ეჭვიანი" პროკურორის ინსტიტუტმა კი, როგორც მოგახსენეთ, მთელ საზოგადოებაში შიში და პანიკა დათესა.

არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ცვლილებები და დამატებები სისხლისა და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში არის სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის გამოხატულება - რევოლუციური ეიფორიის პირობებში მეტნაკლებად სრულყოფილი დოკუმენტების შექმნა, როგორც წესი, ვერ ხერხდება. გამოუცდელი ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად შეასრულოს დანაპირები და მძიმე შეცდომებიც მოსდის. ეს, ადამიანური თვალთახედვით, სავსებით გასაგები და საპატიებელია. მაგრამ დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპების ერთგულ ხელისუფლებას უთუოდ უნდა შეეძლოს საკუთარი შეცდომების დანახვა, აღიარება და გამოსწორება. ეს სულაც არ ნიშნავს გზიდან გადახვევას ან არჩეული პრინციპების უარყოფას. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა ურთულესი პროცესია და ამ გზის გავლა უშეცდომოდ წარმოუდგენელია.

თუ არ ვცდები, ამ ცვლილება-დამატებების ინიციატორი ქართული სამართლებრივი რეფორმების უდავო ლიდერი, პრეზიდენტი სააკაშვილი იყო. უფრო ზუსტად, მისი ინიციატივით და დავალებით იურისტთა ჯგუფმა შეიმუშავა დოკუმენტების პაკეტი. პრეზიდენტს არ შეეძლო და არც ევალებოდა მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების განჭვრეტა. კანონის ანალიზი სპეციალისტებს უნდა გაეკეთებინათ და პრეზიდენტისთვის კარგად დასაბუთებული მოსაზრებები წარედგინათ. ვინაიდან ასეთი რამ არ გაკეთებულა და პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, არ იცის შედეგების თაობაზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიხეილ სააკაშვილი, თავისი წინამორბედის მსგავსად, თანდათან ექცევა საკუთარი ბიუროკრატიის ტყვეობაში - მას სიმართლეს შეგნებულად უმალავენ. რატომ? - ეს სხვა, ვრცელი საუბრის თემაა.

ჩვენს ქვეყანას ევროკავშირში შესვლის ამბიცია აქვს. თუმცა, იმ ქვეყანას, სადაც ადამიანების უფლებათა უხეში შელახვა საკანონმდებლო დონეზეა აყვანილი, არა მგონია, კარი სიამოვნებით გაუღონ. ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დღეს თუ არა, ხვალ სახელმწიფო ახობაძისნაირ ყველა საქმეს წააგებს. ან აქ წააგებს, ან ევროსასამართლოებში. ყველა ეს საქმე საქართველოს ძალიან ცუდად შემოუბრუნდება, როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით, ისე საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ხოლო როცა დამნაშავეთა ძიება დაიწყება (და იგი აუცილებლად დაიწყება!), ჯოხი უშუალო შემსრულებლებზე გადატყდება. ისინი კი თავს ვერ გაიმართლებენ.

დაბოლოს, ვინც ხსენებულ "ცვლილებებს და დამატებებს" ყურადღებით წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ქონების ჩამორთმევის კანონის შექმნაში გონებას მონაწილეობა არ მიუღია. ალბათ, მაშინ, რევოლუციური ალტყინების ჟამს, ცივი გონებით რაიმეს განჭვრეტა ძნელი იყო. ამის ბრალი უნდა იყოს, რომ კანონმა უკან დასახევი გზა არც მოსარჩელეებს (პროკურორებს) დაუტოვა, არც მოპასუხეებს (ჩინოვნიკებს) და არც განმსჯელებს (მოსამართლეებს). შედეგად, ის ტრაგიკული ვითარება მივიღეთ, რაზეც ამდენი ვისაუბრეთ...

**მიმდინარეობს კავშირ „იდეა-ცენტრის“ ლიკვიდაცია, დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 33-25-26**

# სახელმწიფო დაწესებულებები სასამართლოსადმი უპასუხისმგებლობას იჩენენ

*ქართულ მართლმსაჯულებაში ყველაფერი წესრიგში რომ არ არის, არავისთვის გახლავთ საიდუმლო - მოსამართლეთა გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოთა რიცხვის მატებასთან ერთად, მატულობს სრულიად საფუძვლიანი პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ სასამართლო სისტემა მკაცრი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პრეტენზიები მავანთა მიმართ თვით სასამართლო ხელისუფლებასაც გააჩნია და, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრეტენზიები ვერ გადაწონის ზოგადად სასამართლოსა თუ კონკრეტული მოსამართლეების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებსა თუ, უბრალოდ, შენიშვნებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის აზრით, მათი მოუგვარებლობა სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის მეტად დიდ დაბრკოლებებს ქმნის.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გარდა იმისა, რომ სასამართლოს მუშაობის რეჟიმი ირღვევა და სხვა საქმეების განხილვაც განრიგიდან ვარდება, ზარალდება ბიუჯეტიც - ყოველი სასამართლო პროცესი ხომ გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული.*

საქმე ეხება იმ ადმინისტრაციულ სასამართლო დავებს, რომლებშიც მოპასუხე თუ მოსარჩელე მხარედ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციები გამოდიან. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლების პროცესზე გამოუცხადებლობის გამო გადაწყვეტილების მიღება უსასრულოდ ჭიანურდება. როგორც ცნობილია, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 26` მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარის დაუსწრებლად გადაწყვეტილების გამოტანა არ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში კი, გარდა იმისა, რომ სასამართლოს მუშაობის რეჟიმი ირღვევა და სხვა საქმეების განხილვაც განრიგიდან ვარდება, ზარალდება ბიუჯეტიც - ყოველი სასამართლო პროცესი ხომ გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს თუ გადავხედავთ, უპასუხისმგებლობით გამორჩეულ სახელმწიფო დაწესებულებებსაც აღმოვაჩენთ. მათ შორის მიწის მართვის დეპარტამენტი ლიდერობს, რომელიც სულ ახლახან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ სამსახურის წარმომადგენელმა იგნორირება გაუკეთა 27 სასამართლო სხდომას. მიწის მართვის დეპარტამენტს ბევრით არ ჩამოუვარდება თბილისის მერია, რომლის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ სამი სასამართლო პროცესის 25 სხდომაზე. ამასთან, ეს გახლავთ მხოლოდ დიდუბე-ჩუღურეთისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოების მონაცემების საფუძველზე მოყვანილი მაგალითები. თუ იუსტიციის საბჭოს მდივანს ვერწმუნებით, ასეთივე მდგომარეობაა თბილისის ყველა, განსაკუთრებით კი, საოლქო სასამართლოში.

იუსტიციის საბჭოში სასამართლოსადმი ასეთი უპატივცემულო დამოკიდებულების მიზეზებს ეძებენ და ფიქრობენ, რომ შეიძლება საქმე ჰქონდეთ საჯარო მოხელეების არაკვალიფიციურობასა და არასათანადო განათლებასთან, ან სახელმწიფო ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან.

**"მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, მოიშალა იურიდიულ განყოფილებებს შორის კოორდინაცია. არადა, სწორედ ისინი წარმოადგენენ სასამართლო პროცესზე ამა თუ იმ ორგანიზაციის ინტერესებს,** - ამბობს იუსტიციის საბჭოს მდივანი პავლე კუბლაშვილი, - **სასამართლოზე რეგულარული გამოუცხადებლობა მათი მხრიდან ხან დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაციას ბრალდება, ხან ხელმძღვანელი პირის პოზიციის გაურკვევლობას. მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია შედეგი, რომელიც ამ დამოკიდებულებით დგება, კერძოდ, ის, რომ სასამართლოში ასეთი საქმეები გროვდება და, საბოლოო ჯამში, მათი გაჭიანურებისთვის პასუხი ისევ სასამართლოს მოეთხოვება. ასეთი დავების მთავარი პრინციპი ხომ მათი ეფექტური და დროული გადაჭრაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოც ტყუილ-უბრალოდ ცდება და ესა თუ ის სახელმწიფო ორგანიზაციაც ზარალდება."**

როგორც ისევ და ისევ კუბლაშვილისგან შევიტყვეთ, სასამართლოს მიმართ მსგავს უპატივცემულობას იშვიათად ავლენენ ძალოვანი სტრუქტურები, სამაგიეროდ, ამ თვალსაზრისით, თითქმის რეკორდული მაჩვენებელი აქვს თბილისის მერიას.

საქმე ის გახლავთ, რომ სასამართლოს მიმართ ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დასჯადი არ გახლავთ, შესაბამისად, ალბათ, ერთადერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში სამოქალაქო დავების პრაქტიკის ადმინისტრაციულზე გავრცელება გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო პროცესზე სამჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მხარის დაუსწრებლად გამოიტანოს.

*24 საათი*




## მოკლედ

### თავდამსხმელებმა ტაქსის მგზავრები ჩაცხრილეს

21 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს რვა საათზე, გორის რაიონის სოფელ ახალდაბასთან საზარელი მკვლელობა მოხდა. "ჟიგულის" მარკის ტაქსში სამი ადამიანი ჩაცხრილეს. სამივე მათგანს სხეულზე მრავლობით ცეცხლნასროლი დაზიანებები აღენიშნება. მოკლულთა ვინაობა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დადგინდა. ლაშა როსტომაშვილი, გია ტეფნაძე და ტაქსის მძღოლი მურთაზ მდივანი თავდამსხმელებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან შეუჩერებელი სროლით დაცხრილეს.

ჩვენი ინფორმაციით, შიდა ქართლის რაიონის სამართალდამცველებს მკვლელობაში ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ ჰყავთ. არც ის არის ცნობილი, რამდენი კაცი დაესხა თავს "ჟიგულის" მარკის ავტომანქანაში მყოფთ. საქმეს ისიც ართულებს, რომ მომხდარს არც ერთი თვითმხილველი მოწმე არ ჰყავს.

გამოძიებას თავდასხმისა და მკვლელობის გამოკვეთილი ვერსია არ გააჩნია, თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, საქმის გასახსნელად ყველა მიმართულებით მუშაობენ. ჩვენი ინფორმაციით, ყაჩაღობის ვერსია სამართალდამცველებმა უკვე გამორიცხეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მოკლული გია ტეფნაძე ყაჩაღობისთვის იყო გასამართლებული. რაც შეეხება ლაშა როსტომაშვილს, სამართალდამცველთა განმარტებით, მისი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ გარკვეული ეჭვები პოლიციას ჰქონდა. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომხდარი მკვლელობა, სავარაუდოდ, შესაძლოა, შურისძიებას უკავშირდებოდეს. **24 საათი**

### თბილისში იატაკქვეშა კაზინო აღმოაჩინეს

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ იატაკქვეშა კაზინო აღმოაჩინა და დალუქა. როგორც პოლიციაში აცხადებენ, კაზინო, სადაც სამართალდამცველთა მისვლის დროისათვის შვიდი მაგიდა მუშაობდა, თამარ მეფის გამზირზე ფუნქციონირებდა. იქ კარს მხოლოდ ნაცნობ კლიენტებს უღებდნენ, შემთხვევით გამვლელებს კი შთაბეჭდილება რჩებოდათ, რომ შენობა დაკეტილი იყო და იქ არაფერი ფუნქციონირებდა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, კაზინოს შპს "თებელო" შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ამუშავებდა. მას არც ლატარიის გათამაშების ლიცენზია ჰქონდა. ფინანსურმა პოლიციამ ასევე აღმოაჩინა, რომ კაზინო ანგარიშსწორებას დოლარებში აწარმოებდა, რაც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაა.

მოთამაშეთა ახსნა-განმარტებით და ამოღებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კაზინომ, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს, სახელმწიფოს, სავარაუდოდ, 100 ათას ლარზე მეტი დაუმალა.

"აღსანიშნავია, რომ კაზინოს ინვენტარი და "ფიშკები" ბაქოდან არის ჩამოტანილი - მას მერე, რაც აზერბაიჯანში კაზინოების მოქმედება აიკრძალა. შპს "თებულოს" დირექტორი და მოადგილე ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მუხლებით აღიძვრება. **24 საათი**

### დავით მირცხულავას სასამართლო პროცესი დასკვნით ეტაპზე გადადის

დავით მირცხულავას სასამართლო პროცესზე მოწმეთა დაკითხვა დასასრულს უახლოვდება. ყოფილი მინისტრის სასამართლო პროცესზე გამოცხადება და ჩვენების მიცემა კიდევ რამდენიმე ექიმს და გამომძიებელს მოუწევს, რის შემდეგაც სასამართლო დასკვნით ეტაპზე გადავა.

ცნობს თუ არა დაუშვებელ მტკიცებულებად სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, განსასჯელ დავით მირცხულავას საქმის განმხილველი მოსამართლე გამოძიების მიერ საქმეში ჩადებულ საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნას, დღეს გახდება ცნობილი.

წინა სასამართლო პროცესზე განსასჯელის ადვოკატებმა სწორედ გამოძიების პროცესში ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის საქმიდან ამოღების შუამდგომლობა დააყენეს. "ჩვენ ამ ექსპერტიზის საქმის კურსში არ ვიყავით, ის სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა აღიაროს," - ასეთი გახლავთ მირცხულავას ინტერესების დამცველთა პოზიცია, რასაც გუშინდელ პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი დაუპირისპირდა. კახა მაჭავარიანს ადვოკატების მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიაჩნია. დარჩება თუ არა დავით მირცხულავას ბრალდების საქმეში იმ საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა, რომელზეც პროკურატურა დიდ იმედებს ამყარებს და რომელსაც ადვოკატები უკანონოდ მიიჩნევენ, როგორც უკვე გითხარით, დღეს გაირკვევა. **24 საათი**

### ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულება დამტკიცებულია

დაახლოებით ერი თვის წინ, საქართველოს სხვადასხვა სტრუქტურებში გაბნეული ექსპერტიზები საბოლოოდ გაერთიანდა და იგი იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა. დღევანდელი ხელისუფლების მტკიცებით, ქვეყანას უახლოეს მომავალში ექნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილი, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. თუმცა, ვიდრე უცხოელი დონორები ახალი ექსპერტიზის ცენტრს საერთაშორისო სტანდარტებამდე მიიყვანენ, მანამდე დღის წესრიგში დადგა საექსპერტო მუშაობისათვის ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის ბრძანებით, იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზებული სტრუქტურული ქვედანაყოფის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულება დამტკიცდა, რომელიც ამ სამსახურის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტიზის სამსახურების ბაზაზე შეიქმნა. **"ეს სტრუქტურული ცვლილება სტრუქტურის უკეთ მართვისა და ექსპერტიზის სფეროში ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის გახდა აუცილებელი,"** - აცხადებენ სამინისტროში. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო უფლებამოსილია განახორციელოს: ხელნაწერების, ხელმოწერების და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა; კომპიუტერული, აუდიო-ვიდეო, პოძეოსკოპური, ფონოსკოპური, ბალისტიკური, ტრანსოლოგიური, ავტოტექნიკური, სატრანსპორტო-ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპური, ფინანსური და ბუღალტრული, ნივთიერებების, მასალებისა და ნაკეთობების, მცენარეული ობიექტების, ნავთობპროდუქტების ხარისხის, კვების პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, აგრეთვე, თამბაქოს ნაწარმის ექსპერტიზა. ასევე სამედიცინო, ჰისტოლოგიური, ფიზიკო-ტექნიკური, სამედიცინო-ქიმიური ექსპერტიზა, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა. ბიუროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი და იურიდიული პირის ატრიბუტები.

ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროზე კონტროლს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს. **24 საათი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.......................................

**საკონტაქტო ტელეფონი**...................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

1

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებში და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ზაალ დუჩიძე**

ვარ 1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილე სამაჩაბლოში. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით:

1. მეკუთვნის თუ არა დანამატი პენსიაზე და რა რაოდენობით;

2. მექნება თუ არა რაიმე წინააღმდეგობა ომის მონაწილის მოწმობის აღებისას.

ბატონო ზაალ,

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელის შეშლა დანაშაულად ითვლება და დასჯადი ქმედებაა, ამდენად, ომის მონაწილის მოწმობის აღებისას თქვენ წინააღმდეგობა არ უნდა შეგხვდეთ.

საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" განსაზღვრავს მთელ რიგ შეღავათებს, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ. კერძოდ ეს შეღავათებია:

და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლება და შეღავათები:

ა) პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ბიუჯეტის სახსრებიდან შესაძლებლობის შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტების მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ორი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

დ) დახმარება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის პირველი რიგის შეკეთებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

ე) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღების უფლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

ვ) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისა და სახლის შეკეთებისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება;

ზ) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

თ) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების დაუშვებლობის სამაგიეროს მიუცემლად;

ი) ომის მონაწილეებისა და მათთან მცხოვრები პენსიონერი ან ოჯახის შრომის უუნარო წევრების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი, კოლექტიური ანტენა ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 30 კვტ. სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 45 კვტ. სთ-ის ოდენობით.

ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განისაზღვრება: ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125 კვტ სთ-ით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 75 კვტ სთ-ით თვეში;

საცხოვრებელი ქირის გადახდაზე შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდების სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდაზე - პირებს, მათი საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო სამსახური;

კ) გაზრდილი და პირველი მოთხოვნილების სურსათისა და სამრეწველო საქონლის შესაძენად სპეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებებით სარგებლობა;

ლ) რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სამსახურებში;

მ) პენსიაში გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების უფასოდ მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც პენსიაზე გასვლამდე იყვნენ მიმაგრებული; სამედიცინო დახმარება და ყოველწლიური დისპანსერიზაცია სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში /მათ შორის ომის ვეტერანების ჰოსპიტალში/ სახელმწიფოს ხარჯზე;

ნ) რეცეპტით გასაცემი წამლების უფასოდ უზრუნველყოფა, ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრება;

ო) კბილის პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ძვირფასი ლითონის პროთეზის გარდა/ სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზებით და საპროთეზო ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

პ) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე. საგზურებს გასცემენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას;

ჟ) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით ამბულატორიულ-საკურორტო საგზურით უზრუნველყოფა და პანსიონატში ადგილის უპირატესი მიღება;

რ) მათთვის ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით და წელიწადში ერთხელ ერთი თვის ხანგრძლივობის დამატებით უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება;

ს) ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის ყოველწლიური სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო ანაზღაურება ქალაქში - საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად-საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობის, საგარეუბნო რკინიგზის ტრანსპორტით სარგებლობისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით.

ორ წელიწადში ერთხელ /ორივე მიმართულებით/, სურვილის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტით, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ან წელიწადში ერთხელ ამ მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება და ზამთრის პერიოდში რკინიგზის, საჰაერო ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ტ) ყველა სახის ტრანსპორტის ბილეთის რიგგარეშე შეძენა;

უ) სახელმწიფო დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე უპირატესი მიღება;

ფ) სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე /სამსახურში/ უპირატესი დატოვება;

ქ) ახალი პროფესიის დაუფლება სახელმწიფოს ხარჯზე. სამუშაო ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლლების მთელ პერიოდში უკანასკნელ სამუშაო ადგილზე შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის 100 პროცენტის შენარჩუნებით;

ღ) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;

ყ) საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტში, ფოსტასა და კავშირგაბმულობის სხვა დაწესებულებებში კავშირგაბმულობის საშუალებებით რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება დადგენილი წესით;

შ) კულტურულ-სანახაობით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება დადგენილი წესით;

ჩ) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა მომსახურების ტერიტოიულ ცენტრებში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში რიგგარეშე მიღება;

**შალვა სიდამონიძე**

1982-1984 წლებში მშობლები გარდამეცვალა. ჩემი გვერდის ავლით ჩემმა რძალმა (ძმის ცოლმა) ცაგო ლურსმანაშვილმა ფიქტიური ქმედების საშუალებით ჩემი მშობლების უძრავ-მოძრავი ქონება გადაიფორმა, რის შედეგადაც გახდა მკვიდრი მფლობელი.

რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა ქარელის რაიონის ზემო ხვედურეთის მაშინდელი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე - სადუნაშვილმა?

ბატონო შალვა,

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის რედაქციით, სამკვიდროს გადაფორმებაზე ოფიციალურად უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. ამავე დროს, სამოქალაქო კოდექსი აღიარებდა მემკვიდრეთა რიგითობის წესს, რაც იმას გულისხმობს, რომ პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ მეუღლე, შვილები და მშობლები. თქვენმა რძალმა კანონის გვერდის ავლით მოახდინა თქვენი მშობლების სამვიდროს თავის სახელზე გადაფორმება. მაგრამ, რადგან გასულია სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა, სასამართლო მიიღებს თქვენს სარჩელს წარმოებაში, მაგრამ დატოვებს მას განუხილველად ხანდაზმულობის ვადის არასაპატიოდ გაშვების გამო.

**დონარა ნაზარიშვილი**

ვარ პენსიონერი. ვმუშაობდი 42 წელი. ამჟამად ვარ 70 წლის. ჩემი მეუღლე გარდაიცვალა 1966 წელს 65 წლის ასაკში. იყო ინჟინერი, იმუშავა 40 წელი. მყავს 1 ქალიშვილი.

გთხოვთ ამიხსნათ: საჭიროა თუ არა და თუ საჭიროა, როგორ უნდა მოვიქცე, რათა ჩემი და ჩემი მეუღლის სალაროს წიგნაკები, რომლებშიც ჩვენი დანაზოგია, იყო იურიდიულად სრულყოფილი, რათა ჩემ შვილს ჩემი სიკვდილის შემდეგ ამ კონკრეტულ შემთხვევეში ჰქონდეს მემკვიდრის ყველა უფლება.

ქალბატონო დონარა,

საბჭოთა ბანკებში შესული ანაბრები საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია სახელმწიფოს შიდა ვალად. ამავე დროს, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილ ანაბრებზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. თქვენი გარდაცვალების შემდეგ, თქვენი ქალიშვილი სხვა სამკვიდროსთან ერთად მიიღებს თქვენს სალაროს წიგნაკსაც და უფლება ექნება, განკარგოს იგი თავისი სურვილისამებრ.

**ლელა ხიდაშელი**

ვარ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი. ვმუშაობ ნახევარ განაკვეთზე. სამი წელია ვასრულებ მთლიანი განაკვეთის დატვირთვას საათების რაოდენობის მიხედვით. გამთლიანება ხელმძღვანელობამ რატომღაც არ ინება, რასაც მოსალოდნელი შემცირებებით ხსნიდნენ. ამ დროს იმავე კათედრაზე ღებულობენ ახალ თანამშრომელს ნახევარ განაკვეთზე. არის თუ არა ეს დარღვევა რექტორატის მხრიდან?

ქალბატონო ლელა,

ზოგადად, ყველა ინსტიტუტს გააჩნია თავისი შინაგანაწესი, რომალსაც იგი ემორჩილება განათლების შესახებ ორგანული კანონის დებულებების გარდა. შესაბამისად, რა წერია ამ შინაგანაწესში და რა უფლებამოსილება გააჩნია რექტორს, ჩვენთვის უცნობია. შეასბამისად, ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ისე კი, შრომის კანონთა კოდექსი ადგენს, რომ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის ხელშეკრულებით. (მუხლი 25. შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესრულების მოთხოვნის აკრძალვა).

**ნატალია სტურუა**

1. არარეგისტრირებული ქორწინებისას, რომლის საფუძველი ოჯახებს შორის ზეპირი გარიგებაა (ჩატარდა ქორწილი და ა.შ.), განქორწინების შემთხვევაში შეუძლია თუ არა ცოლს, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, როცა არსებობს ამ უკანასკნელის სრული უდანაშაულობის დამამტკცებელი საბუთები.

2. როგორ შეიძლება დადგინდეს პიროვნება არის თუ არა ნამდვილად დიდი სამამულო ომის მონაწილე, სად შეიძლება მოვიპოვოთ პირველი წყარო ამისათვის?

3. პიროვნების მიერ დაწერილი წერილი თუ ითვლება ძიებისას დამამტკიცებელ საბუთად?

ქალბატონო ნატალია,

1. არარეგისტრირებული ქორწინება არ წარმოშობს მეუღლეებს შორის იმ ქონებრივ და პირად უფლება-მოვალეობებს, რომლითაც სარგებლობენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები. რაც შეეხება მორალურ ზარალს, ამ საკითხს შეეხება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, სადაც საკმაოდ მკაცრად განსაზღვრავს, რომ პირს მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, ესენია პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია.

18.6 მუხლის თანახმად პატივიs, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოებis, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

2. ასეთ საკითხებზე ცნობებს გასცემს სახელმწიფო არქივი.

3. პირის მიერ დაწერილი წერილი შეიძლება იქნას აღიარებული მტკიცებულებად, თუკი მას კავშირი აქვს გამოძიებიათვის ანდა სასამართლოსათვის საინტერესო საკითხთან.

**ნინა აბაიშვილი**

გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც მუშაობდა შსსში პოლიციის უფროს სერჟანტად, გარდაცვალების შემდეგ მეკუთვნის თუ არა გარდაცვლილი მეუღლის პენსია სრულად, ჩემი პენსიის ჩაბარების შემდეგ?

ქალბატონო ნინა,

საქართველოს კანონიs "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" თანახმად, თქვენ უფლება გაქვთ, სურვილის შემთხვევაში ისარგებლოთ თქვენი მეუღლის პენსიით. კერძოდ:

სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე სახეობის სახელმწიფო პრესიის მიღების უფლება აქვთ, მათი სურვილის შესაბამისად ენიშნებათ ერთი სახეობის პენსია. მუხლი (muxli 4. პენსიის სახეობის არჩევის უფლება)

**ელდარ ლომიძე**

ნახევარფაბრიკატების დამზადებისა და რეალიზაციისათვის საცალო ქსელში (ძირითადად ხორცის ფარშისაგან დამზადებული) რა არის საჭირო. ლიცენზიის გარდა სერთიფიკატი თუ არის საჭირო.

თუ არის შეღავათი II ჯგუფის ინვალიდებისათვის ლიცენზიის დროს განმიმარტოთ. (საერთოდ II ჯგუფის ინვალიდს რა შეღავათი ეკუთვნის სოციალურ სფეროში 2005 წლიდან მაინ, თუ არის ცნობილი).

ბატონო ელდარ,

საქართველოს კანონმდებლობა მკაცრად არეგულირებს საკვები პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის წესებს. საქართველოს კანონი "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" ადგენს, რომ პირი, რომელიც ეწევა საკვები პროდუქტების დამზადებასა და რეალიზაციას, ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს პროდუქციის წარმოების სფეროში:

ყველა სხვა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოება - 130 ლარი. (მუხლი 6.13 გ).

**თამაზ ჯიქაძე**

მაქვს ჩემს სახელზე არსებული კოოპერატიული ბინა, რომლის საკუთრებაც მთლიანად დაფარულია. ვთვლი, რომ ეს ბინა კერძო საკუთრებაა და ითვალისწინებს თუ არა კანონი ამ ბინის აუცილებელ პრივატიზაციას გაყიდვის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის ან სხვა შემთხვევაში.

გთხოვთ, გამარკვიოთ, რა სახის საკუთრებაა ჩემი ბინა - კერძო, სახელმწიფო თუ სხვა სახის და მიმითითოთ ის იურიდიუოლი დოკუმენტი, იქნება ეს ნორმატიული აქტი, პრეზიდენტის განკარგულება, კანონი თუ სხვა სახის სახელმწიფოებრივი დოკუმენტი, რის საფუძველზეც შევძლებ თქვენგან მიღებული პასუხის სამართლებრივ მტკიცებას.

ბატონო თამაზ,

პირის საკუთრება ამა თუ იმ უძრავ ქონებაზე დასტურდება ჩანაწერით საჯარო რეესტრში. თუ ეს ბინა თქვენს სახელზეა რეგისტრირებული, მაშინ იგი თქვენს საკუთრებად ითვლება და შეგიძლიათ თავისუფლად განკარგოთ იგი: გაყიდოთ, გააჩუქოთ თუ მემკვიდრეობით დაუტოვოთ ვინმეს. ამ საკითხს შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-315ვ მუხლები. საჯარო რეესტრის შესახებ მუხლები გაბნეულია სამოქალაქო კოდექსში მთლიანად, რომელიც უძრავი ნივთის რეგისტრაციას შეეხება.

**იოსებ კვინტრაძე**

როგორც II მსოფლიო ომის მონაწილე (კაპიტანი), პერსონალური პენსიონერი და დამსახურებული ეკონომისტი, ვსარგებლობ შეღვათებითა და მათ შორის ელექტრომომარაგებით. იმასთან დაკავშირებით, რომ ვარ მარტოხელა და მასთან ერთად, წლის უმეტეს ნაწილს - შვიდ თვეს ვატარებ საბაღე ნაკვეთში, რომელიც რომელიც 5-7 კილომეტრითაა დაშორებული. ლიმიტის 10-15 %-ს ვერ ვიყენებ და ამჟამად აუთვისებელია 300 ლარზე მეტი. ამასთან, გასული წლის ბოლომდე თელასის საბჭო კმაყოფილდებოდა ჩემგან წარდგენილი აღნიშნული დოკუმენტებით, სექტემბერში მოითხოვეს გადახდა, თანაც მრიცხველის უნახავად და კონტროლის გარეშე.

ბატონო იოსებ,

თუ თქვენ თვლით, რომ თელასის მუშაკები არაკანონიერად მოქმედებენ, მოსთხოვეთ მათ წერილობითი აქტის შედგენა, რომელსაც შემდგომში სასამართლოში გაასაჩივრებთ.

**ნუცა ფეიქრიშვილი**

გთხოვთ, მიპასუხოთ სს კოდექსის 342-ე მუხლი სამსახურებრივი გულგრილობა განზრახი დანაშაული თუ გაუფრთხილებელი. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორი წლით. თუ აღნიშნული დანაშაული არის გაუფრთხილებლობით, ე.ი. დაუდევრობით ჩადენილი, შეიძლება თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილით პასუხისგებაში მიცემულ პირს შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, რადგან სს საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაპატიმრება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეტას სამი წლით ან მეტი ვადით".

ქალბატონო ნუცა,

სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლში მკაფიოდაა განმარტებული: `1.სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი ***დაუდევარი*** დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია~

რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას-განზრახია თუ გაუფრთხილებლობითი აღნიშნული ქმედება, მისი განმარტებიდანაც ჩანს, რომ ს/ს კოდექსის კონკრეტულ მუხლში იგულისხმება მოხელის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება; ე.ი. მოხელის ***დაუდევარი*** დამოკიდებულება მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი.

**ფრიდონ იოსელიანი**

ვმუშაობდი საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მესტიის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსად. ამჟამად ეს სამსახური ლიკვიდაციაში წავიდა. დავრჩით უმუშევრად. სამმართველოს ყოფილი მუშაკები ჩემგან ითხოვენ წინა წლების - 1998 წლის 11 თვის, 1999 წლის 5 თვის, 2000 წლის 5 თვისა და 2003 წლის ერთი თვის გაუნაღდებელი ხელფასების ანაზღაურებას. 22 თვეში ხელფასების დაგვიანებამ შეადგინა 19 ათასი ლარი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ თანხების "გაყინვა" ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის მიერ მოხდა.

გთხოვთ, გამარკვიოთ, ვის მივმართო და შეიძლება თუ არა სასამართლოს მეშვეობით "გაყინული" ხელფასები ავინაზღაუროთ და უმუშევრად დარჩენილებმა მუშაკებმა ცოტა შვება მაინც იგრძნონ.

ბატონო ფრიდონ,

მოგახსენებთ, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2003/12/31 შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად (საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 1341). ამავე კანონის 137-ე მუხლი კი ადგენს, რომ 2005 წლის იანვრამდე იქნა შეჩერებული ამ კანონით განსაზღვრული მთელი რიგი სოციალური შეღავთები. მათ შორისაა 109-ე მუხლი (სამსახურიდან განთავისუფლების კომპენსაცია); 71-ე მუხლი (საკლასო ჩინის მინიჭება);47-e მუხლი სწავლის ხარჯების ანაზღაურება და სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით დღესდღეობით საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს დავა. ხოლო პარლამენტში შესულია განსახილველად კანონპროექტი, რომელიც ზემოთაღნიშნული ცვლილების გაუქმებას ისახავს მიზნად.

**ვიდრე ბახი საფლავში გადაბრუნებულა**



B2

**"ლელო" საქართველოს ჩემპიონია**



B5

**ირაკლი სესიაშვილი: პროტესტი შედეგს მაინც გამოიღებს...**



B6

ქეთევან სადღობელაშვილი




## ხელისუფლება და ტელევიზია

ერთი ფრანგი ტელემკვლევარია, ლუი მერლენი, რომელმაც მარკესის ცნობილი თეზა - "ყოველი ერი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს", დიდი კვლევა-ძიების შედეგად ტელევიზიაზე განავრცო: "ყოველ ქვეყანას ისეთი ტელევიზია აქვს, როგორსაც იმსახურებს."

როგორ ტელევიზიას იმსახურებს თავად ხელისუფლება, უფრო სწორად, როგორი ტელევიზია სჭირდება მას? მოკლე პასუხი ასეთია: მორჩილი და მაამებელი.

როცა ხელისუფლება ამაყად აცხადებს, რომ მას არა ჰყავს არამცთუ ჯანსაღი, უსუსური ოპოზიციაც კი, ამ განცხადებით ხაზს უსვამს და ამტკიცებს მედიის უუნარობას, რადგან ყველა, მეტნაკლებად დემოკრატიულ ქვეყანაში მედია ხელისუფლების მარადიულ ოპონენტად მოიაზრება. საქართველოში პრესა გაცილებით თამამია ხელისუფლების ოპონირებაში, ვიდრე ტელევიზია. ამ უკანასკნელის უშუალო ზემოქმედების ძალა მასებზე დიდი ხნის აპრობირებული მეთოდია, ე.წ. ნაცადი პოლიტტექნოლოგიაა, რომლის სათავისოდ გამოყენებას ყოველთვის ცდილობს ხელისუფლება. ჯერჯერობით, საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება ტელევიზიების მოსათვინიერებლად, რადგან ჩვენი "წამყვანი" ტელეკომპანიები თავიანთი ინიციატივით ისედაც ხელისუფლების სადღეღამისო მომსახურებისათვის, მოწოდებაზე: "იყავ მზად!", მზად არიან. ამის კონკრეტული მაგალითია პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან რომელიმე ხმაურიანი ჩინოვნიკის მიერ გამართული არცთუ იშვიათი ბრიფინგები და ვოიაჟები, რომელიც პირდაპირი ეთერით ერთდროულად გადაიცემა ხოლმე "პირველ არხზე", "რუსთავი-2"-ზე, "იმედსა" და "მზეზე". ვნახოთ, რა ხდება ამ მხრივ ჩვენთვის მისაბაძ ქვეყნებში. ცნობილი ამერიკული ტელეკომპანია "სი-ბი-ესის" საეთერო პოლიტიკა პრეზიდენტის მიერ პირდაპირი ეთერის მოთხოვნასთან დაკავშირებით ასეთია: *"თანხმობა პრეზიდენტის მიერ პირდაპირი ეთერის მოთხოვნაზე არ იქნება ავტომატურად გარანტირებული. პირიქით, ვაშინგტონის ბიურომ წინასწარ უნდა მიიღოს რაც შეიძლება სრული ინფორმაცია და გაარკვიოს, ანიჭებს თუ არა თეთრი სახლი პრეზიდენტის სიტყვას დიდ მნიშვნელობას ამერიკული საზოგადოებისათვის. თუ თეთრი სახლი შეგვატყობინებს, რომ საქმე ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას ან საერთაშორისო ურთიერთობებს, ან არსებობს სხვა გარემოებები, რომელთა შესახებაც წინასწარი ინფორმაციის მიწოდება არასასურველია ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მივიღებთ ამ განმარტებას იმ შემთხვევაში, თუ არ გვექნება ეჭვის აღმძვრელი სხვა უტყუარი მიზეზი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც არა გვაქვს სათანადო დასკვნა, ტრანსლაციის დაწყებამდე მივუთითებთ, რომ გამოსვლა გადაიცემა თეთრი სახლის დაჟინებული მოთხოვნით... ერის წინაშე პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, იმ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც არსებობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უთანხმოება, "სი-ბი-ესი" მაყურებელს წარუდგენს ამ პოლიტიკურ საკითხებზე პრეზიდენტის საპირისპირო თვალსაზრისის შემცველ გადაცემებს"*. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს რეალობას და უმდიდრესი ფანტაზიის მფლობელებმა წარმოვიდგინოთ, როგორი კატეგორიულობით თხოვს სახელმწიფო კანცელარიას პრეზიდენტის გამოსვლის დასაბუთებას ზაზა შენგელია, ბადრი პატარკაციშვილი, დავით ბეჟუაშვილი და ქიბარ ხალვაში. იღიმებით თუ ხარხარებთ?

მოდით, ამ "კეთილი ირონიის" მიზეზი გავარკვიოთ.

თავისუფალი მედია ერთგვარი სისტემაა. ამიტომაც, ცალკე აღებული ტელეკომპანია არ შეიძლება იყოს თავისუფალი ან დამოუკიდებელი, რადგან იგი, რაც უნდა შეფარვით მოქმედებდეს, მაინც გამოხატავს ცალკეული პიროვნებისა თუ ჯგუფის ინტერესებს (ფინანსური ან პოლიტიკური). დღეს საქართველოში თავად ფული არ არის თავისუფალი და კონცენტრირებულია ცალკეული ოლიგარქების ხელში (მერე რა, თუ საქართველოში არ არის ნაშოვნი). ოლიგარქების კეთილდღეობა კი ასევე პირდაპირპროპორციულია ხელისუფლების კეთილგანწყობისა (არ იქნება და?!).

აქედან გამომდინარე, ოლიგარქთა ტელევიზიების "თავისუფლებით" არ განისაზღვრება საერთო თავისუფლების ხარისხი და არც ფულიანთა ინტერესი დაემთხვევა საზოგადოების ინტერესებს, რადგან ისინი სხვადასხვა ფასეულობებით ცხოვრობენ. საკმარისია გავიხსენოთ რუსული "ტელემამის" ედუარდ საგალაევის სიტყვები: "თანამედროვე ტელევიზია პირველ რიგში ემსახურება ფულს, შემდეგ - ხელისუფლებას და მხოლოდ ბოლოს - მაყურებელს". ასეა, ჩვენ მენტალურად არ შევცვლილვართ და ხელისუფლებისაგან დავალებული ტელევიზიები თუ პირიქით, ტელევიზიებისგან დავალებული ხელისუფლება ყოველთვის იძულებული იქნება, ფსევდოთავისუფლების სული შექმნას ტელეეკრანზე. "ბი-ბი-სი" ნიუსის ხელმძღვანელმა ერთხელ თქვა: "თუ ოფიციალური პირი რეკავს და პროტესტს აცხადებს რომელიმე სიუჟეტის გამო, ამ სიუჟეტის ეთერში გადაცემის სურვილი მაშინვე ორმაგდება, რადგან ზემოდან ბრძანების გამო სიუჟეტი რომ მოვხსნათ, აუდიტორია ზურგს შეგვაქცევს." ჩვენმა მორჩილმა საზოგადოებამ კი იმდენჯერ ჩაყლაპა ანკესი, რამდენჯერაც გადაუგდეს. ხოლო დღეიდან, იმისათვის, რომ ჟანგიანი ანკესი უფრო მსუყედ ჩავყლაპოთ, ფულიცაა გადასახდელი...

### ხოლო ჟურნალისტები?!

"ჟურნალისტი ეჭვით უნდა უყურებდეს ხელისუფლებასო," - ისე ხშირად ამბობდა პოზნერი, რომ ეჭვი შეგეპარებოდა მის ამგვარ დამოკიდებულებაში ხელისუფლების მიმართ. ახლა ჩვენს "ეჭვით მაცქერალ" ტელეჟურნალისტებსაც გადავხედოთ და ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქცია - ინფორმაცია და საინფორმაციო სივრცე - ზოგადად მაინც მიმოვიხილოთ. ინფორმაცია ხომ ყველა დროის ხელისუფალს აინტერესებს და, გარკვეულწილად, კონტროლის დაუოკებელ სურვილს აღუძრავს.

ქართული საინფორმაციო პროგრამებია: "კურიერი", "ქრონიკა", "მზერა", და აწ უკვე "მთავარი".

ავი ენები ამბობენ, რომ საინფორმაციოები მეტ-ნაკლებად ერთმანეთს დაემსგავსა და სიმძაფრე მოაკლდა. კანცელარიისა და პარლამენტის დერეფნების, იაფფასიანი სკანდალებისა და მთავრობის ფუჭი დაპირებების გარდა მთავარ საინფორმაციო "მაგისტრალად" ისევ "რუსთაველის" მეტროდან "თავისუფლების მოედნამდე" არსებული ტერიტორია რჩება (სწორედ აქ წარმოებს ხოლმე „საზოგადოებრივი გამოკითხვები"). ჩაბნელებული რეგიონების (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ჩაკეტილი საზოგადოებისა და მისი პრობლემების გაშუქება "პატრიოტულ სულს ჩაკლავს ჩვენში" და ჟურნალისტები ამიტომაც ერიდებიან ხელისუფლების განაწყენებას. რაც შეეხება ჟურნალისტთა პროფესიონალიზმს. კახა ბენდუქიძეს ეკონომიკაში თითიც რომ არ გაენძრია, თუნდაც იმიტომ ღირდა საქართველოში მისი მოწვევა, რომ ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ერთგვარი ლაკმუსი აღმოჩნდა. თუკი მის ამ უნებლიე ინიციატივას სხვებიც შეუერთდებიან, ეკრანზე გამოჩენის ფასად ღირსებაზე უარს არ იტყვიან და არაკომპეტენტურ ჟურნალისტებთან საუბრისგან თავს შეიკავებენ, გარწმუნებთ, რომ უმოკლეს ხანში ჩვენს ტელეეკრანებზე ბევრი "ვარსკვლავი" ჩაქრება.

მოკლედ, ზემოხსენებულ ფრანგ კრიტიკოსთან ერთ სიტყვას თუ შევცვლით, აზრსაც ზუსტად მოვარგებთ ჩვენს რეალობას: "ყოველი საზოგადოება იმსახურებს იმ ტელევიზიას, როგორიც აქვს". თუ ფიქრობთ, რომ კატეგორიული ვარ, აგერ, გადანითლებულ (რას შვრება მაინც ეს კომკავშირული წარსული), "ერთადერთ" არხს გაძლებამდე მაინც უყურეთ და მიხვდებით. ეს თქვენი არხია, სადაც "თქვენი სახელით" გაკეთდება ყველაფერი, თქვენი ინტერესები და სურვილები იქნება "მთავარი", მაგრამ თქვენ არაფერი გეცოდინებათ ამის შესახებ. "პირველი არხის" რეორგანიზაციისთვის ხელისუფლების მიერ შერჩეული დროებითი სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები და როლი, პირადად მე ვერაფერში დავინახე. თუკი ხანუმასავით ცუდად შეპუდრული ძველი არხი უნდა გვეხილა ისევ, ამდენი ხანი, "ამას გვიმალავდით?"

### „სარჩევი"

ძვირფასო საზოგადოებავ, "თქვენს ტელევიზიაზე" მომავალ ხუთშაბათს ვისაუბროთ, როცა "პირველი არხის" საპრემიერო დღეები და თვითტკბობის ეიფორია ჩავლილი იქნება. მანამდე კი გირჩევთ, შავი სათვალით უყუროთ ხსენებულ არხს, მოჭარბებული წითელი ფერისგან შიზოფრენია რომ არ დაგემართოთ. და, რაც მთავარია, ეს არხი, რომლის განახლებასაც ხმელეთის ყველა სულიერი, ცაში ფრინველნი, ზღვაში თევზნი და ხმელი წიფელნიც კი უსაზღვროდ ელოდნენ, აღიქვით, როგორც სატირულ-იუმორისტული არხი. ამ კუთხით მისი განახლება, ნამდვილად გამართლებულია.

ასე რომ, დროებით, ისევ ამ დროს. გაზეთის გვერდიც უცვლელია.

## ა ნ კ ე ტ ა

1. ქართულ ტელესივრცეში რომელ არხს გამოარჩევდით და რატომ?

2. როგორი გადაცემების ნახვას ისურვებდით ქართული ტელეეთერით?

3. როგორია ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ხარისხი?

4. ხედავთ თუ არა დილეტანტიზმის მაღალ დონეს ქართულ ტელეჟურნალისტიკაში?

(კონკრეტული მაგალითების მოხმობით)

5. გადაცემა და წამყვანი, რომელიც მოგწონთ ან გაღიზიანებთ...



**მწერალი გურამ დოჩანაშვილი**

**1.** ადრე რომ გეკითხათ, "მეცხრე არხს" გამოვარჩევდი თავისი კულტურულობითა და ზომიერებით. ისე, ზოგიერთ, ჩემთვის მიუღებელ არხსაც კი, თავისდაუნებურად ერთი-ორი კარგი გადაცემა გამოერეოდა ხოლმე კლასიკურ მუსიკაზე. ამასწინათ, "ევრიკაზე" გადავრთე და გავოგნდი. ვიფიქრე, რამ გადააგვარა ეს "ევრიკა" ასე თვალსა და ხელს შუა-მეთქი. თურმე, სულ სხვა არხია, სადაც, რბილად რომ ვთქვათ, თამამი გოგო-ბიჭები სხედან და ჭორაობენ, როგორ უყვარს არხოტელ ალუდას ვილაც ცირა. ძალიან ადვილია ტელეარხების გამოცნობა სერიალების რაოდენობის მიხედვითაც, რადგან სერიალები არის ადამიანის გამოყეყეჩების უებარი საშუალება. ახლა სამამულო სერიალების გადაღებაც დაუწყიათ, ვითომ კარგი მილიცია ბანდიტებს რომ იჭერს. და მთავარი, რაც ჩემთვის მიუღებელია, ისაა, როცა წამყვანები შინაგანი კმაყოფილებით აცხადებენ ტრაგიკულ ამბებს. თუ განგებამ დაგვიფარა და ჩვენთან არავინ დაიწვა ან დახერხეს, მაშინ უცხოეთის ხოცვა-ჟლეტასა და კატასტროფებზე ჰყვებიან ხოლმე. მგონი, ადვილი მისახვედრია, რომელ არხსაც ვგულისხმობ.

**2.** რაც მოისპო, იმის ნახვას ვისურვებდი, გოგი ნიჟარაძისა და მანანა პაიჭაძის გადაცემებს კლასიკურ მუსიკაზე, ანზორ ერქომაიშვილის საუბრებს ქართულ ფოლკლორზე, გადაცემებს რელიგიაზე, ლიტერატურაზე და საერთოდ, სულიერებაზე. ამასწინათ, ერთი მეწაღე ვნახე ტელევიზიით, რომელმაც პატიოსნად თქვა: თუკი ვინმე ლტოლვილი მოვა ჩემთან, უფასოდ შევუკეთებ ფეხსაცმელს და თუ მასალაც ექნება, უფასოდ შევუკერავო. მსგავსი ჰუმანური აქტი არც ერთი მინისტრისგან არ მინახავს, თუმცა ვერ დავმალავ და ტელევიზიით ერთი მინისტრისგან "დიდი ჭეშმარიტება" მოვისმინე. როცა ჰკითხეს, დენი იქნება თუ არაო, უპასუხა: ან იქნება, ან არაო. არ მინდა ასეთ "გულახდილ" ხალხთან ყოველდღე შეხვედრა, ისეთი გადაცემები მინდა, იმ მეწაღისნაირი ხალხი რომ აჩვენოს.

**3.** ქართულად რომ არ გამოითქმის, ისეთი სულ რამდენიმე სიტყვა ვიცი. დანარჩენს რატომ ვერ აქართულებენ, არ ვიცი. ტელევიზიებმა ოღონდ უცხო სიტყვების კორიანტელი დააყენონ და ჰგონიათ, რომ ეს ეთვლებათ განათლებულობაში. ჩემი რჩევაა, ნაკლებად იხმარონ ის უცხო სიტყვები, რომლებიც უკეთ ჟღერს და გამოითქმის ქართულად. რაც შეეხება ტელევიზიების ზეგავლენას, ხშირად მომყავს ხოლმე ინგლისის ექსპერიმენტის მაგალითი. ხალხს აჩვენებდნენ ფილმს, სადაც ჩართული იყო ე.წ. 25-ე კადრი, რომელშიც ძროხა ლოკავდა მარილს. იმდენად მოქმედებდა ეს წამიერი კადრი მაყურებლის ცნობიერებაზე, რომ სეანსის შემდეგ ოთხჯერ გაიზარდა მოთხოვნილება გამაგრილებელ სასმელებზე. წარმოიდგინეთ, რა მოუვა თუნდაც მოზარდის ცნობიერებას, როცა ტელევიზიით უყურებს სადიზმს, მულტფილმებით დაწყებული და ათასი ჯურის ტრილერებით დამთავრებული. სხვათაშორის, ამ მდარე პროდუქციას იქ კი არ აჩვენებენ, სადაც ქმნიან. ხელისუფლებამ მიზნად სულიერება უნდა დაისახოს და მერე მიხედოს მელიორაციას, თორემ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რასაც გვაყურებინებენ, გვასმენინებენ და გვაკითხებენ მედიის საშუალებები, შემთხვევითი არ არის, არ შეიძლება ამდენი დამთხვევა. ესაა სრულიად შეგნებული მოქმედება, რომ ერი გადაგვარდეს და გადაშენდეს.

**4.** ამასწინათ, თუ არ ვცდები, "პირველ არხზე" ასეთი განცხადება წავიკითხე : "გვესაჭიროება 22-23 წლის გამოცდილი ჟურნალისტები". ალბათ, ვიღაცის 22 წლის "გამოცდილ" შვილს ან ძმიშვილს იღებდნენ და განცხადებაც სჭირდებოდათ მეტი ობიექტურობისათვის. ასეთი "გამოცდილი" ჟურნალისტები მრავლადაა ჩვენს "ცისფერ ეკრანებზე". ქართული ჟურნალისტიკის დონე დაბალი რომ იყოს, რა უჭირს, მდაბიოსაც აიტანდა კაცი. უმეტესობას ბოროტი უფრო ეთქმის, თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, აქა-იქ კეთილი გამონაკლისებიც არსებობს.

**5.** მაღიზიანებს ყველა ის წამყვანი, ვინც უარყოფით ინფორმაციაზეა მომართული. ერთხელ, ერთ-ერთ ტელევიზიაში მისულა კაცი, რომელმაც ჟურნალისტს უამბო, თუ როგორ გაიღეს თანასოფლელებმა ბოლო კაპიკები, რათა სოფლის ხიდი აეშენებინათ. ჟურნალისტმა დიდი მოთმინებით უსმინა და ბოლოს უთხრა: რა საინტერესო მაგ ხიდის აშენებაა, რომ ჩანგრეულიყო, საინტერესო ის იქნებოდაო. წარმოგიდგენიათ? ერთ, სინამდვილესთან ახლო მდგომ ანეკტოდსაც მოგიყვებით: კომუნისტების დროს სულ სამი არხი არსებობდა და სამივეზე მერამდენილაცა ყრილობა მიჰყავდა "მშვიდობისთვის დაუღალავ მებრძოლს", ე. წ. ბრეჟნევს. უყურებს ერთი კაცი ამდენ სისულელეს, დაიღალა და დაიწყო არხების გადართვა - გადმორთვა, იქნებ ან ერთზე გათავდა ყრილობა, ან მეორეზეო, თქვენც არ მომიკვდეთ. ამ ძებნაში ეკრანზე გამოჩნდა მუშტიანი "კაგებეშნიკი" და ეუბნება: რას ატრიალებ, რომ ატრიალებ, ვერ დაეტევი შენს ადგილას და უყურებ იმას, რაც საჭიროაო? მე მგონი, მეც იმ დაბნეული კაცის მდგომარეობაში ვარ ახლა.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ინტერვიუ B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა




## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ღამის შოუ" და თსუ-ს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გუნდი
დას: 18:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კამერული მუსიკის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პიტერ შაფერი
"ა.ს.ა"
(ანტი-სულიერების-ამფეთქებლები)
რეჟისორი: ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ანტონ ჩეხოვი
"ძია ვანია"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
მიხეილ მარმარინოსი
"ეროვნული ჰიმნი"
(თეატრალური ლაბორატორია "ტერა ინკოგნიტა")
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
რეჟისორი: კახა ბაკურაძე
ფასი: 2-დან 5 ლარამდე
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"მსხვერპლშეწირვა"
რეჟისორი: ანდრეი ტარკოვსკი
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ანაკონდა 2"
დას: 15:30; 17:30 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

**ამირანი**
"წყალქვეშა საძმო"
დას: 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 14:00; 16:00; 18:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ვერნისაჟი**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ბაია გალერეა**
საშობაო გამოფენა
"სათამაშო"
(კერამიკა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"

**ძველი გალერეა**
ავთანდილ გურგენიძის ფოტოგამოფენა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
საშობაო-საახალწლო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"გიორგობისთვე"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# სალონური სითბო

### ანა კალანდაძე: ასაკის ნუ შეგეშინდებათ

ვერა ნეფარიძე

*ზუსტად "იწინასწარმეტყველა" ანა კალანდაძემ - ჩემი ნამდვილი იუბილე 24 დეკემბრის, ოპერაში დაგეგმილი საიუბილეო საღამოს შემდეგ იქნებაო. 10 დეკემბრიდან მოყოლებული (როდესაც კულტურის სამინისტროში პოეტის ლექსებზე კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებების პრემიერა გაიმართა), ვინ იცის, მერამდენედ მოუხდა პოეტს ვიწრო თუ ფართო საზოგადოების წინაშე იუბილარის ამპლუაში ყოფნა. თუმცა, გუშინდელს, ალბათ, მაინც განსხვავებული ხიბლი ჰქონდა.*


იური ლობოდინის ფოტო

გუშინდელი შეხვედრის განსაკუთრებული ხიბლი მის სალონურობაში იყო. "ოფიციალური შორს იყოს ჩვენგან, - თქვა კიდეც მოგვიანებით შეხვედრის წამყვანმა, პოეტმა გივი შაჰნაზარმა, - სალონური სითბო ძალიან ბევრს ნიშნავს. აქ ერთი სიტყვაც კი იმდენად ნიშანდობლივი და ძვირფასია, ეს პატარა სივრცე დიდ დარბაზს უდრის". თუმცა, რა ითქმება დიდ დარბაზში, ამას ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული ღონისძიება აჩვენებს. ჩვენ უკვე ვნახეთ საიუბილეო ღონისძიებების პირველი ოფიციალური ნაწილი - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გამართული. ამჯერად საყვარელი პოეტის საიუბილეო დღეებში მოკრძალებული წვლილის შეტანა კავშირმა "სარდაფმა" სცადა; დათო ჯანელიძისა და მისი მეგობრების ჩანაფიქრის განხორციელება მოიწონა სასტუმრო "მეიდანი პალასმა", კომპანია "ორიფლეიმმა" და ღვინო "თელიანი ველის" მწარმოებლებმა. სწორედ მათი "შეამხანაგების" შედეგად გაიმართა გუშინ "მეიდანში" სალონური ტიპის შეხვედრა პოეტ ანა კალანდაძესთან.

"არც ვიცი, როგორ წარვმართო დღევანდელი დღე, მაგრამ აქ შეკრებილი ადამიანების, ქალბატონ ანას თაყვანისმცემლების იმედი მაქვს, რომ გვერდში ამომიდგებიან", - გივი შაჰნაზარს ეს იმედი გუშინ არც გასცრუებია. შეხვედრაზე სტუმრები ერთმანეთს ცვლიდნენ, ცდილობდნენ (ყველა ერიდებოდა "ზედმეტი კომპლიმენტებისგან პოეტის გადაღლას"), გამოსვლები "პოეტის სტილისთვის" შეესაბამებინათ.

მოწვეული საზოგადოება, როგორც შეხვედრის დასაწყისშივე აღნიშნეს ორგანიზატორებმა, ვიწრო წრიდან შეარჩიეს. ალბათ, ამიტომაც, გამომსვლელთა საუბრები - პოეტთან დაკავშირებული მოგონებები, თუნდაც, სამადლობლები, - მოკლებული იყო რიტორიკას. თუმცა, ყოველთვის მოკრძალებული პოეტი მაინც უხერხულად იჯდა იუბილარისთვის განკუთვნილ სავარძელში ("მაღალთა თავმდაბლობა ახასიათებს ქალბატონ ანას", - აღნიშნეს კიდეც). სიტყვაძუნწი აღმოჩნდა ორგანიზატორიც. "რა სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს ის სიამოვნება, რაც ქალბატონ ანას პოეზიას მოუნიჭებია ჩემთვის ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე", - გვითხრა რეჟისორმა დათო ჯანელიძემ და მიკროფონი კვლავ სტუმრებს დაუთმო. გამომსვლელები საუბრობდნენ ანა კალანდაძის პოეზიაზე, იგონებდნენ ადამიანებს, ვინც მათ პოეტთან აკავშირებდათ; "ამოუწურავია მისთვის ქართული სიტყვის სალარო"; "ერის წარმოდგენაში რომ დაიმკვიდრებ ძალიან ბუნებრივ ადგილს, დიდი პოეტობაა"; "ქართული ენის მსახური"; "როგორ ახერხებს პოეტი წერტილის დასმას. ცალკე საკითხია ანას მოკვეთილი წერტილი. ეს შეიძლება დისერტაციის თემაც იყოს", - ამბობდნენ გამომსვლელები. თავად პოეტი კი, ძირითადად, უსიტყვოდ ისმენდა ამ ყველაფერს და იშვიათად "კორექტივებიც" შეჰქონდა სტუმართა საუბრებში.

იუბილართან შეხვედრის ოფიციალური ნაწილი საჩუქრების გარეშე არ დასრულებულა. ღონისძიების ორგანიზატორებმა სათითაოდ გადასცეს პოეტს სამახსოვრო ნივთები. საგანგებოდ გუშინდელი დღისთვის ჩამოისხა ღვინო "თელიანი ველისგან" ანა კალანდაძის სამარკო ნიშნით (ეს ღვინო გუშინვე დააჭაშნიკეს); მათვე იუბილარს გადასცეს ღვინოები, რომელთაც ეტიკეტზე პოეტის ლექსები ერთვის. დაბოლოს, ამ ყველაფრისთვის პოეტმა არც ლექსები დაიშურა და არც სამადლობელი: "მადლობა ყველას, ვინც მობრძანდით და დრო დაკარგეთ. მალე კალანდა შემოაღებს კარს. ვისურვებდი, ყოველ ახალ წელიწადს წინ მოუძღოდეს ნინოს ნათელი. რაც შეეხება ასაკს... ასაკის ნუ შეგეშინდებათ".

# ვიდრე ბახი საფლავში გადაბრუნებულა

### რიჩი ბაირაქის ვარიაციები კლასიკურ თემებზე

მადი სერებრიაკოვა

კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალის ჯაზის საღამოზე განსაკუთრებულ ხალხმრავლობას ელოდებოდნენ. ჯაზი - ალბათ, ყველაზე დემოკრატიული მუსიკალური ენაა და ამის გამო, ბევრისთვის არის მიმზიდველი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯაზს ამერიკელი მუსიკოსი, ანდა დასავლეთში დამკვიდრებული ჩვენივე თანამემამულე ასრულებს. გუშინდელი ჯაზის საღამო რიჩი ბაირაქსა, ძმებ ჰიუბნერებსა და გერმანიაში მოღვაწე მეტწილად ქართველებით დაკომპლექტებულ ჯგუფ "შინს" დაეთმო.


იური ლობოდინის ფოტო

რიჩი ბაირაქი სულით და ხორცით ჯაზმენია. გუშინწინ მასთან ჩაწერილ ინტერვიუში, იგი ენთუზიაზმით საუბრობდა მუსიკის სპონტანურ ხასიათსა და ჯაზურ მენტალიტეტზე. თუმცა, ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს, რომ მას ჯაზის მეტი არაფერი აინტერესებს. უფრო პირიქითაც, ჯაზს ის არ მიიჩნევს "წმინდა მიმდინარეობად" და საკუთარი შემოქმედების საზრდოს სრულიად განსხვავებულ მუსიკალურ მასალაში ეძებს: ფოლკლორიდან დაწყებული - კლასიკურ მუსიკამდე. რიჩი ბაირაქის გუშინდელი საკონცერტო პროგრამაც დაახლოებით ასე აეწყო. პერგოლეზიდან დაწყებული - ბილ ევანსამდე - ბარიაქმა თავისებური ინტერპრეტაციები შემოგვთავაზა. გზადაგზა კი ეთნომუსიკაც არ დაივიწყა.

ბაირაქი თბილისში მარტო არ ჩამოსულა. იგი კონსერვატორიის სცენაზე ძმებ ჰიუბნერების კამპანიაში წარდგა. მევიოლინე გრეგორ ჰიუბნერი თბილისში ერთხელ უკვე გახლდათ 2001 წლის ჯაზფესტივალზე. სწორედ მისი რეკომენდაციით ჩამოვიდა რიჩი ბაირაქი წლევანდელ ფესტივალზეც. გრეგორ ჰიუბნერი თავის დროზე ბაირაქის მოსწავლე იყო და საფორტეპიანო იმპროვიზაციას ეუფლებოდა. თუმცა, მოგვიანებით, მისივე მასწავლებელმა ჰიუბნერის სავიოლინო იმპროვიზაციები მოისმინა და მისი მომავალიც განსაზღვრა. ბაირაქის მსგავსად, გრეგორ ჰიუბნერიც ცდილობს ჯაზური მუსიკა კლასიკურთან დააკავშიროს. ბაირაქსა და გრეგორ მრაზთან ერთად მას ჩაწერილი აქვს ალბომები სხვადასხვა კომპოზიტორების შემოქმედებაზე დაყრდნობით: Round About Monteverdi, Round About Bartok და Round About Federico Mompou. გუშინდელ კონცერტზე ჰიუბნერმა გარდა ვარიაციებისა სხვადასხვა კომპოზიტორების თემებზე, საკუთარი ნაწარმოებიც შეასრულა. კომპოზიცია მან თავის უმცროს დას მიუძღვნა.

კონტრაბასისტი ფაიტ ჰიუბნერი მუშაობს როგორც ჯაზის, ისევე კლასიკური მუსიკის მიმართულებით, მართავს კონცერტებს შტუდგარდტისა და ანტვერპენის ფილარმონიულ ორკესტრებთან ერთად. ერთნაირი წარმატებით ასრულებს ტანგოსა და კლეზმერის სტილის მუსიკას. ამ უკანასკნელს იგი ჩვეულებრივ ვირტუოზ კლარნეტისტს გიორა ფაიდმანთან დუეტში ასრულებს.

გუშინდელი კონცერტის პროგრამა სპონტანურად დაიგეგმა - ეს ბაირაქის სტილია. სავარაუდოდ, პროგრამის შიგნითაც იყო ცვლილებები. ტრიო პერგოლეზის თემებით დაიწყო, შემდეგ კი ბახის "სიცილიანათი" გაგრძელდა: **"იმედია ბახი საფლავში არ გადატრიალდება"** - აღნიშნა კომპოზიციის შემდეგ ბაირაქმა. განაწყენებული ბახი, ალბათ, მართლაც, არ დარჩებოდა. განსაკუთრებით საინტერესოდ ბარტოკის თემები მეჩვენა. ბაირაქი და მისი პარტნიორები ბარტოკის დიდი სპეციალისტები არიან და იზიარებენ კომპოზიტორის ინტერესებსაც უნგრული ხალხური მუსიკის მიმართულებით.

ამის შემდეგ, ბაირაქი მაილს დევისისა და ბილ ევანსის თემებსაც გადასაწვდა. ამ უკანასკნელს ბაირაქი თავის გმირად თვლის, ხოლო კრიტიკოსები თავად ბაირაქს მიიჩნევენ მის გამგრძელებლად. ტრიოს მიერ წარმოდგენილი მუსიკა მსმენელს, ალბათ, ძლიერ მოეწონა. აქტიური აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ მუსიკალურ ფრაზებსა თუ სოლოებს, არამედ მუსიკოსების რეპლიკებსაც კი. აღსანიშნავია, რომ ბაირაქი მეტად კომუნიკაბელური მუსიკოსი გახლდათ და ყოველ კომპოზიციას საკუთარ კომენტარებსაც დაურთავდა ხოლმე.

ჯაზის საღამოს მეორე ნაწილში გერმანიაში მოღვაწე ჯგუფის "შინ" გამოსვლა იყო დაგეგმილი. "შინ" ჯაზისა და ეთნო-მუსიკის დაკავშირების ძალზედ წარმატებულ ექსპერიმენტად ითვლება. ჯგუფის ლიდერი ზაზა მიმინოშვილი თავდაპირველად ჯგუფ "ადიოსთან" ერთად მოღვაწეობდა. შემდეგ კი ბასისტ ზურაბ გაგნიძესთან ერთად დუეტი "შინ" ჩამოაყალიბა. ამჟამად "შინ" უფრო ფართო შემადგენლობით გამოდის: მიმინოშვილსა და გაგნიძეს შეუერთდნენ მამუკა ("მუკი") ღაღანიძე და რეი კაჩინსკიც.

დღეს კონსერვატორიის საახალწლო მუსიკალურ შეხვედრებს ჩელისტი ჟირი ბარტა და პიანისტი ჰემიშ მილნი გააგრძელებენ ჰუმელის, დვორჟაკისა და მოშელესის ნაწარმოებებით შედგენილი პროგრამით.

# ქართველი და უცხოელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

დღეს თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნება გამოფენა თემაზე: "თბილისი ქართველი და უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში 1850-1940".

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქართველი და უცხოელი მხატვრების - პაულ ფონ ფრანკენის, გრიგოლ გაგარინის, ილია ზანკოვსკის, გიგო გაბაშვილის, ნიკო ფიროსმანის, ოსკარ შმერლინგის, რიჰარდ კარლ ზომერის, მოსე თოიძის, ბორის ფოგელის, მარტიროს სარიანის, ალექსანდრე ციმაკურიძის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, დავით გველესიანის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, კირილე ზდანევიჩის, ფელიქს ვარლამიშვილის და სხვათა ნამუშევრები.

ორგანიზატორების მიზანს წარმოადგენდა თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული იმ ნაწარმოებების ჩვენება, რომელთა დიდი ნაწილი მივიწყებული ან უცნობია საზოგადოებისთვის. 30 მხატვრის - 120 ნაწარმოები განსხვავებულად წარმოგვიდგენს თბილისის ხედებს და მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების თავისებურებებს.

*მედია-ნიუსი*

# კონკურსის გამარჯვებულები

ფონდმა "ჰორიზონტმა" კონკურში გამარჯვებულები დაასახელა. კონკურსი საუკეთესო ესეისტურ ნაწარმოებზე, საერთო სათაურით: "როგორ გვესმის დემოკრატია", ფონდმა 1 ოქტომბერს საქართველოს ყველა თაობის პროფესიონალი და მოყვარული მწერლებისათვის გამოაცხადა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო სამი პრემია: I პრემია - 300 ლარი, II პრემია - 200 ლარი და III პრემია - 100 ლარი. გამარჯვებულები არიან: ლიტერატურათმცოდნე გიორგი კანკავა - I პრემია, ჟურნალისტი დავით ბუხრიკიძე - II პრემია, ჟურნალისტი დავით ქარდავა - III პრემია.

*მედია-ნიუსი*

# როგორ დავწერე "11 წუთი"

*დღეს, 17 საათზე კინოთეატრ "რუსთაველის" ფოიეში გაიმართება პაულო კოელიოს "ალქიმიკოსისა" და "11 წუთის" პრეზენტაცია. ღონისძიებასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ავტორის წერილს თავისი ბოლო მსოფლიო ბესტსელერის შესახებ.*

პაულო კოელიო

სექსზე ყველა წერს. ასე იყო მუდამ, მხატვრული სიტყვის შექმნის დღიდან. ეგვიპტიდან საბერძნეთამდე და საბერძნეთიდან იაპონიამდე. სექსი დღესაც კაცობრიობის მთავარ საქმიანობად რჩება. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ სექსზე ათასობით წიგნია დაწერილი, მის შესახებ ადამიანმა ბევრი მაინც არაფერი იცის. ამიტომაც არ ვიტყუებ თავს და არ მგონია, რომ ან ჩემი "11 წუთი" იტყვის ახალ სიტყვას. რადგან როცა საქმე სექსუალურობაზე მიდგება, ერთადერთი რეალური გამარჯვება მხოლოდ იმ ტყუილზე უარის თქმა იქნება, ადამიანის წარმოსახვაში რომ გაუდგამს ფესვები. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ადამიანი საკუთარ თავში იპოვის ძალას და ეცდება (ოღონდ, შეიძლება არც გამოუვიდეს), გულწრფელად თქვას ის, რასაც გრძნობს.

არადა, ჩვენ, მამაკაცებს არასდროს გვყოფნის გამბედაობა, პირდაპირ ვუთხრათ ქალს: მასწავლე, მიამბე შენი სხეულის შესახებ. არც ქალები გვეუბნებიან ოდესმე: მოდი, შემიცანი მე და ჩემი სხეული.

ამას არავინ აკეთებს და თვითგადარჩენის პრიმიტიულ, ცხოველურ ინსტინქტს აყოლილი კაცობრიობაც თავს ყალბი თავისუფლებით იტყუებს. ეს მოჩვენებითი თავისუფლება კი მას, თითქოს, სექსზე ღიად საუბრის საშუალებას ყოველთვის და ყველგან აძლევს, თუნდაც რომელიმე რესტორანში, ადამიანთა დიდ წრეში. არადა, რა ხდება სინამდვილეში? ზიხარ სუფრასთან, ლაპარაკობ სექსზე, ვითომ თავისუფლად მსჯელობ და ამ დროს აღმოაჩენ, რომ სინამდვილეში როგორც ფიზიკურად, ისე აზრობრივად, ოთხ კედელს შუა ხარ ჩაკეტილი; რომ ყველა შენ გარშემო, შენი ჩათვლით, დამფრთხალი, დაუცველი, ულონო ცხოველია და მეტი არაფერი. ანუ, წუთი, რომელიც ჯადოსნური უნდა ყოფილიყო, საკუთარი დანაშაულის აღიარების წუთად იქცევა, სინდისის ქენჯნის წუთად - როცა თავს ეჭვებს აღრღნევინებ და გგონია, რომ ადამიანების მოლოდინს არ ამართლებ. ამ დროს ისე გიპყრობს ეს უსიამო განცდა, რომ გავიწყდება - ეს ის ერთ-ერთი იმ იშვიათ სიტუაციათაგანია, საიდანაც სიტყვა "მოლოდინი" საერთოდ უნდა ამოიღო.

■ ■ ■

ჩემი ცხოვრების განმავლობაში სექსი ბევრი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი გზებით განმიცდია.

დავიბადე კონსერვატორულ გარემოში, როცა ქალწულობა ნებისმიერი წესიერი გოგონას განმსაზღვრელი ნიშანი იყო. შემდეგ ჩემ თვალწინ მოიკიდეს ფეხი კონტრაცეპტივებმა და ანტიბიოტიკებმა - ერთი ნაბიჯით რომ უსწრებდა წინ გარდაუვალ სექსუალურ რევოლუციას. მერე კი უკვე თავით ფეხებამდე გადავეშვი ჰიპების წრეში და ყველანი ერთად მეორე უკიდურესობაში გადავვარდით - თავისუფალ სიყვარულს გიჟური თავისუფლებით როკ-კონცერტებზეც კი ვეძლეოდით ხოლმე.

ახლა კი იმ ასაკში ვარ, როცა აღარც კონსერვატორი მეთქმის, აღარც რადიკალი ლიბერალი. ალბათ, უფრო ორივე ვარ, ცოტ-ცოტა. ეს ის ასაკია, როცა ახალი სენი გიპყრობს, რომელიც ნებისმიერ ანტიბიოტიკს უძლებს; დრო, როცა არავინ იცის ზუსტად, საით მიექანება.

■ ■ ■

ჩვენ სტანდარტებით სავსე სამყაროში ვცხოვრობთ. გვაქვს სტანდარტები სილამაზის, ხარისხის, ინტელექტის, უნარის. გვჯერა, რომ ამ ქვეყნად ყველაფრის მოდელი არსებობს და თუ ამ მოდელს მხედველობის არედან არ დავკარგავთ, თუ მუდამ მის მიბაძვას ვეცდებით, ყოველგვარი საფრთხისგან დავიცავთ თავს.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, არსებობს სექსუალურობის შაბლონიც, რომელიც სინამდვილეში ტყუილების ერთი გრძელი ჯაჭვისგან შედგება და ეგაა: ვაგინალური ორგაზმი; სექსუალური მოწიფულობა; თავის მოჩვენება ჯობია, მისი იმედის გაცრუებას და ა.შ. საკითხისადმი ასეთი მიდგომის პირდაპირი შედეგია ის, რომ ათასობით ადამიანი თავს დღეს სასოწარკვეთილად, დამნაშავედ, უბედურად გრძნობს.

■ ■ ■

მწერლის მოწოდების ნაწილია, შემოქმედებითი მუხტი საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებებში ეძიოს. ჩემთვისაც სექსუალურობის შესახებ წიგნის დაწერა შინაგანი პრიორიტეტი იყო.

თავიდან ვიფიქრე, რომ რომანში ორ ადამიანს შორის იდეალურ ურთიერთობას აღვწერდი. ათასგვარი მიდგომა ვცადე, წერა როგორ არ დავიწყე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მერე შემთხვევით გადავეყარე ერთ მეძავს, რომლის გამოჩენამაც მიმახვედრა, თუ რატომ ვერ ვიწყებდი წერას: იმისთვის რომ მომეთხრო სრულყოფილ სექსზე, უნდა დამეწყო თავიდან - ანუ, შიშით, რომ ყველაფერი ცუდად აეწყობა.

■ ■ ■

"11 წუთი" არ არის არც სახელმძღვანელო და არც ტრაქტატი სექსუალურ ურთიერთობებში დაბნეული ქალისა და მამაკაცისთვის. ეს ჩემი, საკუთარი ტრაექტორიის ანალიზი უფროა, თუმცა, არა პირადად ჩემს გამოცდილებებზე აგებული. მეც დიდი დრო დამჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ორი, ერთმანეთისკენ მიზიდული სხეული უფრო მეტია, ვიდრე ხორციელებაში აღძრულ ვნებაზე გამოხმაურება. ეს უფრო მეტია, ვიდრე გამრავლების, სიცოცხლის გაგრძელების ცხოველური ინსტინქტის გამოვლინება. სინამდვილეში ეს აქტი ხომ თავის თავში მოიცავს მთელი კაცობრიობის კულტურულ მეხსიერებას.

არადა, ამის გაცნობიერება ყველას გვიჭირს. მეტიც, ადამიანი ფიქრობს, რომ სექსი ცხოვრების ის სფეროა, სადაც ტყუილი მიღებულია. და ადამიანიც ცრუობს იმიტომ, რომ პარტნიორს ასიამოვნოს და ამ დროს ვერც ხვდება, რომ ეს ტყუილი კიბოსავით მოედება ხოლმე და ასნეულებს ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა მნიშვნელოვან ასპექტს.

ადამიანს ავიწყდება, რომ სექსი იმ სულიერი ენერგიის განსხეულებული მანიფესტაციაა, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

■ ■ ■

თუმცა, მაინც ვერავის გავამტყუნებთ, რადგან მართლაც ძალიან ძნელია, ეს აზრი სექსის შესახებ რეალობად გარდაქმნა.

ერთი კია, უნდა ვეცადოთ მაინც.

პირველი, რაც უნდა გავიაზროთ არის ის, რომ სექსუალური აქტის დროს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მდგომარეობა "მუშაობს" მხარდამხარ: მოშვება, რელაქსაცია და დაძაბულობა.

■ ■ ■

როგორ უნდა შეუთანხმო ერთმანეთს ეს ორი მდგომარეობა? ძალიან მარტივად - აიძულე თავი, აღარ გეშინოდეს შეცდომის დაშვების. თუ სიამოვნების ძიებას მთელი არსებით, გულწრფელად შეუდგები, თანდათან იგრძნობ, როგორ მშვილდისარივით გეჭიმება სხეული და პარალელურად - როგორ ნებდება გრძნობას გონება, როგორ ეშვება ის - გაფრენის მოლოდინში დამუხტული ისრის მსგავსად.

ამ წუთებში ტვინი უკვე ვეღარ აკონტროლებს პროცესს, ძალაუფლებას ხელში გული იგდებს. გული, რომელიც ხუთივე ადამიანურ გრძნობას იყენებს იმისთვის, რომ საყვარელ ადამიანს წინ წიგნივით გადაეშალოს: შეხებასაც, სუნსაც, მზერასაც, სმენასაც და გემოსაც. ანუ, მოქმედებაშია ჩართული ხუთივე გრძნობა, ისე, თითქოს, ადამიანი რელიგიურ ექსტაზს განიცდიდეს. არადა, ზოგი სექსის დროს მხოლოდ შეხებასა და მზერას იყენებს, რითაც ამცირებს მდგომარეობის სრულყოფილებას.

■ ■ ■

თუ შენ ბოლომდე დაიხარჯები, ბოლომდე გასცემ, გაარღვევ კიდეც ნებისმიერ მენტალურ ბარიერს, რომელიც შენს პარტნიორს თავის დასაცავად შეიძლება ჰქონდეს აღმართული და რომელიც მანამდე შეიძლება, დაუძლეველი გეჩვენოს. ასეთ ზებუნებრივ ძალაუფლებას კი თვითონ გაცემის პროცესი მოგანიჭებს, რადგან სხვისთვის დახარჯვა ნიშნავს ერთადერთს: "მე შენ გენდობი".

ამ მომენტში თამაშში ერთვება ნამდვილი სექსუალური ენერგია, რომელიც უკვე სცდება თავის საზღვრებს - ეროგენულ ზონებს და ვირუსივით ედება მთელ სხეულს, მუხტავს თმის თითოეულ ღერს, კანის თითოეულ ფორს. ტანის ყოველი მილიმეტრი აფრქვევს რაღაც სხვანაირ ნათელს, რომელსაც მაშინვე სცნობს და მაშინვე შეიწოვს პარტნიორის სხეული.

როცა ეს ხდება, ჩვენ თითქოს გადავდივართ სხვა დროში და თითქოს ვასრულებთ ანტიკურ რიტუალს, რომელიც გარდაქმნის, გათავისუფლების შანსს გვაძლევს. ნებისმიერი სახის რიტუალი ხომ მონაწილესგან იმ დონის მზაობას მოითხოვს, რომ მან სამყაროს სხვა თვალით აღქმა შეძლოს. მეტიც, რიტუალს დიდ მნიშვნელობას სწორედ ადამიანის ეს სურვილი ანიჭებს.

■ ■ ■

ჩვენი მსჯელობა შეიძლება გაზვიადებულად, ზედმეტად სერიოზულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ის თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, როგორც დღეს სექსის მნიშვნელობას ამდაბლებენ ხოლმე. თანამედროვე ადამიანებისთვის ხომ სექსი მექანიკურ აქტად არის ქცეული, რომელიც თვითონ აქტის დროს იწვევს დაძაბულობას და დამთავრების შემდეგ სიცარიელის უაზრო განცდას ტოვებს. არადა, კარგია, თუ გავაცნობიერებთ, რომ როცა ერთმანეთს ორი სხეული ხვდება, ისინი ერთად მიემართებიან უცნობი, იდუმალი მხარეებისკენ. და ამ პროცესის გაბანალურება მოგზაურობას მთელ ხიბლსა და გრძნობას უკარგავს.

■ ■ ■

ბევრი ვიფიქრეთ, თუ ცოტა, ბოლოს მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ყველაფერს წიგნიდან ვერავინ ისწავლის. წიგნს ამ შემთხვევაში მხოლოდ გამზიარებელის როლი ენიჭება - ის გამტარია ავტორის გამოცდილებებისა და შეხედულებების.

სექსი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს გამბედაობას, რათა გაბედო და ბოლომდე გამოსცადო, ბოლომდე რეალობად აქციო საკუთარი შეხედულებები, საკუთარი მე; სრულად გამოხატო გაცემის, დახარჯვის სურვილი და მზაობა.

აი, სწორედ ამიტომ დავწერე "11 წუთი" - რათა გამეგო, ცხოვრების ამ ეტაპზე, 55 წლის ასაკში, მყოფნიდა თუ არა გამბედაობა იმისთვის, რომ შემემეცნებინა ყველაფერი სექსის შესახებ, რისი შემეცნებაც ცხოვრებამ ჩემთვის მოინდომა.

*2003 წლის ივლისი.*








პაულო კოელიოს სვეტი

# ახალი ტიპის ადამიანები



ფონდ "შვაბის" დირექტორმა პამელა ჰარტიგანმა ჩამოაყალიბა იმ ათი თვისების ნუსხა, რომელიც გაბედულ ადამიანებს ახასიათებს. ადამიანებს, რომელთაც არ მოსწონთ სამყარო მათ გარშემო და მის შესაცვლელად ძალებს არ იშურებენ; ცდილობენ არსებულისგან სრულიად გამორჩეული, ახალი რეალობა შექმნან. თუმცა, ვფიქრობ, პამელას სიაში თავმოყრილი თვისებები ცდება მხოლოდ სოციალური საქმიანობის (როგორც ახლა ამბობენ ხოლმე) ჩარჩოებს და მათი მორგება ჩვენს ნებისმიერ ყოველდღიურ მოქმედებაზე შეიძლება.

**მოუთმენლობა:** ადამიანი, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, მოვლენებს მუდამ ასწრებს. მისთვის გუშინდელი პრობლემა დღევანდელი შესაძლებლობის საწყისია. ამ მოუთმენელი ხასიათის გამო ადამიანს მიმართულების შეცვლა ხშირად უწევს, მაგრამ უწყვეტი ქმედების, გამუდმებული ცვლილების პროცესში ის იზრდება და იწრთობა კიდეც.

**გაცნობიერება:** ადამიანმა, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, კარგად უწყის, რომ მარტო არ არის, რომ მის თითოეულ ჟესტსაც კი რაღაც შედეგი მოჰყვება; რომ მცდელობა ყოველთვის გამოიღებს ხოლმე ნაყოფს და რომ ამ პროცესში გარემო იცვლება. ამ შინაგანი ძალის გაცნობიერება საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი საზოგადოებისთვის საჭირო, აქტიურ ელემენტად იქცეს.

**სიახლე:** ადამიანს, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, სჯერა, რომ ყველაფრის შეცვლა შეიძლება, მაგრამ ამისთვის ჯერ ისეთი გზის პოვნა და გაკვალვაა საჭირო, რომელზეც მანამდე არავის უვლია. ფესვგადგმული ბიუროკრატიისა და გარშემომყოფების შეხედულებების მიუხედავად, სიახლეზე ორიენტირებული ადამიანი მაინც მუდამ ახერხებს საწადელის მიღწევას. საფრთხით სავსე უღრან ტყეშიც კი, ის ხედავს ბილიკს - ალტერნატიულ გზას.

**პრაგმატიზმი:** ადამიანი, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, ამოქმედებისთვის იდეალური დროის დადგომას არ უცდის. ის ოცნების გააზრებისთანავე იკაპიწებს ხელებს და იწყებს ქმედებას. თითოეული, თუნდაც კუს ნაბიჯით მიღწეული წინსვლა მას კიდევ უფრო დიდი თვითრწმენით ავსებს და ისიც მეტი სიჯიუტით აგრძელებს სირთულეებთან ბრძოლას. მერე კი, როცა ასეთ თვითდაჯერებულსა და გაბედულს სხვებიც ხედავენ, ამ ადამიანისადმი ნდობით ივსებიან. და ამიტომ ასეთი ადამიანის წინაშე მიზნის განხორციელებისთვის საჭირო რესურსიც ყოველთვის, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებშიც კი ჩნდება ხოლმე.

**სწავლა:** ადამიანი, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, როგორც წესი, ერთი კონკრეტული სფეროთია დაინტერესებული და ამ სფეროს დეტალური ცოდნა მას ყოველთვის აპოვნინებს ხოლმე ძველი პრობლემების ახლებურად გადაჭრის გზას. თუმცა, ეს ცოდნა მხოლოდ პრაქტიკით და მუდმივი სწავლით მიიღწევა.

**ცდუნება:** ამ სამყაროში მარტო ვერავინ ძლებს, და ადამიანმაც, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, ეს კარგად იცის. ამიტომ ის ყოველთვის ცდილობს თავის წამოწყებაში სხვებიც ჩართოს. გარშემომყოფების დაინტერესებასაც ხშირად ახერხებს. ეს იმიტომ, რომ ყველა რწმუნდება: მათ წინაშე დგას გაბედული ადამიანი, და რომ მათ საქმე აქვთ შემოქმედებითობითა და სოციალური პასუხისმგებლობით სავსე წამოწყებასთან, რომელიც ფინანსურადაც მომგებიანი შეიძლება გამოდგეს.

**მოქნილობა:** ადამიანს, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, კარგად აქვს გააზრებული საკუთარი მიზანი და გზებიც იცის მის განსახორციელებლად. თუმცა, უკვე გზაზე შემდგარი, იმასაც გრძნობს, რომ ხანდახან საჭიროა, გამეფებულ რეალობასაც გაუწიოს ანგარიში. ამის ცოდნა მასში სოციალურ პასუხისმგებლობას ბადებს. მაგალითი: რომელიღაც კონკრეტულ ქალაქში ახალშობილთა სიკვდილიანობის შესამცირებლად არ კმარა ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მიზნის მისაღწევად საჭიროა სანიტარიული და კვების საკითხების მოგვარებაც.

**სიჯიუტე:** ადამიანი, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, მიმართულებას ხშირად იცვლის, რადგან ის შინაგანად ლაღი და თავისუფალია, მაგრამ ამ პროცესში მხედველობის არედან არასდროს კარგავს მიზანს.

მხოლოდ იმიტომ, რომ ოცნებისკენ სიარულის დროს ის ათას სხვადასხვა იდეას და საშუალებას იყენებს, ათას უცნობ მხარეში გადაისვრის ხოლმე ბედი, ის არასდროს ამბობს: "მე ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა". პირიქით, ის ყოველთვის ეძებს შესაძლო ალტერნატივებს და სწორედ ამიტომ აღწევს საბოლოოდ მიზანს.

**სიხარული:** ადამიანს, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, რთული პერიოდების გადალახვა უხდება, მაგრამ ქმედების პროცესი მაინც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. შეცდომებისა და სიძნელეების გამო ის ფარხმალს არ ყრის, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება. ეს იმიტომ, რომ მას იუმორი აქვს და შეუძლია, გაიღიმოს მაშინ, როცა უჭირს. ამ დროს მას არც იმის რწმენა ტოვებს, რომ შეცდომის გამოსწორებას მალე მოახერხებს.

**ვირუსი:** ადამიანს, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, სხვების დარწმუნების უნარიც შესწევს. მისი იდეები ვირუსივით გადაედება ხოლმე სხვებს. ამიტომაც ის მარტო თავს არასდროს გრძნობს, თუმცა, ხანდახან ისიც იცის, რომ მას სხვანაირად უგებენ.

პამელა ჰარტიგანი თავის კვლევას ბრაზილიელის ფაბიო როზას მაგალითით ასრულებს. როცა ფაბიო მიხვდა, თუ რამდენ ფულს ხარჯავდნენ ადამიანები საწვავზე, მან გადაწყვიტა, შეექმნა სისტემა, რომელიც მხოლოდ მზის ენერგიას გამოიყენებდა. ფაბიოს შრომას - რომელიც პამელას მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ათივე თვისებით იყო ნაკარნახევი და განხორციელებული, დღეს მთელი მსოფლიო იცნობს და აფასებს. მისი იდეა უკვე აიტაცა რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ და მალე ის მილიონობით ადამიანს მოუტანს მოგებას და თან გარემოს დაცვის მხრივაც სასარგებლო იქნება.

***პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

მოკლედ

### კალაძე სამი კვირით დაისვენებს



საქართველოს ნაკრებისა და იტალიის "მილანის" მცველმა კახა კალაძემ ტურინის "იუვენტუსთან" შეხვედრაში მუხლი დაიზიანა და ამის გამო სამი კვირით დასვენება მოუწევს.

კალაძემ იმ მატჩში მინდორზე მხოლოდ 62 წუთი გაატარა, შემდეგ კი გაემგზავრა ანტვერპენში, სადაც ცნობილ ბელგიელ სპეციალისტ მარკ მარტენსთან იმკურნალებს. ექიმმა კალაძის ფეხში მყესების დაზიანება ვერ ნახა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კახა კალაძის სარეაბილიტაციო პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდება.

საქართველოს ნაკრების 26 წლის მცველი, სავარაუდოდ, გამოტოვებს იტალიის ჩემპიონატის მატჩებს "ლეჩესა" და "პალერმოს" წინააღმდეგ. თუმცა, 15 იანვრამდე მწყობრში უნდა ჩადგეს, როცა "მილანს" პრინციპული და მნიშვნელოვანი შეხვედრა ექნება "უდინეზესთან". რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მერვედფინალურ მატჩებს, აქ "მილანი" "მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება. პირველი შეხვედრა თებერვალში "ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება და, სავარაუდოდ, კახა კალაძემ ამ მატჩისთვის სპორტული ფორმა უნდა აღიდგინოს.

### რიდერი გახარებულია

ამსტერდამის "აიაქსის" ახალგაზრდა ფორვარდმა დანიელ დე რიდერმა კლუბთან კონტრაქტი 2007 წლამდე გააგრძელა. 20 წლის სპორტსმენმა გაიარა გზა "აიაქსის" იუნიორთა სკოლიდან გუნდის ძირითად შემადგენლობამდე. მისი დებიუტი კი 2004 წლის 21 იანვარს შედგა, როცა ამსტერდამის "აიაქსი" "როდას" ხვდებოდა. მაისში კი ფეხბურთელმა პირველი გოლი გაიტანა და "ვილემის" კარი დალაშქრა.

დე რიდერის მოქმედ კონტრაქტს 2005 წელს გაუვიდოდა ყავლი. "უაღრესად სასიამოვნოა, რომ "აიაქსის" ხელმძღვანელობა მენდობა, - განაცხადა ფეხბურთელმა, - მე ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებას მიაღწიოს. ასევე მოიგოს ჰოლანდიის თასი და უეფას თასი".

### გერმანიაში ბუკმეკერები მომრავლდნენ

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატმა, რომელიც 2006 წელს გერმანიაში გაიმართება, უკვე დაიპყრო გერმანელ ბუკმეკერთა ჭკუა და გულები. ისინი თავიანთ კანტორებს იმ მოლოდინით ხსნიან, რომ ტოტალიზატორების ბუმის იმედი აქვთ.

"ბუკმეკერული ფირმები სოკოებივით ვრცელდება", - განაცხადა ჰასან კანატმა, რომელიც თავად ოთხი კანტორის მფლობელია. ორი წლის წინათ, როცა ის კანტორებს ხსნიდა, მას კონკურენტი არ ჰყავდა. ახლა კი რვა კონკურენტი ჰყავს.

ჰესენის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბუკმეკერული კანტორების რიცხვი ორჯერ გაიზარდა და ამჟამად მათი რაოდენობა 170-ს აღწევს. გერმანელმა ბუკმეკერებმა გამოიყენეს ცვლილება კანონმდებლობაში. ადრე კანტორების გახსნა კანონის დარღვევად მიიჩნეოდა, რადგან სპორტული ტოტალიზატორები მხოლოდ სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა. ახლა კი სიტუაცია შეიცვალა და ამით ბუკმეკერებმა ისარგებლეს.

### "სპორტინგი" არ მოიწყენს

ორმა პორტუგალიურმა გუნდმა, რომლებმაც უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში გააღწიეს, რამდენიმე სატრანსფერო აქტი განახორციელეს. "სპორტინგმა" თავისი ნახევარმცველი ტინგა ბრაზილიის "ინტერნასიონალს" დაუთმო. ზოგიერთი ინფორმაციით, ტინგამ თავის ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის სანაცვლოდ "ლომებმა" მიიღეს უფლების ერთი ნაწილი "ინტერნასიონალის" სამ ფეხბურთელზე: კლეიტონზე, შავიერსა და ლაბარტეზე.

რაც შეეხება ლისაბონის მეორე კლუბს, "ბენფიკა" აპირებს, კონტრაქტი გააფორმოს სამ ფეხბურთელთან - 19 წლის ნახევარმცველებთან ჟოაუ ვილელასა და ელიუ როკესთან, აგრეთვე 18 წლის მცველ ტიაგუ გომეშთან. ტრიო გუნდთან ერთად უკვე ვარჯიშობს და პორტუგალიის თასზე "ოლივეირენსეს" განადგურებაშიც (4:1) მიიღო მონაწილეობა.

### იყოს დაფი

ფრანგული "სოშოს" სენეგალელმა მცველმა ომარ დაფმა კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა. "მე აქ ყველაფერი წესრიგში მაქვს და კარგად ვითარდება, - სიხარულით განაცხადა დაფმა, - შევეცდები, ასევე გავაგრძელო". აღსანიშნავია, რომ "სოშოს" შემადგენლობაში გამართული მატჩების რაოდენობით სენეგალის ნაკრების 28 წლის ფეხბურთელი მხოლოდ გუნდის კაპიტან მიქაელ ისაბეუს ჩამორჩება. დაფი ფრანგული კლუბის შემადგენლობაში 1997 წლიდან თამაშობს.

ამასობაში "სოშოს" გენერალურმა დირექტორმა ბერნარ ჟენგინიმ განაცხადა: "ეს ჩვენი წამყვანი ფეხბურთელია. ომარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მინდორზე, ისე მის გარეთაც". ახალი კონტრაქტი დაფს (რომელსაც ამ სეზონში ტრავმები არ ასვენებს) აუცილებლად ოპტიმიზმს შემატებს. თუმცა, ამას სენეგალელისა და მისი კლუბისთვის ხელი არ შეუშლია, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში გასულიყო.

### 14 მილიონი ჩხუბისთვის

ცნობილმა ამერიკელმა პრომოუტერმა მურად მოჰამედმა პირველ ქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონ კონსტანტინ ცზიუს 14 მილიონი ამერიკული დოლარი შესთავაზა ცზიუს მომავალი ოთხი ბრძოლის უფლებისთვის.

ავსტრალიური გაზეთის "დეილი ტელეგრაფის" ცნობით, მოჰამედის გეგმის მიხედვით ამ ოთხიდან პირველი ბრძოლა აუცილებელი იქნება IBF-ის ვერსიის პრეტენდენტ რიკი ჰატონთან. პრომოუტერი ვარაუდობს, რომ ამ ბრძოლას სიდნეის საფეხბურთო მინდორზე გამართავს.

მურად მოჰამედმა პირობა დადო, რომ კონსტანტინ ცზიუს გაუხერხებს ოსკარ დე ლა ჰოიასთან შეხვედრას, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ის თავის სურვილს რეალობად აქცევს და ქვესაშუალო წონით კატეგორიაში გადავა.

"მე კონსტანტინ ცზიუს, მის მენეჯერსა და პრომოუტერს იმაზე უფრო ცნობილსა და მდიდარს გავხდი, ვიდრე იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, სხვა ნებისმიერ პრომოუტერთან რომ ეთანამშრომლათ, - პირობას დებს მოჰამედი, რომელმაც თავისი მოღვაწეობის ბოლო 40 წლის განმავლობაში 35 მსოფლიო ჩემპიონთან თანამშრომლობა მოასწრო. - კოსტია უაღრესად საინტერესო მოკრივეა და საყურებლადაც თვალსასეირო, მაგრამ მაყურებელი მას კარგად არ იცნობს. ის ამერიკაში ჩამოდის, ბრძოლას იგებს და ისევ უკან ბრუნდება. ყოველთვის, როცა ის ამერიკაში ჩხუბობს, ასრულებს ჩამოსული ოპონენტის ფუნქციას. დიდ ჩემპიონს არ უნდა აწუხებდეს იმის საჭიროება, რომ "სხვის მოედანზე" იჩხუბოს".

ფეხბურთი

# როგორ ბრძანდებით, ჰერ ჰიტცფელდ?

## "ბაიერნის" ყოფილი მწვრთნელი უსაქმურობით მოხიბლულია

*თითქმის ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ოტმარ ჰიტცფელდი მიუნხენის "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს. მას შემდეგ ის უსაქმოდაა. თუმცა, ჰიტცფელდის ასეთი ყოფა როდი ნიშნავს იმას, რომ მისი სამსახურით აღარავინაა დაინტერესებული. თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ მწვრთნელს გერმანიის ნაკრების სათავეშიც ეპატიჟებოდნენ და მადრიდის "რეალის" მწვრთნელის სკამსაც სთავაზობდნენ. მაგრამ ჰიტცფელდი ჯერჯერობით ყველას უარით ისტუმრებს და ივლისამდე უსაქმოდ ყოფნას ამჯობინებს.*

**- ჰერ ჰიტცფელდ, როგორ ბრძანდებით?**

- ძალიან კარგად. ბევრს ვმოგზაურობ, არავითარი პრობლემა არ მაქვს. ჩვეულებრივ, ჩემს ადგილზე მყოფ ადამიანს ორი თვის შემდეგ ისეთი გრძნობა დაეუფლებოდა, თითქოს თავზე ჭერი ენგრევაო. მაგრამ მე მსგავსი არაფერი დამმართნია.

**- როდის გიხილავთ კვლავ მწვრთნელის ამპლუაში?**

- 2005 წლის 1 ივლისამდე არაფერს გავაკეთებ. სწორედ ამიტომ ყველა წინადადებაზე უარი ვთქვი. თვით მადრიდის "რეალიც" კი უარით გავისტუმრე. ახალ სამუშაოზე ფიქრს აპრილიდან დავიწყებ.

**- მაგრამ გასული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციასთან აწარმოებდით მოლაპარაკებებს...**

- გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა განსაკუთრებული რამაა, დიდი პატივი. გულის სიღრმეში გამუდმებით ვფიქრობდი ამ თანამდებობაზე. როდესაც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებში მუშაობა შემომთავაზა, ოთხი თუ ხუთი ღამე არ მეძინა. მაგრამ მათი წინადადება უდროო დროს მივიღე. მე დასვენება მჭირდებოდა. არ ვნანობ, რომ ამ წინადადებაზე უარი ვთქვი.

**- გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა კვლავაც აქტუალური თემაა თქვენთვის?**

- მე წინ ვიხედები. ამიტომ ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას არ ვჩქარობ. ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია.

**- როგორ შეაფასებდით ნაკრებში იურგენ კლინსმანის მოღვაწეობას?**

- ის შესანიშნავი კანდიდატურაა ამ პოსტისთვის. კარგად დასვენებული, ჯან-ღონით აღსავსე მწვრთნელია და გუნდს ხალისი შემატა. მისი აღმაფრენა ყველას გადაედო.

**- გაკვირვებთ თუ არა ის ფაქტი, რომ ბალაკი უკეთესად ვითარდება?**

- არა, არ მიკვირს. რაც უფრო დიდხანს არის ფეხბურთელი "ბაიერნში", მით უფრო მეტად იძენს ის გამარჯვებულის მენტალიტეტს, უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. თავის დროზე ფენბეერგსაც დასჭირდა დრო, რათა გუნდის ლიდერი გამხდარიყო. იმ ფაქტმა, რომ ბალაკი ნაკრების კაპიტანი გახდა, მასზე კარგად იმოქმედა. ის საერთაშორისო დონის ფეხბურთელია. ამიტომაც იყო, რომ მისი გადაბირებით "ბარსელონა" დაინტერესდა. სარფიან წინადადებებს ბალაკი მომავალშიც მიიღებს. "ბაიერნს" მხოლოდ იმას ვურჩევდი, რომ ბალაკთან კონტრაქტი დროულად გააგრძელოს.

**- ბუნდესლიგაზეც გკითხავთ. "შალკესთან" დუელს "ბაიერნი" მოიგებს?**

- ფელიქს მაგატის გუნდი ბუნდესლიგის ლიდერია. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, პირველი ადგილი ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უდიდესი უპირატესობაა. მეორე ადგილზე მყოფი გუნდი კი საკუთარ თავზე ბრაზდება, ნერვიულობას იწყებს. "შალკემ" უკანასკნელი მატჩის ბოლო ხუთ წუთში დაუთმო "ბაიერნს" შემოდგომის ჩემპიონობა. ზამთრის შესვენებისას "შალკეში" ბევრჯერ გაიხსენებენ ამ უიღბლობას, თუმცა, კონკრეტულ პასუხს ვერ მიიღებენ. შესაძლოა, ეს გარემოება საბედისწერო აღმოჩნდეს "შალკესთვის" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.



*2005 წლის პირველ ივლისამდე არაფერს გავაკეთებ.*

# ყვითელი ბარათი ესპანეთს

## რასიზმი მხოლოდ ესპანური ფეხბურთის პრობლემა არ ყოფილა

ნინო ტიკარაძე

*ფიფას დისციპლინარულმა კომიტეტმა ესპანური ფეხბურთის ასოციაცია გულშემატკივრების საქციელის გამო დასაჯა და 100 ათასი შვეიცარიული ფრანკის (65 ათასი ევრო) გადახდა დააკისრა. საქმე ეხება 16-17 ნოემბერს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ინგლის-ესპანეთის ახალგაზრდული და ასევე ეროვნული ნაკრებების შეხვედრის დროს სტუმართა შავკანიანი ფეხბურთელების მისამართით ესპანელი გულშემატკივრების ტრიბუნებიდან წამოსროლილ რასისტულ ფრაზებს.*

17 ნოემბერის მატჩის დროს ესპანელი გულშემტკივრების აგრესიის ძირითადი ობიექტები ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი შონ რაით-ფილიფსი და მცველი ეშლი კოული იყვნენ. მათი მიახლოება ბურთთან "შავი მაიმუნის" შეძახილითა და მაიმუნის ხმით კივილითვე მთავრდებოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა რიჩარდ კარბონმა პროტესტი გამოხატა თავის ესპანელ კოლეგასთან ესპანელების მიერ შავკანიანი ინგლისელი ფეხბურთელების შეურაცხყოფის გამო. კარბონმა იმედი გამოთქვა, რომ ფიფა და უეფა ხულიგნების მიმართ ადეკვატურ ზომებს მიიღებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ფიფამაც დაასრულა ამ საქმის მოკვლევა და დამნაშავეც დასაჯა, ოღონ არა თავად შეურაცხმყოფელი გულშემატკივრები, არამედ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაცია. ფიფას წარმომადგენლის თქმით, თუ გულშემატკივრების მხრიდან კვლავაც იგივე გამეორდება, მაშინ სასჯელი მხოლოდ ჯარიმა არ იქნება. გუნდს ან გულშემატკივრების გარეშე მოუწევს შემდგომი მატჩების ჩატარება, ან ფიფას ტურნირებს საერთოდ გამოეთიშება.

ბრიტანეთის ანტირასისტული კამპანიის "მოდი, გავაძევოთ რასიზმი ფეხბურთიდან" წევრები უკმაყოფილონი არიან ფიფას გადაწყვეტილებით და მიაჩნიათ, რომ სასჯელის ეს ზომა ამგვარი შეუარცხყოფისთვის საკმაოდ მსუბუქია. "ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ესპანელების სასჯელი დახურულ კარს მიღმა თამაში იქნებოდა და არა უბრალოდ ჯარიმის გადახდა. ეს გადაწყვეტილება იმაზე მიგვითითებს, რომ ფიფა ბოლომდე მაინც ვერ აცნობიერებს პრობლემის არსს და მისგან გამოწვეულ საფთხეს," - განაცხადა კამპანიის დირექტორმა.

ასეთი მსუბუქი სასჯელის გამო ვერც ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გორდონ ტეილორმა დამალა აღშფოთება. "ესპანური ფეხბურთისთვის წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინათ და არა ყვითელი," - განაცხადა მან.

მართალია, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფიფას გადაწყვეტილება ისე მკაცრად არ შეაფასა, როგორც ეს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ და ანტირასისტულმა კამპანიამ გააკეთა, თუმცა, იმედგაცრუება მაინც ვერ დამალა. "ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ვალდებულია, მიიღოს ფიფას გადაწყვეტილება და მის გასაჩივრებას არც აპირებს, მაგრამ იგი რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მაინც არ წყვეტს," - ვკითხულობთ ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

სხვათა შორის, ეს პრობლემა არც თავად ინგლისისთვისაა უცხო. რამდენიმე ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ ინგლისის გუნდის "ბლექბერნის" სამ გულშემატკივარს ფეხბურთის თამაშებზე დასწრების უფლება ხუთი წლით აუკრძალეს. ისინი დამნაშავედ ცნეს "ბირმინგემის" ფორვარდის დუაიტ იორკის მისამართით წარმოთქმული რასისტული გამონათქვამების გამო. გულშემატკივრებმა ფეხბურთელს 21 ნოემბერს ჩატარებული მატჩის დროს მიაყენეს შეარაცხყოფა. დასჯილი გულშემატკივრები სასჯელის ვადის დასრულებადე ინგლისსა და უელსში ჩატარებულ ვერც ერთ მატჩს ვერ დაესწრებიან.

რასიზმი არ გახლავთ მხოლოდ ესპანური და ინგლისური ფეხბურთის პრობლემა. შოტლანდიური ფეხბურთიც ამ ქვეყნების რიგში მოიაზრება. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ საფეხბურთო კლუბ "სელტიკს" მოუწოდა, საჩივარი შეეტანა "გლაზგო რეინჯერსის" გულშემატკივრების წინააღმდეგ. ამ გუნდებს შორის მატჩის დროს მათ "სელტიკის" ფეხბურთელი ნილ ლენონი რასისტული გამონათქვამებით "შემკეს".

რასიზმის თემა განხილვის საგანი იყო ნორვეგიაშიც. ნორვეგიული კლუბის "სონდალის" ფეხბურთელი რობი რასელი "ბრანის" გულშემატკივრების შეურაცხყოფას ვერ გადაურჩა. "კანის ფერის გამო შეურაცხყოფა არაერთხელ მოუყენებიათ ჩემთვის, მაგრამ ის, რაც ამ თამაშზე მოხდა, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. სამი-ოთხი გულშემატკივარი მაისურაზე მექაჩებოდა. ერთმა ქალმა სახეში შემაფურთხა, მთელი თამაშის მანძილზე გულშემატკივრები შეურაცხმყოფას მაყენებდნენ," - განაცხადა ფეხბურთელმა.

და მაინც, რატომ უნდა გაგვიკვირდეს გულშემატკივრების ასეთი საქციელი მაშინ, როცა თავად მწვრთნელებიც კი არაფერს ერიდებიან. მოგეხსენებათ, ესპანეთის ფედერაცია იძიებს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლუის არაგონესის საქმეს, რომელიც "არსენალის" შავკანიანი ფეხბურთელის ტიერი ანრის შეურაცხყოფას უკავშირდება. "შენ შავკანიან ანრიზე უკეთესი ხარ," - ეს სიტყვები, რომელიც 66 წლის მწვრთნელმა ტიერი ანრის არსენალელ თანაგუნდელს ხოსე ანტონიო რეიესს ვარჯიშზე უთხრა, ტელეკამერებმა დააფიქსირა. ფრაზა ეთერში დაატრიალეს. სხვათა შორის, არაგონესისთვის ფეხბურთელების კანის ფერის შეურაცხყოფა ჩვეულებრივი ამბავია. თავის დროზე მან ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა ბრაზილიელ რომარიოსა და კამერუნელ სამუელ ეტოოს. მწვრთნელსაც მალე გამოუტანენ განაჩენს.



*ფიფამ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაცია ესპანეთ-ინგლისის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის შემდეგ რასისტული გამოხდომებისთვის დასაჯა.*

ფორმულა 1

# ცუდი ბიჭი მიხაელი

გიგა გურასაშვილი

*ის, რომ ფორმულა 1-ის ცოცხალ ლეგენდას სამშობლოში წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელებდნენ, მოსალოდნელიც იყო და ლოგიკურიც, მაგრამ არავის ეგონა, თუ ბადენ-ბადენში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე წლის სპორტსმენი გამოჩენილ თანამემამულეთა წინაშე არ წარდგებოდა.*

ნორვეგიაში ოჯახთან ერთად შვებულებაში მყოფი გერმანიის 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენი მიხაელ შუმახერი მხოლოდ ვიდეოკონფერენციით შემოიფარგლა. შუმახერის ასეთმა საქციელმა დამსწრე სპორტსმენთა აღშფოთება გამოიწვია. "იგი ვერანაირად ვერ ელირსებოდა ჩემს ხმას", - გაბრაზებული აცხადებდა ხელბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ჰაინერ ბრანდი.

"შუმის" გამოუცხადებლობით უკმაყოფილება არ დაუფარავს იმავე გამოკითხვაში მეორე ადგილზე გასულ ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონს, ნიჩბოსან ბირგიტ ფიშერს: ჰო, ეს ძალიან ცუდია. მისი საქციელი თითოეული ჩვენგანის დაუფასებლობა და უპატივცემულობაა. რამდენ ფულსაც არ უნდა შოულობდს, ეს არ აძლევს იმის უფლებას, რომ ასე მოიქცეს".

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა თავი იმით იმართლა, რომ მისთვის ზამთრის არდადეგები მნიშვნელოვანია: რა ხანია, ოჯახთან ერთად ნორვეგიაში ვისვენებ. რაკი წინ დიდი სეზონი მელის, ვცდილობ, სრულად განვიტვირთო დაძაბულობისგან. შედეგების მისაღწევად ჯანზე ყოფნაა საჭიროო.

საპროქციო ეკრანზე მიხაელ შუმახერის გამოჩენამ ჟურნალისტებს მოსვენება დააკარგვინა. ისარგებლეს ამ შესაძლებლობით და კითხვებიც დააყარეს. პირველ ყოვლისა, იმით დაინტერესდნენ, სამეფო რბოლებიდან წასვლას ხომ არ აპირებთო?

"არ ვიცი, ჩემი დარჩენა-არდარჩენით ყოველთვის რატომ სპეკულირებენ. შემთხვევას არ ვუშვებ ხელიდან, რომ ვთქვა: რბოლები უზარმაზარ სიამოვნებას მანიჭებს. აქ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ასე რომ, წასვლაზე არ ვფიქრობ.

არც ის მესმის, ჩემს მოტივაციაში რატომ ეპარებათ ეჭვი. საკუთარ წარმატებებზე კი გეტყვით: ამას სპორტში მნიშვნელობა არა აქვს. თუ რამეს მიაღწევ, ამით დამშვიდება არ შეიძლება. ყოველი მომდევნო რბოლა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება".

სხვათა შორის, შუმახერის სამერმისო ასპარეზობასთან დაკავშირებით ფორმულა 1-ის ყოფილ ჩემპიონს ალენ ჯონსონს საკუთარი მოსაზრება აქვს, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ არც საგაისო სეზონში უნდა ველოდოთ კარდინალურ ცვლილებებს: "ვერ ვეგუები იმას, თუ რა იოლად ეუფლება ყველაფერს მიხაელი. მაშინაც კი, როდესაც მეწყვილე უახლოვდება, მისი დამარცხება შეუძლებელია...

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიხაელი ამას იმსახურებს, რამდენადაც იგი გუნდის ფუნდამენტური ნაწილია. ის სტიმულს აძლევს თანაგუნდელებს, სამუშაოდ განაწყობს, რომლის შედეგსაც უკვე ხუთი წელიწადია იმკის. ვიდრე რბოლებში გამოდის, იგი მუდამ დაუმარცხებელი იქნება.

მიხაელი ფორმულა 1-ის საუკეთესო მრბოლია მას შემდეგ, რაც აირტონ სენა დაიღუპა. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე მრბოლი მას მიუახლოვდება კიდეც, მაგრამ სხვა არანაირი შანსი არ ექნებათ. დღესდღეობით "ფერარიზე" უკეთ არც ერთი გუნდი არ მუშაობს. ამიტომაცაა, რომ მიხაელს საკუთარ ბრძოლას თავს ვერ ახვევენ".

რაგბი

# "ლელო" საქართველოს ჩემპიონია

პაატა თოთაძე

**რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი**

| | |
|---|---|
| **ლელო** | **30** |
| **იმედი L - აკადემია** | **28** |

**ლელო:** სანიკიძე (კახოიძე), კობეშავიძე, სუჯაშვილი, კოპალეიშვილი, გორგოძე, ა. მჭედლიშვილი, სარდანაშვილი, ვალიშვილი, კვირიკაშვილი, ბარკალაია, ჯამრულიძე, ფირფილაშვილი, გ. მჭედლიშვილი, ქობულაშვილი, ყიასაშვილი
**2 ლელო** - ფირფილაშვილი, ბარკალაია
**1 გარდასახვა და 6 საჯარიმო** - ბარკალაია

**იმედი L - აკადემია:** მაჭარაშვილი (გოგინაშვილი), სანადირაძე, გელანტია, ბალახაშვილი (ქათამაძე), პაპაშვილი, ჩიკვაიძე, ცხვედიანი (ნებულაშვილი), ბოლღაშვილი, მ. კობახიძე (ბეგაძე), კიკნაძე, მესხიშვილი, კაპანაძე, მაჩხანელი, ელიზბარაშვილი, ურჯუკაშვილი
**3 ლელო** - პაპაშვილი, ცხვედიანი, გელანტია
**2 გარდასახავა** - კიკნაძე, ურჯუკაშვილი
**3 საჯარიმო** - ურჯუკაშვილი



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საქართველოს ახალგაზრდა ჩემპიონი ჰყავს - "ლელო".*

"ლელო" ჩემპიონია. ეს შეხვედრის ბოლო წუთზე გაირკვა, როცა მალხაზ ურჯუკაშვილმა 55 მეტრიდან გააფუჭა საჯარიმო. ამ დროისთვის ანგარიში იყო 30:28. ასე რომ, მისი დარტყმა ჩემპიონის ვინაობას არკვევდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მახოს გუშინ ჩვეულად არ უთამაშია. ბარკალაიას ლელოც მახოს ბრალია - მას დაუფარა "ლელოს" ნახევარმცველმა მისსავე 22-ში და ჩათვლის მოედანში შევარდნილი ბურთიც თავადვე დაამიწა.

ეს მე-6 წუთზე მოხდა. მანამდე კი კიდევ ორი ლელოს ნახვა მოასწრო გულშემატკივარმა. ჩემპიონის პირველი ლელო პირველსავე შეტევას მოჰყვა. რაქიდან გამოტანილი ბურთი ფირფილაშვილს მიუვიდა, რომლის დამჭერიც იმ მომენტში არავინ აღმოჩნდა. სამ წუთში კი უკვე აკადემიელებმა გამოიჩინეს თავი - აუტი მოიგეს, მოლი დააყენეს და შევიდნენ მეტოქის ლელოში.

ტაიმის ბოლომდე "იმედი L - აკადემიამ" კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხა. ისევ მოლი და ბურთი ამჯერად ცხვედიანმა დაამიწა. საერთოდ, აკადემიელები ასე ხშირად წარმართავდნენ შეტევებს, რაკი ატყობდნენ, რომ გამოსდიოდათ. შერკინებაში უპირატესობას ვფლობთო და, აკადემიელებმა რამდენჯერმე არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ ორჯერ დასარტყმელი ჯარიმა არ დაარტყეს - იფიქრეს, შერკინებით მივაწვებით და ლელოს გავიტანთო. არადა, დასარტყმელი ჯარიმები უნდა დაირტყას. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ჩემპიონის თასს ისინი აწევდნენ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ბედი რამდენიმე არასწორმა ტაქტიკურმა ნაბიჯმა გადაწყვიტა. პირველ ტაიმის მიწურულს ასეთმა ნაბიჯმა "იმედი L - აკადემიას" ანგარიში არ გაათანაბრებინა. მეორეში კი, როცა ანალოგიური შანსი მიეცათ, ანგარიშში ჩამორჩენა 9 ქულა იყო.

პირველად "იმედი L - აკადემია" მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე დაწინაურდა ურჯუკაშვილის საჯარიმოთი - 28:27, თუმცა, ბარკალაიამ მალევე გაიტანა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საჩემპიონო საჯარიმო. მატჩის მიწურულს კი იყო მსაჯის გინება, ბოლღაშვილის გაძევება, ანუ ყველაფერი ის, რითიც მდიდარია ქართული რაგბი.

თუმცა, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც გუშინ ხდებოდა ეროვნულზე. იქ სარაგბო ზეიმი იყო.

"უზომოდ გახარებული ვარ. ჩვენ 11 წელი მოვდიოდით ამისკენ. ამ ბიჭებმა 11-12 წლის წინათ დაიწყეს ერთად თამაში და, იქიდან მოყოლებული, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით წინ. დიდი მადლობა ბიჭებს, მათ დააფასეს თავიანთი და მწვრთნელების შრომა. დიდი მადლობა ყველა გულშემატკივარს და დიდი მადლობა მეტოქეს", - ნამატჩევს განაცხადა "ლელოს" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა.

კალათბურთი

# ბარტერი?

სანდრო ნავერიანი

გახსოვთ, ზაფხულში ვინს კარტერი "ტორონტო რეფტორზის" ხელმძღვანელობას სთხოვდა, ისეთ კლუბში გადაეცვალათ, რომელსაც უფრო დიდი მიზნები აქვს, ვიდრე კანადურ გუნდს, მაგრამ კარტერით არც ერთი გუნდი არ დაინტერესებულა, ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ის გუნდი, რომელიც, ჩემპიონობას თუ არა, პლეი-ოფის მეორე ეტაპზე გასვლას მაინც ისახავდა მიზნად. და აი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მესამედი მიილია და არავინ იფიქრებდა, რომ სწორედ ახლა დაინტერესდებოდა ვინმე ვინს კარტერით, მაგრამ ინეტერესი აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა კლუბმა "ნიუ-ჯერსი ნეთსმა" გამოიჩინა. ინტერესი გამოიჩინა და იდეა განახორციელა კიდეც: ვინს კარტერის სანაცვლოდ ნიუ-ჯერსელებმა კანადურ კლუბს ალონსო მურნინგი, ერიკ უილიამსი და აარონ უილიამსი მისცა. გარდა ამისა, ნიუჯერსელებს 2005 წლის დრაფტის პირველ რაუნდში ორი კალათბურთელის არჩევის უფლების გადაბირებაც მოუხდათ. ასე რომ, ვერავინ იტყვის, ამ გაცვლით "ნიუ-ჯერსი ნეთსმა" იხეირაო.



*ვინს კარტერი მოღვაწეობას "ნეთსში" გააგრძელებს.*

მას შემდეგ, რაც "ნეთსის" ხელმძღვანელობამ გუნდიდან კერი კიტლზი და კენიონ მარტინი გაუშვა, ჯეისონ კიდს გვერდში აღარავინ ჰყავდა ისეთი, ვინც მას დაეხმარებოდა. თუმცა, ჯერსელებს ჰყავთ მაღალი დონის კალათბურთელები, რომელთაგანაც გამოსარჩევია რიჩარდ ჯეფერსონი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რიჩარდ ჯეფერსონი შედეგიან თამაშს აჩვენებს, სპეციალისტები თვლიან, რომ, თუ ჯეისონ კიდს ისეთი კალათბურთელი არ დაუყენეს გვერდით, როგორიც ვინს კარტერია, მაშინ დიდი იქნება კიდის სხვა გუნდში გადასვლის ალბათობა, რაც ძალიან არ უნდა "ნეთსის" ხელმძღვანელობას. ასე რომ, ისევ და ისევ სპეციალისტთა აზრით, ასეთი ბარტერი, თუ შეიძლება ამ გაცვლას ბარტერი ვუწოდოთ, მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ჯეისონ კიდი შეინარჩუნოს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვინს კარტერის "ნეთსში" გადასვლით, ამ უკანასკნელს კიდი-კარტერი-ჯეფერსონის სახით ძალიან ძლიერი უკანა ხაზი ეყოლება.

"ნეთსის" ხელმძღვანელობა აღფრთოვანებას ვერ მალავს და ხმამაღლა აცხადებს, რომ კარტერის დონის კალათბურთელი გუნდს უეჭველად შეიყვანს ლიგის ელიტური კლუბების სიაში და შორს არ არის ის დრო, როდესაც "ნეთსი" კვლავ ითამაშებს ლიგის ფინალში.

იმის თქმა, რომ კარტერი სუპერვარსკვლავი და ექსტრაკლასის კალათბურთელი არ არის, სისულელე იქნება და მეტი არაფერი. უკვე ოთხი წელიწადია, ის რეგულარულად მონაწილეობს ყველა ვარსკვლავის მატჩებში. კარტერმა კანადურ კალათბურთს პოპულარობა მოუტანა. მისი თამაშის სანახავად ათასობით გულშემატკივარი დადიოდა. კარტერმა თავისი აგრესიულობით და ჩატენვის სტილით მეტსახელად "ეარ კანადა" დაიმსახურა. ამის ახსნა კი მიანდეს გულშემატკივრებს, რომლებმაც სრულიად ბანალურად თქვეს: "ის კანადის საჰაერო სივრცეში დაფრინავს". მოკლედ, კარტერი უძლიერესი კალათბურთელია, რომელსაც წლევანდელ სეზონში თამაში არ წაუვიდა, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია. თავად კარტერი მის მოკრძალებულ შედეგიანობას ასე ხსნის: "ხალისი დავკარგე, თამაში ისეთ გუნდში, რომელიც მაღალი მიზნებისთვის არ იბრძვის, ძალიან ძნელია. დამიჯერეთ, თუ მე უფრო ძლიერ კლუბში გადავედი, ჩემი შედეგიანობაც ერთიორად გაიზრდება". კარტერის სიტყვებს, ეტყობა, "ნიუ-ჯერსი ნეთსის" ხელმძღვანელობაც ენდო, მაგრამ განცხადებები იმაზე, რომ სულ მალე ლიგის ფინალში ითამაშებენ და შეიძლება ჩემპიონობასაც გამოჰკრან ხელი, არათუ ნაადრევი, უსაფუძვლოც კია. არც კიდი, არც კარტერი და, მით უმეტეს, არც ჯეფერსონი არ არიან ისეთ ფორმაში, რომ შეძლონ და გუნდი ათრიონ. მაგრამ თრევაც არის და თრევაც. შეიძლება გუნდი გაათრიო პლეი-ოფში, მეოთხედფინალში, ნახევარფინალში, მაგრამ ჩემპიონობამდე თრევა?..

დარწმუნებული ვარ, თუ "ნეთსის" ხელმძღვანელობამ საკადრო პოლიტიკა არ შეცვალა, მაშინ ამ კლუბის წარმატებას უახლოესი ხუთი-ათი წლის განმავლობაში ვერ ვნახავთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, კიდი და კარტერი აღარ არიან ჯეელი ბიჭები, რომლებსაც წინ კიდევ დიდი დრო აქვთ დასაღვინებლად.

ასეა თუ ისე, გაცვლა შედგა და, როგორც უკვე მოგახსენეთ, უფრო მეტი სარგებელი ნახა "ტორონტო რეფტორზმა" და არა "ნიუ-ჯერსი ნეთსმა", რომელზეც შეიძლება გეფიქრათ, როგორ გააბითურა საწყალი "ტორონტო რეფტორზიო".

# უძილობა

სანდრო ნავერიანი

*"დალას მავერიქსის" ფორვარდი დირკ ნოვიცკი კალათბურთის სამყაროს კაშკაშა ვარსკვლავია და არ არის გასაკვირი, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე კარგ ლეგიონერად ითვლება. მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში გატარებულ რამდენიმე სეზონში ნოვიცკიმ თავისი უნივერსალობით ბევრი გულშემატკივარი გააოცა. წლევანდელ სეზონში გერმანელი კალათბურთელი გათავისუფლდა ცენტრის პოზიციაზე თამაშისგან, ეს კი გუნდში ერიკ დამპიეს მოსვლის შედეგია. ასე რომ, "დალას მავერიქსმა" მიიღო უაღრესად შედეგიანი კალათბურთელი, რომლის მაჩვენებელიც თამაშში საშუალოდ 26,5 ქულაა. ამ მაჩვენებლით ის მეორეა ლიგაში. გთავაზობთ ინტერვიუს გერმანელ კალათბურთელთან, რომელიც მან გერმანულ გაზეთ "ბილდს" (BILD) მისცა.*



*დირკ ნოვიცკი გამოუყენებელ ტყორცნებს უძილობას აბრალებს.*

**- ახლახან მიხაელ შუმახერი გერმანიის ასწლეულის სპორტსმენად აღიარეს. ეთანხმებით თუ არა ამ გადაწყვეტილებას?**

- ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილებაა, თუმცა, ფორმულა 1 ჩემი სტიქია არ არის. მე ჩოგბურთს ვამჯობინებდი. ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან დიდხანს ვთამაშობდი. სწორედ ამიტომ, ჩემთვის რომ ეკითხათ, ვინ არის გერმანიის ასწლეულის სპორტსმენიო, აუცილებლად ვიტყოდი: შტეფი გრაფი ან ბორის ბეკერი. გრაფი, მართლაც, ფენომენალური სპორტსმენია. ის წლების განმავლობაში ლიდერობდა ქალთა ჩოგბურთში.

**- ბოლო დროს, როდესაც ამერიკის ჰიმნი ჟღერს, თქვენ გულზე ხელს იდებთ ხოლმე...**

- საერთოდ ასე არ ვიქცევი. მაგრამ სეზონის წინ ჩვენ შევთანხმდით, რომ ყველაფერში ერთსულოვნება გამოგვეჩინა. რაკი ჩვენს გუნდში ამერიკელები არიან, ჩვენც ისე ვუსმენთ ჰიმნს, როგორც ისინი. ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია.

**- წლევანდელი სეზონის მატჩებზე კაპს იდგამთ. რატომ?**

- სულ ახლახან გავიკეთე კბილები. არ მინდა, კიდევ ერთხელ მომხვდეს ვიღაცის იდაყვი და კბილები ისევ გასაკეთებელი გამიხდეს.

**- შობა ახლოვდება. ხომ არ აპირებთ, მარტო შეხვდეთ ამ წმინდა დღესასწაულს?**

- არავითარ შემთხვევაში. მე ნამდვილი გერმანული შობა მექნება. ჩემი მშობლები ჩამოვლენ ვიურცბურგიდან, ჩემი და კი თავის კავალერთან ერთად მეწვევა სან-დიეგოდან. მე ღორიც კი შევარჩიე, რომლისგანაც არაჩვეულებრივ კერძს დავამზადებ.

**- შენი "დალასი" წლევანდელ სეზონში შედეგიან კალათბურთს თამაშობს, მაგრამ ჩავარდნებიც გაქვთ ხოლმე. ასეთ ვითარებაში, როგორ ფიქრობ, ჩემპიონობის შანსი გაქვთ?**

- ამ წუთში ჩვენ ნამდვილად არ ვითვლებით ფავორიტად. ჩვენს გუნდში, მაიკლის გარდა (მაიკლ ფინლირედ.), ყველა ახალი სახეა. ამიტომ გარკვეული დრო გვჭირდება შესათამაშებლად. ამას გარდა, ჩვენ არასოდეს გვყოლია საკმარისი რაოდენობის მაღალი კლასის კალათბურთელები.

**- დაეტყო თუ არა "დალას მავერიქსს" სტივ ნეშის არყოფნა, რომელმაც 60-მილიონიანი კონტრქტი გააფორმა "ფენიქს სანზთან" და, თუ არ ვცდები, იქ საკმაოდ კარგად გრძნობს თავს?**

- ნეში რომ ჩვენს გუნდში ყოფილიყო, მაშინ აუცილებლად ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ვიქნებოდით. ის ლიგის საუკეთესო გამთამაშებელია, ყველაზე კარგ გადაცემებს იძლევა, რაც ჩვენს გუნდს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება.

**- და როგორც საუკეთესო მეგობარი...**

- ჩვენ ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს, მაგრამ გასვლითი მატჩების დროს სასტუმროს ნომერში მარტო მიწევს ყოფნა. ჩვენ მუდამ ერთ ნომერში ვცხოვრობდით, კინოშიც დავდიოდით, ხშირად ვსეირნობდით.

**- წლევანდელ სეზონში თქვენ პირველი გერმანელი ხართ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის არსებობის ისტორიაში, რომელიც საუკეთესო ბომბარდირი გახდა. აივერსონი რომ არა, თქვენს მიერ მოგროვილი 53 ქულა წლევანდელი სეზონის სარეკორდო მაჩვენებელი იქნებოდა. დიდების ღრუბლებში ხომ არ დაცურავთ ასეთი პროგრესის გამო?**

- მართალი გითხრათ, კი. მაგრამ მე უკურეაქციაც მაქვს - ცუდად მძინავს.

**- უკაცრავად, რა თქვით?**

- "ჰიუსტონთან" მატჩის შემდეგ, რომელშიც მე 53 ქულა გავაკეთე, მთელი ღამე არ მეძინა. იმიტომ კი არა, რომ 53 ქულა გავაკეთე. არა. იმ მატჩში 17 ტყორცნა ავაცილე, რამაც არ დამაძინა. იმ დღეს 60 ქულაზე გაცილებით მეტი უნდა გამეკეთებინა. აი, ამაზე ვბრაზობ, და როცა ვბრაზობ, ვერ ვიძინებ. საერთოდ, ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე, რომ კარგად ვითამაშე, მაგრამ იქვე ვამატებ, რომ უკეთ შემეძლო.

**- რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ თამაში გააუმჯობესო?**

- ო, ძალიან ბევრი. აუცილებელია ფიზიკური მომზადება, ბურთთან მუშაობა და გადაცემების დახვეწა. მე კიდევ ორი-სამი წელიწადი მჭირდება იმისთვის, რომ სრულყოფილ კალათბურთელად ჩამოვყალიბდე.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 23 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ესპანიოლი"
14:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შალკე"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. საფრანგეთის ჩემპიონატი. "მარსელი" - "ლილი"
17:45 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ - "აიაქსი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:25 "FUTBOL MUNDIAL"
21:55 თავისუფალი დარტყმა
22:10 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია" - "იუვენტუსი"
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში. ქალები. ფინალი
12:15 "სპორტისიმო"
13:35 "ჰოკეი - პლუს"
13:50 სპორტული ტანვარჯიში. "Olympic Gala"
16:15 "სპორტის აკვატორია"
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის ფინალების რეტროსპექტივა. 1995 წელი. "NEW JERSEY DEVILS" - "DETROIT RED WINGS"
19:15 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:15 "მოტოვეზული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი - პლუს"
22:15 რუსული საჩოგბურთო სეზონი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - 2004. ნახევარფინალი. მარატ საფინი - როჟე ფედერერი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
01:45 "ჰოკეი - პლუს"

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
11:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
12:00 სნოუბროდი. მსოფლიო თასი იტალიაში
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი
13:30 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
14:30 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთისა და ინგლისის კლუბების საუკეთესო მატჩები
15:30 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და საფრანგეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
16:30 სპორტული ცეკვები. ლათინოამერიკული პროგრამა. შეჯიბრება ავსტრიიდან
17:30 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
18:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
19:00 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
19:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
20:30 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
21:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
23:30 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:45 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
02:15 მხედრული ორთაბრძოლები. თავისუფალი ბრძოლა

# ომბუდსმენი თუ ფასადი?

## ირაკლი სესიაშვილი: პროტესტი შედეგს მაინც გამოიღებს...

A1 გვერდიდან



*ირაკლი სესიაშვილი (უკანა პლანზე): "ხმა რომ არ ამემაღლებინა, იმ ჯარისკაცებს ნაწილში მაგრად სცემდნენ".*

- მთელი უბედურება ის არის, რომ მუხროვანის ეპიზოდში, ფაქტობრივად, მარტო ვიბრძოდი. ამ საკითხზე ხმა რომ არ ამემაღლებინა, დარწმუნებული ვარ, იმ ჯარისკაცებს ნაწილში მაგრად სცემდნენ.

**- შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც 10 დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს შიდა მოკვლევის შედეგები. თქვენი პროგნოზით, როგორი დასკვნა იქნება?**

- ამ საგამოძიებო ჯგუფს არ ვენდობი. ჩემი აზრით, ამ ინციდენტისთვის ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში თათუხაშვილს, ოქრუაშვილს - მინიმუმ, საყვედურს მაინც გამოუცხადებდნენ. ნაწილის უფროსს სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ და სისხლის სამართლის საქმესაც აღძრავდნენ. არ მჯერა, რომ კომისია საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს.

**- თქვენი თანამდებობიდან წამოსვლა იყო ერთი დღის გადაწყვეტილება, თუ ადრეც იყო ისეთი შემთხვევები, სადაც თქვენი, როგორც სახალხო დამცველის უძლურება დაინახეთ?**

- სოზარი ყველაფერში მხარს მიჭერდა. ასე იყო დეზერტირების ამნისტიის შესახებ კანონპროექტის შემთხვევაშიც. სწორედ ამ პროექტს ვიხილავდით კანცელარიაში, როდესაც გამოვედი და გარეთ ჯარისკაცები დამხვდნენ. მათ დახმარება და მაჩაბლის ქუჩაზე ოფისში გადასვლა შევთავაზე. ხუთი წელია, რაც ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს იცავს და კარგად ვიცი ეს საკითხები...

**- დახმარებისთვის გენერლები გაკითხავენ?**

- დიახ და მათ შორის ისეთებიც, ვინც თევზაძის დროს საქართველოს მოღალატეობას მწამებდა.

**- თქვენ იცოდით, რომ სახალხო დამცველის ოფისს სახელმწიფო აფინანსებდა, და რომ დამოუკიდებლობა, რომელიც არასამთავრობო სექტორში გქონდათ, შეიძლება აღარ გქონოდათ. მაინც გახდით სახალხო დამცველი, რატომ?**

- ამ სფეროში საქართველოში, ჩემი ორგანიზაციის გარდა, ფაქტობრივად, არავინ მუშაობს. მე მქონდა პრეტენზია და გამოცდილება სამხედროთა უფლებების დაცვაში და არ მქონდა მორალური უფლება, უარი მეთქვა ამ წინადადებაზე. გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატში მოვიდა სოზარ სუბარი, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი. აქ იყვნენ ვახო კომახიძე, ია ანთაძე და იმედი გამიჩნდა, რომ ადამიანის უფლებების დაცვისთვის სერიოზული ბრძოლა გაიმართებოდა. ამიტომაც დავთანხმდი.

ამ თვენახევრის განმავლობაში დაახლოებით 156-მდე სამხედრო ნაწილი მოვიარე. მათ შორის, გაქურდული ნაწილებიც. ვიყავი სამაჩაბლოშიც. ბევრი კარგი საქმე წამოვიწყეთ - ორ კანონპროექტზე ვმუშაობდით. თვენახევრისთვის ეს ცოტა არ არის. მუხროვანის ინციდენტს სოზარი არ შესწრებია. ადგილზე იყო მისი მოადგილე, ბაჩო ახალაია, რომელმაც თავისი არაკომპეტენტურობა გამოამჟღავნა. სოზარს კიდეც ვუთხარი - თუ სამხედრო საკითხებში მენდობით, არ არის საჭირო ზემდეტი თავის გამოჩენა და იმის ჩვენება, თუ ვინ არის უფროსი. ჩემი უფროსები ის ჯარისკაცები არიან, ვისი უფლებებიც ირღვევა.

ბაჩოსთან ავედი და ვამცნე ამ საგანგებო მდგომარეობის შესახებ - რომ ისინი გაუსაძლის პირობებს გამოექცნენ და ჩვენ ისინი უნდა დავიცვათ-მეთქი. მიპასუხა, რომ ისინი დეზერტირები არიან და ქვეყანას არცხვენენო. მათაც იგივე უთხრა და ოფისის დატოვება მოსთხოვა, რაზეც იქ მყოფი ჟურნალისტებისგან და ჯარისკაცებისგან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა.

**- მუხროვანის ნაწილში ნამყოფი ხართ?**

- არა. ორიოდე კვირით ადრე მუხროვანიდან განცხადება შემოვიდა, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ოფიცრებმა ჯარისკაცი სცემეს, ყბა ჩაუმტვრიეს ისე, რომ ოპერაცია დასჭირდა. საქმე პროკურატურაში იყო გადაგზავნილი და ამის გაკონტროლებას ვაპირებდი. დაზარალებულს არასამთავრობოს უფასო იურიდიული დახმარებაც შევთავაზე. სიტუაციის გამწვავებას მოვერიდე და იქ ჩასვლისგან თავი შევიკავე. გარდა ამისა, პრესით თათუხაშვილი მყავდა გაკრიტიკებული და უთანხმოება გამორიცხული არ იყო.

ბაჩო ახალაია ის პერსონა არ არის, ვის გამოც ადამიანი სამსახურს დატოვებს. ჩემი პროტესტი მიმართულია ხელისუფლების მიმართ იმიტომ, რომ ასეთ დროს ნორმალურ ქვეყანაში ხელმძღვანელები გამოძიების დაწყებამდეც კი ისჯებიან. პრეზიდენტისგან ველოდი, რომ ხელმძღვანელობას საყვედურს მაინც გამოუცხადებდა, მაგრამ პრეზიდენტი თათუხაშვილის ნებისმიერ პრეტენზიას აკმაყოფილებს. მაგალითისთვის ვიტყვი - როდესაც თათუხაშვილი შსს-დან თავდაცვის სამინისტროში სახმელეთო ჯარების უფროსად გადადიოდა, მან მოინდომა საკუთარი 260 კაცი, ავიაცია, მომარაგება და სხვა. პრესის ფურცლებიდან, ფაქტობრივად, ულტიმატუმს აყენებდა - თუ ამას არ დამიკმაყოფილებთ, თანამდებობიდან წავალო. ის გრძნობდა, რომ პრეზიდენტის დიდი ნდობით სარგებლობდა. გარდა ამისა, მან გენშტაბის უფროსის მოადგილე, ნიკოლეიშვილი გააკრიტიკა, რითიც მკაცრი სამხედრო სუბორდინაცია დაარღვია. პრეზიდენტმა კვლავ დააფარა ხელი ხელმძღვანელობას.

**- თქვენთვის ცნობილია ის რეალური მიზეზი, რისთვისაც ამ ჯარისკაცებმა ნაწილი დატოვეს?**

- იქ გათბობის სისტემაც არსებობს, აბანოც და მომარაგებაც. მაგრამ იქ არაფერი არ მუშაობს. გათბობისთვის საჭიროა დიზელის საწვავი, რომელსაც იღებენ, მაგრამ სად მიდის, არავინ იცის. ეს ხომ კორუფციაა? თათუხაშვილი უნდა დაისაჯოს, რადგან 2 თვის განმავლობაში არ იცის, რა უბედურება ხდება ნაწილში...

**- ჯარისკაცს აქვს რაიმე ფორმით პროტესტის გამოხატვის იურიდიული უფლება?**

- მათ საჩივრით უნდა მიმართონ მეთაურს, ან ზემდგომ მეთაურს. როდესაც ჯარისკაცი ხედავს, რომ ყველაფერი მეთაურიდან მოდის... შეშას აჩეხინებდნენ და, როგორც ამბობენ, მეთაურის სიდედრთან მიჰქონდათ. ზემდგომი მეთაური კი თათუხაშვილი, შემდეგ ოქრუაშვილი და პრეზიდენტია. ეს ბიჭები ოქრუაშვილთან შესახვედრად გამოვიდნენ, რადგან სჯერათ, რომ ის პრინციპული ადამიანია და ადეკვატურ ზომებს მიიღებდა. გზა კარგად არ იცოდნენ და მიადგნენ კანცელარიას, საჩივრით უმაღლეს მთავარსარდალთან მივიდნენ. მართალია, მათ ნაწილი დატოვეს, მაგრამ უკანონო ბრძანებებს ასრულებდნენ.

**- თქვენ გუშინ მე-8-ე პოლკში არ შეგიშვეს, რას აპირებთ?**

- იმიტომ არ შემიშვეს, რომ იქიდან ობიექტურ ინფორმაციას გამოვიტანდი. თათუხაშვილმა კი გვერდით ადვოკატად ბაჩო ახალაია დაისვა. სახალხო დამცველი ომის დროსაც კი უნდა შეუშვან ნაწილში. ბიუჯეტიდან იმიტომ ვიღებდი ხელფასს, რომ ადამიანის უფლებები დავიცვა და ამ დროს, მე-8-ე პოლკის ტერიტორიაზე არ შემიშვეს. ახლა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა ვთხოვო სოზარს და პრეზიდენტსაც, რომ გენერალურ პროკურატურას ჩემი არშეშვების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაავალონ.

**- გამოცდილებით ვიცით - გარეშე ძალებზე საუბრისას ხელისუფლება საკუთარი შეცდომების დაფარვას ცდილობს. რაღაც ძალის არსებობისა და პროვოკაციის შესახებ ამ ეპიზოდშიც გაისმა, რატომ?**

- უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებზე თათუხაშვილი საუბრობდა და ეს დიდი სირცხვილია. გარე ძალამ 18 წლის ჯარისკაცები 30-კილომეტრიანი გზა ფეხით ატარა, კანცელარიასთან მიიყვანა, სოციალური მოთხოვნები წამოაყენებინა და მეორე დღეს ეს მოთხოვნები შეაცვლევინა... სირცხვილია, სხვა არაფერი.

ისიც საგულისხმო ფაქტია, რომ ჯარისკაცები უშიშროების სამსახურში მიიყვანეს, სადაც მინისტრის მოადგილე ბაჩო ახალაიას ძმაა... 64 კაცი სიმართლეს ამბობდა და მეორე დღეს ეს სიმართლე გადაათქმევინეს. სწორედ ეს არის ვაჟკაცური სულის ჩაკვლა და სხვა არაფერი.

**- თავდაცვის სამინისტროსთან გია ბარამიძემ საზოგადოებრივ მრჩეველთა 8-კაციანი საბჭო შექმნა, სადაც თქვენც ხართ...**

- ახალმა მინისტრმა ეს ბრძანება უნდა გააუქმოს და ამას პროცედურა სჭირდება, სხვაგვარად იქიდან ვერ გამომიშვებენ. მაგრამ, ამ უსამართლობასთან შებრძოლების გამო, ცხადია, ახლა "პერსონა ნონ-გრატა" ვარ.

**- თავდაცვის მესამე მინისტრი დაინიშნა და რეფორმა არ დაწყებულა, რატომ?**

- ამ სამ მინისტრთან ერთად სამი გუნდი შეიცვალა. ბეჟუაშვილმა მოიყვანა გუნდი, შეცვალა სტრუქტურა, შეიძინა მანქანები და გაიკეთა რემონტი. მოვიდა ბარამიძე ცოტა მოკრძალებულად, მაგრამ იგივე გააკეთა. ახლა ოქრუაშვილი მოვიდა და სრულიად ახალი სტრუქტურის აწყობას აპირებს, ვნახოთ...

**- თქვენს მოვალეობაში არ შედის სახელმწიფოს დაცვა ცუდი გენერლებისგან?**

- დიახ და ასეთი შემთხვევებიც მქონია, ოღონდ არასამთავრობოში მუშაობისას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება საკუთარ ტყავს უფრთხილდება, ეს პროტესტი გარკვეულ შედეგს მაინც გამოიღებს - მეტ კონტროლს დააწესებს და მეტ ყურადღებას მიაქცევენ. რაც უფრო მეტია სამოქალაქო კონტროლი, მით უფრო უკეთესი მდგომარეობაა ჯარში. 1999 წელს მარტო "ვჭიჭყინებდი" და ამან წლების შემდეგ გამოიღო შედეგი.

გუშინ ზუგდიდის სამხედრო ნაწილის წინ მშობლები შეიკრიბნენ. ნაწილში შესვლა და შვილების მდგომარეობის გაცნობა მოითხოვეს. საგურამოს სასწავლო ცენტრშიც (სადაც ისევ არის ე.წ. "დედოვშინა") იყო გარკვეული პროტესტი... გახმაურებულ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე მუხროვანის ნაწილიდან 40 ადამიანი გაიქცა. ისინი პირდაპირ მე-8-ე პოლკში მივიდნენ და იქიდან გაანაწილეს. ეს ამბავი არ გახმაურდა და ჩაიფარცხა. ესენიც რომ ისე მოქცეულიყვნენ, ვერაფერს გავიგებდით და ამასაც ჩაფარცხავდნენ.

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ამ ჯარისკაცების მშობლებს მინდა მივმართო - არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლება" უფასო იურიდიულ მომსახურებას ეწევა. ჩვენ ვიქნებით მათი ადვოკატები და ბოლომდე დავიცავთ.

### "ნუცას სკოლა" დაისჯება

*პრეზიდენტი სააკაშვილი 65 ჯარისკაცის მიერ მუხროვანის ბრიგადის თვითნებურ დატოვებას გუშინ პირველად გამოეხმაურა.*

*ვერდიქტი გამოტანილია: "კეთილი ინებეთ და ყველა ოფიცერი და დეზერტირი უმკაცრესად დასაჯეთ!" - ეს დავალება გუშინ ძალოვნებმა პრეზიდენტისგან მიიღეს.*

**"ვაკხანალია, რომელიც მოჰყვა რამდენიმე უდისციპლინო ჯარისკაცის მიერ ნაწილის დატოვებას,"** - ასეთი შეფასება მისცა პრეზიდენტმა მუხროვანის ინციდენტს.

**"თუ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ვერ გააკონტროლებს არმიას, მაშინ ჩვენ, როგორც ქვეყანა, არ შევდგებით.**

**ჯარი ნუცას სკოლა არ არის, სადაც ყოველ საღამოს მშობელთა კრება იმართება და მსჯელობენ, ვინ რა უნდა აკეთოს. მე ვაპატიე ყველას, ვინც ადრე გაიქცა სამხედრო ნაწილებიდან, იმიტომ, რომ არ იყო პირობები, დღეს ვინც გაიქცევა, ყველა უნდა წავიდეს ციხეში,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.

სააკაშვილი ამ ინციდენტზე სასაუბროდ გუშინ თავდაცვის მინისტრს, შინაგანი ჯარების სარდალსა და გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილეს შეხვდა.

**"ჯარში ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი, თუმცა პრეტენზიებს, თუ ვინ სად უნდა იმსახუროს, ვერ მივიღებთ. მთავარი ჯარში დისციპლინაა,"** - კატეგორიულად განაცხადა პრეზიდენტმა და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობისგან მოითხოვა ყველა იმ ოფიცრის და ჯარისკაცის სამაგალითოდ დასჯა, ვინც დამნაშავეა მუხროვანის ნაწილში მომხდარ ინციდენტში.

თავდაცვის მინისტრს მიეცა დავალება, აქცენტი გააკეთოს მოხალისეებთან ინდივიდუალური კონტრაქტების გაფორმებაზე. **"ჯარში უნდა იმსახუროს იმან, ვისაც ამის სურვილი აქვს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

როგორც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, ყველა, ვისაც ამ ინციდენტში მიუძღვის ბრალი, **"დაისჯება ისე, როგორც ეს კანონითაა გათვალისწინებული."**

*24 საათი*

## ვახტანგ კომახიძე: ამ ინსტიტუტს გაბედულება არასდროს ახასიათებდა

A1 გვერდიდან

- ახლანდელ სახალხო დამცველს ძალიან ცუდი მემკვიდრეობა ერგო წილად. ომბუდსმენის ტრადიცია, პრაქტიკულად, არ არსებობდა და იყო სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთი დანამატი. რა თქმა უნდა, ფორმალურად ეს ინსტიტუტი სახელმწიფოს ერთ-ერთი სტრუქტურაა, თუმცა მისი შინაარსი და ქმედებები უნდა განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც სახელმწიფო მანქანა ახორციელებს. ეს არის ერთ-ერთი მაკონტროლებელი და, მეორე მხრივ, საზოგადოების დამცველი სახლმწიფო აპარატისგან. ამიტომ ის მაქსიმალურად თავისუფალი და გაბედული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს არასდროს ახასიათებდა ამ ინსტიტუტს.

**- ეს იყო წინა ხელისუფლების დროს, ახლა?**

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისიც არის, რომ სახალხო დამცველს ხელისუფლება ნიშნავს.

**- და აფინანსებს კიდეც...**

- შეიძლება დაფინანსების ისეთი ფორმის მოძებნაც, რომელიც სახალხო დამცველს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს შეუნარჩუნებს. იმ ხელისუფლებას, იმ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენ ადრე გვქონდა, სახალხო დამცველის დამოუკიდებელი და ძლიერი ინსტიტუტის არსებობის ინტერესი არ ჰქონდა.

**- თვეზე მეტია, რაც იქიდან წამოხვედით, რატომ?**

- გარკვეული უკმაყოფილება იყო, თუმცა არ შემიძლია, ეს პერსონალურად ვინმესთან გადავამისამართო.

**- წინა და ახლანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება სახალხო დამცველებისადმი განსხვავდება?**

- ამას მხოლოდ ის ხალხი შეაფასებს, ვინც იღებს ან ვერ იღებს დახმარებას. ადრე ოფისს დახმარებისთვის ძალიან ცოტა ადამიანი მიმართავდა. ჩვენი მისვლის შემდეგ რაოდენობა აშკარად გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ მათ იმედი გაუჩნდათ. დაზარალებულებთან უშუალო შეხვედრებით ვასკვნი, რომ ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები შელახულია, ძალიან კარგად გრძნობენ, სრულყოფილად ახერხებ თუ ვერა მათი უფლებების დაცვას. მათ კარგად ესმით, არსებობს თუ არა სამართლებრივი შესაძლებლობები. ესმით, რა სახის პრობლემებთან აქვთ საქმე. როგორც წესი, ამ ადამიანების დიდი ნაწილი მინიმალური დახმარებითაც ძალიან კმაყოფილია.

**- თქვენს ოფისში შემოსული საჩივრები სამართლიანი იყო?**

- მხოლოდ 30 პროცენტი შეიძლება იყოს არასწორი მისამართით მოსული. ადამიანების უმრავლესობა ზუსტად აგნებს მისამართს და სახალხო დამცველი ვალდებულია, დახმარება გაუწიოს მათ. თუმცა, საჩივრების სპეციფიკური თემა მაინც ხელოვნურად შექმნილი დანაშაულობების შესახებ იყო. ადამიანები სახალხო დამცველს ნარკოტიკების და იარაღის ჩადების გამო მიმართავდნენ. გამოძიებას იურიდიულად, თითქოს, ყველაფერი გამართული ჰქონდა და ვერაფერს მოედავებოდი, მაგრამ სახალხო დამცველი ადვოკატი არ არის. მისი ვალია, მოძებნოს გზა, რომლითაც დაასაბუთებს, რომ ეს აშკარა დარღვევაა და მოძებნოს ფორმა, თუ როგორ დაიცვას ეს ადამიანები. ეს ძალიან რთულია, მაგრამ არაფრით არ შეიძლება ამის გამო უარი თქვა დაცვაზე. მუდმივად უნდა ეძებო ეს ფორმები და უნდა იპოვო კიდეც.

**- დაპატიმრებულ ადამიანთა უმრავლესობა დამნაშავე არ არის?**

- თეორიულად იგულისხმება, რომ დამნაშავეა, მაგრამ ხელოვნურად იგონებენ მიზეზებს, რომ ეს ადამიანი ციხეში გაუშვან. არის თუ არა ადამიანი დამნაშავე - ეს სასამართლომ უნდა გაარკვიოს და არა ოპერმუშაკმა, ან გამომძიებელმა, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებანი ამ ოპერმუშაკსა და გამომძიებელს ენიჭებათ. ამისგან კი ადამიანი ნამდვილად დასაცავია. ამ ვითარებას ხელისუფლება ქმნის და როცა ამას ხმამაღლა ამბობ, ხელისუფლებასთან დაპირისპირება გამოდის.

**- რამდენად ეფექტურად მუშაობთ ჩინოვნიკებთან, რამეს ცვლის სახალხო დამცველის ინსტიტუტი?**

- როდესაც პრობლემებზე ვსაუბრობდი, ამასაც ვგულისხმობდი. სახელმწიფო აპარატის მუშაკები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, რომ ისინი ვალდებული არიან, რაღაც ფორმით მაინც ითანამშრომლონ სახალხო დამცველთან. ისინი ან ზევიდან უყურებენ მათ, ან საერთოდ არაფრად აგდებენ. ფინანსური პოლიციის შენობაში არ შემიშვეს მაშინ, როდესაც ნებისმიერ დაწესებულებაში, კანონით, დაუყოვნებლივ შემიძლია შესვლა. იქ ხულიგნურად, ძველბიჭურად მირჩევდნენ საქმეს, თუ რატომ არ შეიძლებოდა ჩემი შესვლა.

**- თქვენ ამბობთ, რომ ტრადიციები არ გვქონდა. მაგრამ, გვქონდა სახელმწიფოებრივი ტრადიციები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მანკიერი იყო. დღეს, თითქოს, ახალი თაობისა და მენტალობის ჩინოვნიკები მოვიდნენ. სახალხო დამცველისადმი დამოკიდებულება მათაც იგივე აქვთ?**

- სამწუხაროდ, ძალიან ხშირად დამოკიდებულება იგივეა.

**- რა კონკრეტული მიზეზის გამო წამოხვედით სახალხო დამცველის ოფისიდან?**

- იმის გამო, რომ არ დამძაბვოდა ურთიერთობა. პირველ რიგში, არ მსურდა ხელი შემეშლოდა სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, რადგან მასთან ბევრი რამ მაკავშირებს. ვიცი, რომ მას აქვს გარკვეული გრძელვადიანი გეგმები. იმედი მაქვს, რომ მას ეს ყველაფერი გაანალიზებული აქვს და იცის, როგორ მოიქცევა ხვალ. მე, უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი და წამოვედი.

**- თუკი ჩინოვნიკების მხრიდან ასეთი დამოკიდებულებაა, თუკი ომბუდსმენის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხია სახეზე და ეს იმის გამო ხდება, რომ სახალხო დამცველის ოფისი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რა აზრი აქვს ასეთი სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობას?**

- შეიძლება, მაინც აქვს აზრი და მოგვიანებით გამოჩნდება. თუმცა, არ ვიცი, რის შემდეგ გამოჩნდება ეს. ვიცი, რომ სოზარს გარკვეული ცვლილებების გატარება უნდა.

**- ოფისში შემოსული განცხადებების შინაარსი შეცვლილია? ეს ხელისუფლება განსხვავებულს რას აშავებს?**

- წინა ხელისუფლების დროს იარაღისა და ნარკოტიკის ჩადების შესახებ განცხადებები ასეთი მასშტაბით არ შემოდიოდა. ოღონდ, არა იმიტომ, რომ ეს არ ხდებოდა. უბრალოდ, ხალხს ნდობა არ ჰქონდა. ახლა ამან ძალიან დიდი მასშტაბები მიიღო.

**- სახალხო დამცველი უშიშროებაში ორთვიანი მუშაობის შემდეგ გახდით. ეს ხშირად თქვენს წინააღმდეგ მუშაობს, არა?**

- ამ ბრალდებების წაყენება ჩემთვის არაკორექტულია. ექვსთვიანი კონსულტაციების შემდეგ უშიშროებაში წასვლა თავად სოზარმა, როგორც ჩემმა ახლობელმა და მეგობარმა, მირჩია. ეს დაემთხვა პერიოდს, როდესაც "რუსთავი 2-მა" დახურა გადაცემა "60 წუთი" და იძულებული ვიყავი, წამოვსულიყავი იქიდან. რომელი ნომენკლატურა მე ვიყავი - უშიშროებაში, დაახლოებით, 2 თვე ვიმუშავე. ვერ გავძელი, რადგან მივხვდი, რომ იქ მუშაობა არ შეიძლებოდა და წამოვედი. ასე რომ, არ შეიძლება ეს ბრალდებად წამიყენონ და თან საკუთარმა მეგობრებმა.

**- რა განწყობაა ახლა აპარატში, თქვენთვის მიბაძვას ხომ არ აპირებენ?**

- დარჩენილი ძველი თანამშრომლების განწყობა არ ვიცი, მაგრამ ახალმისულები ნამდვილად იმედიანად იყვნენ. მათ შორის, მეც. შეიძლება, სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება, მაგრამ ასე მირჩევნია.

**- იქნებ, საბრძოლველია ამ ინსტიტუტის შენარჩუნება?**

- იქნებ, მაგრამ, ალბათ, ამ ბრძოლაში არ გამოვდგები.

**- ერთ მშვენიერ დღეს სოზარიც ხომ არ წამოვა იქიდან?**

- არ ვიცი.

ფოტოგალერეა



შესვენება.

ავტორი: ლევან ხერხეულიძე


# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს

## კ ო მ ე რ ც ი უ ლ   კ ო ნ კ უ რ ს ს

შპს "კინოთეატრ თბილისის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი სახელმწიფო წილის პრივატიზების მიზნით.

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს.

**ინფორმაცია ობიექტის შესახებ:**

ობიექტის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, დუმბაძის ქ. N7-ბარათაშვილის ქ. N6. დაკავებულის მიწის ფართობი - 1189,8 კვ.მ, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 1788,46 კვ.მ, მათ შორის 247,22 სარდაფი. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 414093 (ოთხას თოთხმეტი ათას ოთხმოცდაცამეტი), დოლარის ეკვივალენტი ლარი.

**გამყიდველი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**საკონკურსო პირობები:**

1. მაქსიმალური საპრივატიზებო ფასის, მაგრამ არა ნაკლებ 414093 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

2. ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში.

3. ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში კინოთეატრის ინტერიერისა და ექსტერიერის თანამედროვე დონეზე მოწყობა, ციფრული "დოლბის" ფორმატის ხმისა და უმაღლესი ხარისხის საპროექტო აპარატურის დამონტაჟება, ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანა, რისთვისაც უნდა განახორციელოს არანაკლებ 500000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვენსტირება.

4. დასაქმებულთა არანაკლებ 80% ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტება.

5. გენერალური მოიჯარადის ფუნქცია უნდა განახორციელოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულმა სამშენებლო ორგანიზაციამ.

6. კონკურსში მონაწილე, განაცხადთან ერთად წარმოადგენს შესასრულებელი სამუშაოების ეტაპობრივ გრაფიკს, რის შესაბამისადაც "მყიდველმა" ყოველ 6 თვეში ინფორმაცია უნდა წარუდგინოს "გამყიდველს" კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ხოლო საკონკურსო ვადის დამთავრების მომენტისათვის შესრულებულ სამუშაოებზე აუდიტორის დასკვნა.

**კონკურსში მონაწილეობა თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბეს სიდიდე შეადგენს 50000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, ცენტრალური შემოსავლების სატრანზიტო ანგარიში N300121500. მიმღების ბანკი სახაზინო კოდი: 3000.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული კონკურსის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი.

საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში "მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ჯარიმდება დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1%-ით.

საკონკურსო პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად "გამყიდველის" მიერ. "მყიდველს" არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს "მყიდველის" თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ;

გ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლება-მოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას, კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

*რეგისტრატორის ზონაგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კომერციულ კონკურსში მონაწილის სტატუს.*

**ინფორმაცია განცხადების მიღების და კონკურსის ჩატარების შესახებ:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ კვირის გარდა 2004 წლის 24 დეკემბრიდან 2005 წლის 24 იანვრის ჩათვლით 10-დან-16 საათამდე.

მისამართზე რუსთაველის ქ. N6 მე-4 სართული.

კონკურსი ჩატარდება 2005 წლის 25 იანვარს 12 საათზე. მისამართი ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:**

კომერციულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და "გამყიდველის" მიერ მაქსიმალური ფასის გადახდა.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N6, ტელ 70-35-22

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


## TV პროგრამა

### 23 დეკემბერი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "დაუმთავრებელი პიესა მექანიკური პიანინოსთვის" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ომის გზაზე" (18). მთ. რ-ში: დონალდ საზერლენდი. **03.10** პატრული

**პირველი არხი**

შესაძლებელია ცვლილებები **08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეების ისტორია" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემს გულში" მე-4ს. **15.00** "მთავარი" **15.30** მხ. ფილმი "ოცნება არგენტინაზე" **17.30** ტელეფილმი **18.00** "მთავარი" **18.30** სერიალი "განთქმული ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "დევიდ კოპერფილდი" მე-3ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკიდრე ლუნა" მე-4ს. **22.00** დოკ. ფილმი "მკვლელი მდინარეები" **23.00** "მედიატორი" **23.30** ქართ. ფილმი "ანგელოზის გადაფრენა" (გ) **01.30** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "სამეფო ქორწილი" (გ) (ფრედ ესტერი)

**მეორე არხი**

**19.00** საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** "მრავალჟამიერ" **19.45** დოკ. ფილმი "შრი-ლანკას სპილოები" **20.35** "იმღერე რამე" **21.00** ბასტი-ბუბუ **21.15** დოკ. ფილმი "ვაცლავ ნიჟინსკი" **22.10** მიამბეთ თქვენზე **22.50** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) 1-ლი ს.

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "27 დრაკონი" **12.20, 17.10, 03.30** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "აკოცე ვისაც გსურს" (გ) (კ. ბუკე) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "27 დრაკონი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **23.45** "პირველი ნახევარი" **00.15** მხ. ფილმი "სიყვარული და 45 კალიბრიანი კოლტი" (15) (რ.ზელვეგერი) **01.55** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** ფილმი-ფანტასტიკა "უცხოპლანეტელი" **11.20** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** "ზღვარი" **12.10** კომედია "რა სურთ ქალებს" **14.10** მუსიკა **14.45** თრილერი "ჯაშუშური თამაშები" **16.50** მულტსერიალი **17.45** მხ. ფილმი "დუელანტები" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დოკ. ფილმი **19.35** მუსიკა **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** ბოევიკი "ძველ მებრძოლთა წინასწარმეტყველება" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "უბრალოდ კოცნა"

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Худ. фильм **"БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ". 3**-я с. **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфира". "Кинопанорама" Алексея Каплера. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Детектив **"УБИЙСТВО НА МОНАСТЫРСКИХ ПРУДАХ". 3**-я с. **17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал" **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **21.30** Худ. фильм **"БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ"**. Закл. серия. **22.40** "Человек и закон" **23.50** Ударная сила. "Охотник за "Ястребами". **00.20** Док. фильм "Поезд Москва-Грозный". **00.50** Николас Кейдж в фильме **"ГЛАЗА ЗМЕИ". 02.40** Худ. фильм **"КЛЕОПАТРА". 2**-я серия. **04.00** Сериал "Таинственный континент".

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Особо опасен! **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 13.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.25** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Криминальная Россия. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 20.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 22.00** "Страна и мир". **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Голди Хоун в комедии **"ПРОТОКОЛ" 02.20** Бильярд. **03.05** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: острова в море трав". **04.10** Сериал **"ОДИССЕЯ-5". 04.55** Сериал **"10-8".**

# ვერსაჩეს მოდელი



მადონა კვლავ გახდება "ვერსაჩეს" ტანსაცმლის სარეკლამო სახე. ვარსკვლავის გამოსახულებას ბეჭდურ საშუალებებში მსოფლიოს საზოგადოება მომავალი წლის გაზაფხულზე და ზაფხულში იხილავს.

ჯერჯერობით უცნობია მადონასა და "ვერსაჩეს" გარიგების ფინანსური მხარე, თუმცა, როგორც ამბობენ, მომღერალმა ამ საქმიდან ათ მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი მიიღო; ამას გარდა, პოპ-მუსიკის დედოფალს აქვს ექსკლუზიური უფლება, ორი წლის განმავლობაში შეარჩიოს "ვერსაჩეს" სამარკო ნიშნით გამოშვებული მისთვის სასურველი სამოსი და დაისვენოს მილანში, ვერსაჩეს სამფლობელოში.

სარეკლამო ფოტოგადაღებები ლონდონში ნოემბრის ბოლოს მიმდინარეობდა. გადაღებები მადონას ბიზნესდღიურში წლის უკანასკნელი დაგეგმილი ღონისძიება იყო. ახლა კი მადონას არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ გულიანად გაატაროს საშობაო არდადეგები.

# ტერორისტებთან ხუმრობა არ ღირს



ნორა ჯონსმა ტერორისტული აქტების შიშით გადადო დაგეგმილი კონცერტები ინდონეზიაში. ნორას საკონცერტო გამოსვლებს ჯაკარტაში პირველ მარტს ელოდნენ. თუმცა, ამ კვირაში ინდონეზიელმა მსმენელმა უკვე შეიტყო, რომ პოპულარულმა მომღერალმა მათთან შეხვედრის შესაძლებლობა გაურკვეველი ვადით გადადო. მომღერლის მენეჯმენტმა ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც შეერთებული შტატების ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეები ინდონეზიაში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ გააფრთხილა.

ცოტა ხნის წინათ ინდონეზიაში სტუმრობისგან თავი შეიკავეს ალისია კისმა და "ბონდმა". ავსტრალიის, შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ხელისუფალთა აზრით, საშობაოდ ტერაქტების საშიშროება მკვეთრად გაიზრდება.

# მეხუთე ზემფირა



პოპულარული მომღერალი რუსეთიდან - ზემფირა თავის რიგით მეხუთე სტუდიურ ალბომს ამზადებს. ჩანაწერი, სავარაუდოდ, თებერვლის მეორე ნახევარში გამოვა.

მუსიკოსის წარმომადგენლის თქმით, დისკი, ფაქტობრივად, მზადაა, უბრალოდ, მისი გამოცემა ახალ წლამდე ვერ ესწრება. ამიტომ მასზე მუშაობა საშობაო არდადეგების დამთავრებისთანავე განახლდება. ჩანაწერის სახელწოდება, ჯერჯერობით, საიდუმლოდ რჩება. არჩევანი ჯერ არც გამომშვებ ფირმაზე შეჩერებულა.

რამდენიმე დღის წინათ მაყურებელმა იხილა ზემფირას ახალი კლიპი Прогулка; ახალ ალბომს ზემფირა საგასტროლო ტურნეთი აღნიშნავს. ტურნე მომავალი წლის დეკემბრამდე გაგრძელდება.








დედა დოდო ხარშილაძე, შვილი გიორგი, და მაია, სიძე ზაზა ნონიკაშვილი, ბიძა როლანდ გოგიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გია გოგის ძე გოგიშვილი**

პანაშვიდი: 23, 24 დეკემბერს
გამოსვენება: 25 დეკემბერს 14 საათზე.
მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, მე-19 კორპუსი.



დედა ელგა შეყრილაძე, ძმები მიხეილ, ზაზა, ძმისშვილები ნინო, მარიამ სარჯველაძეები, რძალი ქეთინო ოძელაშვილი, მამიდები მედიკო (დოდო), სვეტა, დეიდა ჯილდა, ბიძები გიორგი (ჟორა) სარჯველაძე, ამირან შეყრილაძე, თემური გუგუნავა, სულიკო ჭიჭინაძე, ბიცოლები მარინა ხერგიანი, ციალა გიგაური, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა შევარდენის ძე სარჯველაძე**

პანაშვიდები: 23, 24 დეკემბერს
გამოსვენება: 25 დეკემბერს 13 საათზე.
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა N 1.

## ვ ა კ ა ნ ს ი ა

ქოლგეით-პალმოლივი წარმოადგენს პირველადი მოხმარების ჰიგიენური პროდუქციის მწარმოებელ ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში წარმატებით მოღვაწეობს და რომლის ყოველწლიური ბრუნვაც 10 მილიარდ დოლარს აღწევს.

ქოლგეით-პალმოლივს მეტად ამბიციური მიზნები გააჩნია საქართველოშიც და საამისოდ მისი დისტრიბუტორი კომპანია შპს "პონტო სტარ კომპანი" იწვევს 25 წლამდე ახალგაზრდებს სავაჭრო წამომადგენლის (დისტრიბუტორის) თანამდებობაზე სამუშაოდ.

**მოთხოვნები**

1. უმაღლესი განათლება
2. კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი
3. ავტომანქანის მართვის მოწმობა (სასურველია)

**მოვალეობები**

1. გაყიდვები
2. დისტრიბუცია
3. თაროზე მუშაობა
4. სარეკლამო საშუალებების გამოყენება

**დაინტერესებულმა პირებმა 2005 წ. 10 იანვრამდე გამოაგზავნეთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ფაქსის შემდეგ ნომერზე: 91 13 41 1000-დან 1800 -მდე**


საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24


# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.